www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 18 თებერვალი, 2009 წელი. №35 (2073) | ფასი 50 თეთრი

ზაქაევი დაბრუნებას არ აპირებს

A7



ის, ვინც და რაც ქართველებს გამოგვრჩა

A10



კასაბიევმა საქართველოდან შტანგა გადააგორა

A13




# ალასანია და მარტოსული ლიდერები

ეკა კვესიტაძე

ორშაბათს სასტუმრო "მარიოტი" სტუმრებს ვერ იტევდა. აქ შეიძლება შეხვედროდით ყველას, ვისაც როდესმე პოლიტიკასთან შეხება ჰქონია და ვინც დიდი ხანია მედიის ინტერესის მიღმა დარჩა (ვილაცას ამ შეხვედრამ "იმელის" დროინდელი პარალმენტი გაახსენა). კარგა ხნის წინ დავიწყებული პოლიტიკური ფიგურები, ე.წ ინტელიგენციის ცნობილი სახეები, ყოფილი ჩინოვნიკები, საერთაშორისო ორგანიზაციების და საელჩოების წარმომადგენლები და ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილი ირაკლი ალასანიას გუნდის პრეზენტაციას ესწრებოდა. ანუ იმ დღეს მარიოტში ყველა ის ადამიანი იყო, ვისაც პოლიტიკური აქტიურობა მოსწყურდა და ვისთვისაც დღეს ირაკლი ალასანია პოლიტიკური პროცესების დასაძრავი ის ლოკომოტივია, რომელსაც, გამართლების შემთხვევაში, შეიძლება თვითონაც უკან ჩაებან.

მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში ხშირად ისმოდა მქუხარე ტაში, მიუხედავად ალასანიას ბევრი ღირსებისა, მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდის წევრებს ის რესპექტაბელობა აქვთ, რომელიც ასე აკლია დღევანდელ ოპოზიციას, დარბაზში არ იგრძნობოდა პოლიტიკური აქტიურობისთვის აუცილებელი ენერგეტიკა და ემოცია - ის, რაც თავის დროზე ოპოზიციაში მყოფ ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილს ჰქონდათ და რომელიც ასე საჭიროა ადამიანების ერთად შეკავშირების, მათი საერთო იდეის გარშემო ხანგრძლივი გაერთიანებისთვის. ალასანიას მწყობრ ტექსტს ემოცია და ქარიზმა აკლდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შეცდომებზე სწავლა

## თავდაცვის ახალი მინისტრის ახლებური ხედვა

გიორგი ასანიშვილი

*აგვისტოს ომის დროს თავდაცვის სფეროში გამოვლენილმა ხარვეზებმა და ნაკლოვანებებმა ხელისუფლება შეიარაღებულ ძალებში სერიოზული გარდაქმნების დაწყების აუცილებლობაში დაარწმუნა. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს თავდაცვის სისტემისა და თავდაცვითი პოლიტიკის საფუძვლიანი გადახედვა, საუბარია დოკუმენტში, სახელწოდებით - მინისტრის ხედვა 2009 წელს . იგი განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ერთწლიან პრიორიტეტებს, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების გზაზე. დოკუმენტის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები, სამხედრო ატაშეები, ქართველი პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.*

გაგრძელება A3 გვერდზე




# მეოთხე ცდა

*დევნილების დაბრუნებისთვის პირობების შექმნა, უსაფრთხოების ზომები, საერთაშორისო დამკვირვებლების საქმიანობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე - ამ თემებზე შეთანხმებების მიღწევას ჟენევის მოლაპარაკებებზე ქართული მხარე ცდილობს. მხარეები ამ საკითხებზე საერთო დოკუმენტის შემუშავებაზე მსჯელობენ. თავიანთი წინადადებებით ჟენევაში სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლებიც ჩავიდნენ.*

გუშინ ჟენევაში კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე საერთაშორისო კონსულტაციების მორიგი რაუნდი დაიწყო. ქართულ დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია ხელმძღვანელობს. დელეგაციის შემადგენლობაში ასევე არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აქიშბაია, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი და შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი.

ჟენევაში მიმდინარე კონსულტაციებში ასევე მონაწილეობენ რუსეთის, აშშ-ს, გაერო-ს, ევროკავშირის და ეუთო-ს დელეგაციები. შეხვედრებს ესწრებიან სოხუმის და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლებიც.

მოლაპარაკებებზე აშშ-ს კვლავ სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი დანიელ ფრიდი და სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე მეთიუ ბრაიზა წარმოადგენენ.

**ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ამ მოლაპარაკებებს შედეგი მოჰყვეს,** - განაცხადა კონსულტაციების დაწყებამდე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ.

გაგრძელება A2 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## პროფესიული განათლება - დასაქმების გარანტი

გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში პროფესიული განათლების განვითარების შესახებ კონფერენცია გაიხსნა. სემინარზე საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების 2009-2013 წლების სტრატეგიაზე იმსჯელეს.

"თუ გვინდა, რომ უმუშევრობა დავძლიოთ, პროფესიული განათლება წინ უნდა წამოვწიოთ," - განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, ყველანაირ პროფესიას, იქნება ეს დალაქი, მიმტანი, მოლარე, მშენებელი თუ სხვა, სჭირდება სწავლა და სახელმწიფო მისცემს მოქალაქეებს ამის საშუალებას.

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ სულხან სისაურმა აღნიშნა, ქვეყანაში სამუშაო ადგილები არის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არის პროფესიული უნარ-ჩვევების დანაკლისი.

"საჭიროა დასასაქმებელთა, შემდგომში დასაქმებულთა შესაბამისი პროფესიული მომზადება, არაპროფესიონალიზმი არის ყველაზე დიდი შემაფერხებელი დასაქმებისა. ამ პრობლემის აღმოფხვრით მოხდება დასაქმების ფართო მასშტაბების მიღწევა," - განაცხადა მან.

სემინარზე იმყოფებოდა საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი პერ ეკლუნდი.

"ჩვენ ვთანამშრომლობთ და ეს თანამშრომლობა უფრო აქტიურ ფაზაში შედის. ევროპული ქვეყნები საქართველოს ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას და ეს ძალიან მნიშვნელოვანია" - განაცხადა მან "24 საათთან" საუბრისას.

**24 საათი**

## განათლების პროფკავშირები პრეზიდენტის რეზიდენციას მიადგნენ

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირებმა აქცია გამართეს. ორმოცამდე თვალებახვეული პედაგოგი პრეზიდენტის რეზიდენციასთან შეიკრიბა. ისინი თავიანთ პოზიციას შემდეგი შინაარსის ბანერებით გამოხატავდნენ: "თქვენს გარშემო ცრუ ინფორმატორებია", "შეწყდეს მასწავლებლების უკანონო გათავისუფლებები", "შრომის კოდექსის 37 - ე "დ" პუნქტს - არა", "პრეზიდენტის დავალება არ სრულდება - ინტეგრირებული სწავლება კვლავ გრძელდება", და ა.შ.

ორგანიზაციის პრეზიდენტ მანანა ღურჭუმალიძის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებზე არარეალური ინფორმაცია გააჩნია.

მისივე თქმით, აქციის მონაწილეები სიმბოლურად თვალახვეულები და ვარდისფერი ბუშტებით მოვიდნენ, რათა მიხეილ სააკაშვილს თვალი აუხილონ და დაანახონ, რომ ყველაფერი ვარდისფრად არ არის.

პედაგოგები დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში იდგნენ პრეზიდენტის რეზიდენციასთან, ბოლოს კი ვარდისფერი ბუშტები რეზიდენციის ჭიშკარზე ჩამოკიდეს და დაიშალნენ.

**24 საათი**

## საყოველთაო დაზღვევის შესახებ მემორანდუმს ხელს დღეს მოაწერენ

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული საყოველთაო დაზღვევა 1 მარტიდან რეალურად ამოქმედდება. ბიუჯეტში 15 მილიონი ლარი უკვე გამოყოფილია. 11 სადაზღვევო კომპანიიდან ცხრა მზადაა, ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან. ამის შესახებ გუშინ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა სანდრო კვიტაშვილმა განაცხადა.

როგორც ცნობილია საყოველთაო დაზღვევა თვეში 5 ლარი ღირს. აქედან 3,35 ლარს მთავრობა გადაიხდის, 1,65 ლარს - მომხმარებელი.

ჯერ-ჯერობით არ არის ცნობილი, კონკრეტულად რა მომსახურება შევა საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის პაკეტში.

საქართველოს მთავრობასა და კერძო სადაზღვეო კომპანიებს შორის მემორანდუმი დღეს გაფორმდება. საყოველთაო დაზღვევა ნებაყოფლობითია და არჩევანი მომხმარებელმა უნდა გააკეთოს.

**24 საათი**

# მეოთხე ცდა

პირველი გვერდიდან

გუშინდელი კონსულტაციები ერთობლივი სადილით დაიწყო, შემდეგ დელეგაციებმა მუშაობა ორ სამუშაო ჯგუფში გააგრძელეს - უსაფრთხოებისა და დევნილთა საკითხებზე.

მხარეებმა განაგრძეს მსჯელობა უსაფრთხოების შესახებ ერთობლივ დოკუმენტზე, რომელიც მოლაპარაკებათა წინა რაუნდის დროს განიხილეს, თუმცა საბოლოო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. დოკუმენტის პროექტი ინციდენტების თავიდან აცილებას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლების საქმიანობის პირობებს ითვალისწინებს, ასევე - სპეციალური ჯგუფების შექმნას, რომლებსაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაუბრკოლებლად შესვლისა და იქ არსებული სიტუაციის შესწავლის საშუალება ექნებათ. პრეტენზიები პროექტის გამო გუშინ რუსულმა მხარემ გამოთქვა, რომელსაც ტექსტში გამოყენებული ტერმინოლოგია არ მოეწონა.

დღეისთვის ჟენევის კონსულტაციებზე პლენარული სხდომაა დაგეგმილი. ქართული მხარე ასევე აპირებს, დააყენოს ქართული მოსახლეობის უკანონო პასპორტიზაციისა და რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობის საკითხები.

აფხაზურმა მხარემ ჟენევაში საკუთარი წინადადება ჩაიტანა - ჟენევის მოლაპარაკებების მუდმივ მექანიზმად გადაქცევა , რომელიც გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფს ჩაანაცვლებს. აფხაზური მხარე ასევე ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრების განახლებას ემხრობა. თავის მხრივ, ცხინვალის რეჟიმის წარმომადგენლები ჟენევაში გეგმავენ ჰუმანიტარული ტვირთების მოძრაობისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხების დაყენებას. კონსულტაციების ოფიციალური შედეგები 19 თებერვალს გახდება ცნობილი.

შეხვედრების დაწყების წინ მხარეებმა ოპტიმისტური მოლოდინი გამოთქვეს. **"საქართველო ყოველთვის სერიოზულად და დიდი პასუხისმგებლობით არის განწყობილი ყოველი ასეთი შესაძლებლობის მიმართ. მეოთხე რაუნდში ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ, წინა რაუნდებისგან განსხვავებით, მოხდება ინციდენტების პრევენცია და მიღწეულ იქნება შეთანხმება,"** - აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ.

თავის მხრივ, ჟენევის მოლაპარაკებების დადებითი შედეგის იმედი ევროკავშირმაც გამოთქვა. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ჩეხეთის წარმომადგენელმა ნადეჟდა ხოლიკოვამ განაცხადა, რომ **"ევროკავშირი დაინტერესებულია საერთაშორისო ორგანიზაციების ყოფნით საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, იქნება ეს გაერო, ეუთო თუ ევროკავშირი.** მან ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირი კვლავაც უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინიმა აღნიშნა, რომ **დადგა დრო, თბილისსა და სხვა დედაქალაქებში სიტუაციას ყურადღებით შეხედონ და გაიგონ, რომ სტაბილურობა ყველას სჭირდება, ისევე როგორც აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების განვითარება."**

*საკუთარი ინფორმაცია*

# ოპოზიციური კონსულტაციები გრძელდება

*ირაკლი ალასანია ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციებს აწარმოებს. მისივე განცხადებით, ამ კვირის განმავლობაში გადაწყდება, რომელ პოლიტიკურ ძალებთან აპირებს იგი მჭიდრო თანამშრომლობას. 24 საათი ვითარების გასარკვევად პოლიტიკურ პარტიებს დაუკავშირდა.*

**არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო. როგორც ბატონმა ირაკლიმ ბრძანა, ის კვირის ბოლომდე გამოკვეთს, რომელ პოლიტიკურ ძალებთან აპირებს საქმიანობის გაგრძელებას. ასე რომ, უნდა დაველოდოთ კვირის ბოლოს,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მემარჯვენეების ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ.

რესპუბლიკელებიც სიტყვაძუნწები აღმოჩნდნენ. **ალასანიას ნათქვამს ჩვენც ველოდებით. ალბათ, კვირის ბოლოსთვის ყველაფერი ცხადი გახდება,** - ასეთია პარტიის ლიდერ დავით უსუფაშვილის კომენტარი. მისი ვარაუდით, **უახლოეს ხანებში ჩვენ ვიხილავთ საინტერესო მოვლენებს როგორც ერთიანი ოპოზიციური კოორდინაციის, ისე გარკვეული პოლიტიკური სუბიექტების გამოკვეთის თვალსაზრისით.**

ეროვნული ფორუმის წარმომადგენელ ირაკლი მელაშვილის განმარტებით, მათ რამდენჯერმე ჰქონდათ კონსულტაციები ირაკლი ალასანიასთან და ყოფილ დიპლომატს პარტიის ძირითადი ხედვა გააცნეს. **ალასანიასთან თანამშრომლობას წინ არაფერი უდგას. მაგრამ სერიოზულ და მჭიდრო თანამშრომლობაზე თუ მიდგება საუბარი, ამას აუცილებლად სჭირდება მთელი რიგი საკითხების შეთანხმება. ეს უნდა მოხდეს არა მარტო მასთან, არამედ იმ პარტიებთანაც, ვისთანაც ის აპირებს თანამშრომლობას. პირველ რიგში, შესათანხმებელია სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა - თუ რა მეთოდებით და როგორ ვიბრძვით. მან ჩვენი მოსაზრებები იცის. ახლა სიტყვა მას ეკუთვნის. თავად უნდა გადაწყვიტოს, რა გზას დაადგება, ვისთან ერთად აირჩევს სამოღვაწეო ასპარეზს ქართულ პოლიტიკაში,** - განაცხადა 24 საათთან საუბრისას ირაკლი მელაშვილმა.

ხალხის პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი ამ ეტაპზე კომენტარისგან თავს იკავებს. მოიაზრება თუ არა მისი პარტია იმ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომლებზეც შეიძლება ალასანიამ არჩევანი შეაჩეროს? - კობა დავითაშვილისგან ამ შეკითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ. ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა თავად ირაკლი ალასანიასთან გადაგვამისამართა - ეს თავად ალასანიას უნდა ჰკითხოთო.

ირაკლი ალასანიასადმი კეთილგანწყობას საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებიც არ მალავენ. **მხარს ვუჭერთ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც საბოლოო ჯამში ამ ხელისუფლების შეცვლას ემსახურება. ირაკლი ალასანიასადმი აშკარად კეთილგანწყობილები ვართ. ჩვენთვის მისაღებია მისი 16 თებერვლის გამოსვლის ტექსტი. იგი ძალიან ბევრ ნაწილში იდენტურია ჩვენი საპროგრამო დოკუმენტებისა ანუ ბევრ საკითხში საერთო ხედვა გვაქვს. მოკლედ, სტრატეგიულ დონეზე სრული თანხმობა არსებობს, განსხვავებები მხოლოდ ტაქტიკაშია,** - განუცხადა 24 საათს საპარლამენტო ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა. მისი განმარტებით, მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ მათ ალასანიასგან არანაირი წინადადება არ მიუღიათ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2009 წლის გეგმები მთავრობამ მოიწონა

გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე, სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ კვეზერელის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია - სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2009 წლის გეგმების შესახებ, მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა.

შეგახსენებთ, რომ ახალი პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის პირველი დავალება, სამინისტროების მიერ დეტალური გეგმის სამი კვირის მანძილზე წარმოდგენა იყო.

როგორც სხდომის დამთავრების შემდეგ კვეზერელმა განაცხადა, 2009 წლის გეგმა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზეა დაყრდნობილი: ესაა არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

ამ ორი მთავარი მიზნის მიღრწევა ორი პროექტით: იაფი კრედიტის და 100 საწარმოს პროექტებითაა შესაძლებელი, - განაცხადა მინისტრმა.

იაფ კრედიტის პროგრამის ფარგლებში, ბიუჯეტში 20 მილიონი ლარია გათვალისწინებული, თუმცა, თუკი დაინტერესება იქნება ინვესტორების მხრიდან, ეს თანხები გაიზრდება.

100 საწარმოს პროექტისთვის კი ქვეყნის მაშატაბით უკვე გამოყოფილია 30 000 ჰექტარზე მეტი საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სადაც დაინტერესებულ ინვესტორებს და მეწარმეებს შეუძლიათ ინვესტირების განხორციელება. გადამამუშავებელი საწარმოების აშენების შემთხვევაში, ეს მიწები მათ გადაეცემათ, - განაცხადა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ 100 ახალი საწარმოს პროექტის ფარგლებში გასულ წელს 10-მდე საწარმო შეიქმნა. სასოფლო სამეურნეო სფეროში ინვესტიციებით ისეთი ცნობილი ბრენდები შემოვიდნენ, როგორიცაა ფერრერო (FERRERO) და ჰიპი (HIPP).

გარდა ამისა 2009 წელს დაგეგმილია 15 მილიონი ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება. წლის განმავლობაში უნდა დასრულდეს ძირითადი მაგისტრალური საირიგაციო არხების რეაბილიტაცია.

**24 საათი**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# შეცდომებზე სწავლა

პირველი გვერდიდან

**კრიზისის დროს ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველო, შეცდომებზე სწავლობს. ამიტომ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი ახალი ვითარება და უზრუნველვყოთ თავდაცვის სისტემის მდგრადი განვითარება. ჩვენი მიზანია, პროფესიონალებზე დაყრდნობით ჩამოვაყალიბოთ ისეთი მექანიზმი, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას შეუწყობს ხელს,"** - აცხადებს თავდაცვის მინისტრი ვასილ სიხარულიძე.

რუსეთის აგრესიის დროს მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი ყველაზე სუსტ წერტილად საჰაერო თავდაცვის სისტემას და ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობებს ასახელებს და ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერების აუცილებლობაზე საუბრობს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ თავდაცვის სამინისტრო აპირებს, დაიწყოს თანამდებობრივი პრინციპით ანაზღაურებიდან წოდებრივი პრინციპით ანაზღაურებაზე გადასვლა, რაც, ვასილ სიხარულიძის აზრით, მთლიანად შეესაბამება სამხედრო იერარქიის სისტემას და ხელს შეუწყობს წოდებრივი სტრუქტურის ბალანსის აღდგენას.

აგვისტოს ომმა ისიც აჩვენა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში ერთ-ერთ ყველაზე სუსტ რგოლს რეზერვისტთა სისტემა წარმოადგენს. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ თავდაცვის მინისტრი თავის ხედვაში გვერდს არც ამ თემას უვლის და აუცილებლად მიიჩნევს რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფციის შემუშავებას.



გუშინ პრეზენტირებულ დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ნატო-ში საქართველოს ინტეგრაცია კვლავ რჩება ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად, რომლის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ თავდაცვის სამინისტროს აკისრია.

დოკუმენტში შესულ სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებებთან ერთად, მიმდინარე წელს თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იქნება რუსეთის აგრესიის დროს დაღუპული და დაზარალებული სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების სოციალური დახმარების საკითხი...

აღსანიშნავია, რომ ვასილ სიხარულიძის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს არა მარტო სახელისუფლებო გუნდის წევრები, არამედ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებიც იწონებენ.

**დოკუმენტი პროგრესულია. ის არის სიგნალი, რომ სახელმწიფო იწყებს ძალიან ბევრი მოძველებული შეხედულების გადასინჯვას. უნდა ავაშენოთ არა საბრძოლო ყიჟინაზე აგებული სამხედრო ლაშქარი, არამედ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შეიარაღებული ძალები,** - აცხადებს ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატების წევრი ნიკა ლალიაშვილი. იგი სინანულით იმასაც აღნიშნავს, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, აფხაზეთისა და ცხინვალის ომების შემდეგ, სამხედრო მარცხის არანაირი ანალიზი არ მომხდარა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც ქვეყანა აგვისტოს ომის დროს აღმოჩნდა.

ოპოზიციონერი დეპუტატის შეფასებით, მინისტრის ხედვა 2009 არის რეალური და ადეკვატური ნაშრომი, რომელიც, განსხვავებით წინა წლებში მიღებული ანალოგიური დოკუმენტებისგან, ფანტასტიკის ელემენტებს არ შეიცავს.

ნიკა ლალიაშვილი მიესალმება იმას, რომ ხედვა 2009 -ში აქცენტი კეთდება სამხედრო განათლებაზე, მაშინ, როდესაც სულ ცოტა ხნის წინათ თავდაცვის უწყების ხელმძღვანელობა პრესტიჟულ უცხოურ სამხედრო სასწავლებლებში გამოყოფილი კვოტების ათვისებაზე უარს ამბობდა იმ მოტივით, რომ სამხედრო აღმშენებლობას ვეწევით და ახლა სწავლის დრო არ არისო...

# ალასანია და მარტოსული ლიდერები

პირველი გვერდიდან

ის ენერგია, რომელსაც დატვირთული პოლიტიკური ცხოვრება, პერმანენტული შეხვედრები, გამოსვლები, წინასაარჩევნო კარდაკარ სიარული ითხოვს, მისი გუნდის წევრებსაც დასჭირდებათ. ფაქტია, რომ დღეიდან დიპლომატებს სხვა რიტმით ცხოვრება და ამისათვის დიდი ძალისხმევის დახარჯვა მოუწევთ, თუ მათ მართლაც სერიოზული პოლიტიკური მიზნები აქვთ.

ალასანიას გუშინ ოპოზიაციასთან თანამშრომლობის ფორმებზე კონკრეტული განცხადებები არ გაუკეთებია. "გავხდები თუ არა ერთიანი ოპოზიციური ძალების ლიდერი - ამას კონსულტაციების შედეგები გვიჩვენებს, მაგრამ ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი არ არის მხოლოდ ლიდერის გამოკვეთა, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია საერთო ინტერესების ირგვლივ შეიკრას ეს პოლიტიკური ძალები, რისი პრაქტიკული წინაპირობა უკვე არსებობს," - განაცხადა ალასანიამ.

გაეროში საქართველოს ყოფილ ელჩთან გაერთიანების სურვილი, როგორც ჩანს, ისევ ძლიერად ღვივის რესპუბლიკელებსა და ახალ მემარჯვენეებში - პრეზენტაციას მათი არც ერთი ლიდერი არ დაკლებია. სამაგიეროდ, ხალხმრავალ სტუმრებს შორის არ იყვნენ ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოღაიდელი, რაც ოპოზიციასთან არცთუ ისე ჰარმონიულ ურთიერთობაზე მიანიშნებს.

ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი პირად საუბრებში იმასაც ამბობდა, თუ რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო ალასანიამ, როდესაც აქცენტი თავისი გუნდის შექმნაზე გააკეთა მაშინ, როდესაც ამ გუნდის წევრებიდან ყველაზე ცნობადი სახე ადვოკატი შალვა შავგულიძეა, დანარჩენების შესახებ კი მხოლოდ თბილისის ცენტრალური უბნების მაცხოვრებლებმა თუ იცინიან, ისიც - საუკეთესო შემთხვევაში.

ირაკლი ალასანიას პოლიტიკაში შებიჯების სამი ვარიანტი ჰქონდა. ან თავისი პარტია უნდა შეექმნა, რასაც უკვე ჩაუყარა საფუძველი, ან ახალი მემარჯვენეებისა და რესპუბლიკელების ლიდერი გამხდარიყო, ან რამდენიმე გამოკვეთილ ლიდერთან ერთად (მაგალითად, ბურჯანაძე, სუბარი, უსუფაშვილი და ა.შ.) ხელისუფლებისთვის ძლიერი ალტერნატივა შეექმნა.

ახლებთან და მემარჯვენებთან ლიდერად მისვლა გაეროში ყოფილი ელჩისათვის თავიდანვე წამგებიან ვარიანტად ითვლებოდა, რადგან ამ პარტიების არასახარბიელო რეიტინგი ალასანიას ავანსად მიღებული რესურსის დიდ ნაწილს ისე შთანთქავდა, რომ მას სამაგიეროდ ვერაფერს მოუტანდა.

რაც შეეხება ლიდერების გაერთიანებას, მიუხედავად ხელისუფლების დამხობის დიდი სურვილისა, ოპოზიციაში გადასულმა მაღალჩინოსნებმა საერთო ენის გამონახვა ვერ შეძლეს. ხელისუფლების სიძულვილი მათი გაერთიანებისათვის საკმარისი ფაქტორი არ აღმოჩნდა. შედეგად, თითოეული მათგანი საკუთარ ახლადშექმნილ პარტიებში ისე ჩაიკარგა, რომ ამ პარტიების სახელწოდება არათუ ჩვეულებრივ ადამიანებს, არამედ ჟურნალისტებსაც კი დაავიწყდათ. ასე მოუვიდა, პირველ რიგში, ნინო ბურჯანაძეს, რომელიც თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ფიგურა იყო. გადაურჩება თუ არა იგივე ბედს ოპოზიციის ამ ეტაპზე ყველაზე იმედისმომცემი ლიდერი, ამას დრო გვაჩვენებს, თუმცა საამისო ნიშნები უკვე გაჩნდა.



სოზარ სუბარი, რომელიც საჯაროდაც არ მალავდა მის აქტიურ კონსულტაციებს ალასანიასთან, როგორც ამბობენ, ასეთი გაერთიანებისკენ მოუწოდებდა გაეროში ყოფილ ელჩს. ომბუდსმენს, მისი და ალასანიას - გამოკითხვების მიხედვით, ორი ყველაზე რეიტინგული ფიგურის - ტანდემის შექმნა სურდა. ფაქტია, რომ ეს მოლაპარაკება, თუ ასეთი საერთოდ არსებობდა, ჩაიშალა, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. სახალხო დამცველი ჯერ-ჯერობით თავის ადგილზე რჩება. ცოტა ხნით ადრე ის ვითარების მიხედვით თანამდებობის დროზე ადრე დატოვებას არ გამორიცხავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება ვერ შეიქმნა, რაც, ალბათ, ალასანიასთან ამ ეტაპზე წარუმატებელ მოლაპარაკებასაც უკავშირდება.

ასე რომ, მიუხედავად რადიკალური მოთხოვნებისა, ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, რომელსაც ალასანიას გუნდიც ოფიციალურად შეუერთდა, ოპოზიცია ადეკქვატურ ქმედებას ვერ ახერხებს. სერიოზული ოპოზიციური გაერთიანების კონტურები ჯერ-ჯერობით პოლიტიკურ ჰორიზონტზე არ იკვეთება და არც გამოიკვეთება მანამ, სანამ ოპოზიციის მარტოსულ ლიდერებს რეალობა საკუთარი ამბიციების ნაწილის დათმობას არ აიძულებს.

# დამაფიქრებელი გარემოებები

რევაზ საყევარიშვილი

აგვისტოს ომის შემდეგ საქართველო ყველა ტიპის ურთულესი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. გამოწვევების, რომელთა უმეტესობაც ჯერ იდევ არ არის სრული სიმ აცრით გამოჩენილი და მომავალში იდევ უფრო მეტად შეიძლება გამწვავდეს. ამიტომაც არ არის გასა ვირი, ომის შედეგად მიყენებული ზარალის დროულად დაფარვისა და საქართველოში ე ონომი ური და პოლიტი ური განვითარების შეუქცევადობის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო საზოგადოებამ ქვეყანას 4,5 მილიარდი დოლარის დახმარება რომ გამოუყო, თანხა, რომელმაც საქართველოს ე ონომი ა და სახელმწიფო რღვევას უნდა გადაარჩინოს.

საგულისხმოა, რომ ბრიუსელის ონფერენცია გლობალური საფინანსო რიზისის უ იდურესი გამწვავების პერიოდს დაემთხვა. ამ დროს მ აფიოდ გამოი ვეთა გლობალური ფინანსური სეტორის პრობლემების რეალურ ე ონომი აში გადანაცვლების ტენდენცია. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და წამყვანი ანალიტი ოსების აზრით, ფინანსური რიზისის ნეგატიური ასპექტები უ ვე აისახება მსოფლიო ე ონომი ის რეალურ სექტორზე, სადაც უ ვე ფიქსირდება 1981-1982 წლების შემდეგ ყველაზე ღრმა რეცესია. სავალუტო ფონდის პროგნოზით, საუ ეთესო შემთხვევაში, მსოფლიო ე ონომი ის ზრდა 2009 წელს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მო რძალებული იქნება და, სავარაუდოდ, 0,5%-ს შეადგენს (სხვა საერთაშორისო და ვლევითი ორგანიზაციების პროგნოზი იდევ უფრო პესიმისტურია და ნულოვან ზრდას, ზოგიერთ შემთხვევაში ი დაცემასაც ი ვარაუდობს).

სამწუხაროდ, გამორიცხული არ არის, რომ მსოფლიო ე ონომი ა გლობალურმა დეპრესიამაც მოიცვას. აქედან გამომდინარე, საქართველო ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ომის შედეგების ლი ვიდაციის ამოცანით, რადგანაც გლობალური საფინანსო და ე ონომი ური რიზისი იდევ უფრო დიდ საფრთხეში აგდებს ქვეყნის ე ონომი ის განვითარების პერსპექტივებს.

ჩვენს ქვეყანაში საფინანსო ბაზრების სუსტი განვითარების ფონზე, გლობალური საფინანსო რიზისის შედეგები აქამდე შედარებით ნა ლებად იგრძნობოდა, თუმცა ამან არ უნდა შექმნას იმის ილუზია, თითქოს რიზისი დაგვიანებით არ დადგება და ქვეყანა რთული მდგომარეობიდან სერიოზული და მასშტაბური სახელმწიფო ღონისძიებების გარეშე გამოვა. საქართველოს ე ონომი ა დღეისათვის უ ვე სა მაოდაა ინტეგრირებული მსოფლიო ე ონომი აში ვაჭრობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, უცხოეთიდან მიღებული ტრანსფერებისა და საბან ო სექტორის მიერ მოზიდული სახსრების თვალსაზრისით. გარდა ამისა, საქართველოს ე ონომი ის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და უცხოეთის საფინანსო ბაზრებიდან ქართული ბან ების მიერ მოზიდული სახსრების საშუალებით მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული ბოლო წლების განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებში წარმოებული იაფი ფულის პოლიტი ით, რამაც უპრეცედენტოდ გაზარდა საერთაშორისო აპიტალის მობილურობა.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველო საშუალო და მო - ლევადიან პერიოდში, სწორედ საფინანსო ბაზრების შედარებით სუსტად განვითარების გამო, შესაძლოა განვითარებულ ქვეყნებზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს, თუ რეალური სექტორის რიზისი გრძელვადიან ხასიათს შეიძენს როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც.

ცხრილი N1-ში მოცემული ინფორმაცია, ერთი შეხედვით, შთამბეჭდავია, ასახავს რა ბოლო წლებში მიღწეულ მაღალი ე ონომი ური ზრდის ტემპებს. ბოლო ხუთ წელიწადში საშუალო ნომინალური მშპ-ს ზრდა 20%-ს აღემატებოდა. თუმცა, ცხრილის ანალიზისას ი ვეთება უარყოფითი ტენდენცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ე ონომი ის სწრაფ განვითარებას.

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 (სამი კვარტალი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე | 7028.84 | 8573.83 | 9794.15 | 12971.97 | 15731.90 | 13650.90 |
| მთლიანი კაპიტალის ფორმირება | 2682.33 | 3134.75 | 3891.54 | 4255.31 | 5447.51 | 3810.71 |
| წმინდა ექსპორტი | -1249.03 | -1633.44 | -2070.79 | -3330.42 | -4544.96 | -3923.08 |
| სულ | 8462.14 | 10075.14 | 11614.90 | 13896.86 | 16634.44 | 13538.53 |

ცხრილი N1 წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი




დიაგრამა N1 წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი

დიაგრამა N1-ში მოყვანილი ინფორმაცია ნათელყოფს, რომ ბოლო წლებში საქართველოს ე ონომი ური ზრდა უმეტესწილად სამომხმარებლო ბუმით იყო განპირობებული. მიუხედავად უცხოური და ადგილობრივი აპიტალდაბანდებების სწრაფი ზრდისა ე ონომი აში, ნათელი ხდება, რომ ე ონომი ური ზრდის არსებული ტემპების შენარჩუნება მომავალში გაძნელდება იმპორტის ზრდის ტემპების შენელების გარეშე. დროთა განმავლობაში საქართველო იძულებული გახდება, სულ უფრო და უფრო მეტი აპიტალი მოიზიდოს უცხოეთიდან საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის უზრუნველსაყოფად. მართალია, დღეისათვის მიღწეულია გარ ვეული პროგრესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, მაგრამ მთლიანი აპიტალის ფორმირების ტემპები აშ არად არასა მარისია მომხმარებელთა გაზრდილი მადის დასა მაყოფილებლად. მსოფლიო ე ონომი ური რიზისის ფონზე შედარებით შემცირდება პირდაპირი და პორტფელური უცხოური ინვესტიციების, აგრეთვე ერთჯერადი ტრანსფერების შემოდინება, რომლებიც ქართულ ბაზარს ჭარბი ლი ვიდობით უზრუნველყოფდა.

იმ შემთხვევაში, თუ მოხმარების ზრდის ტემპები არსებითად არ შეიზღუდა, ქვეყანას მოუწევს ან ერძო ვალების უფრო მ აცრი საპროცენტო განა ვეთით აღება, ან სახელმწიფო რედიტების აღება, რაც არსებითად დაამძიმებს ქვეყნის ე ონომი ურ მდგომარეობას. იმის გამო, რომ ექსპორტი, როგორც ასეთი, დამო იდებულია უცხოელი ე ონომი ური აგენტების მოთხოვნის დინამი აზე, რომელსაც თავის მხრივ, ამ უ ანას ნელთა შემოსავლები განაპირობებს, ექსპორტის სწრაფ ზრდაზე მსოფლიო ე ონომი ური რიზისის პირობებში იმედების დამყარება მეტად რთული იქნება. ეს ი, თავის მხრივ, მინიმუმ შეანელებს საქართველოს ე ონომი ის ზრდას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია აშშ-ს მიერ უ ანასნელ პერიოდში გატარებული ექსპანსიონისტური ფულადი პოლიტი ა, რაც ფედერალური სარეზერვო სისტემის რეფინანსირების განა ვეთის 0.25%-მდე დაწევაში გამოიხატა.

გარდა ამისა, საქართველოს ვაჭრობის პირობებიც გაუარესებულია, რადგან საქართველოს ძირითად საექსპორტო საქონელზე (ჯართი, ფერადი ლითონები) ფასები იდევ უფრო დაეცა, ვიდრე ენერგომატარებლებზე. ახლო მომავალში, მსოფლიო ე ონომი ური რიზისიდან წამყვანი ქვეყნების გამოსვლის ვალობაზე მოსალოდნელია ენერგომატარებლებზე ფასების ნახტომისებური ზრდა, რაც სხვა სახის ნედლეულზე მოსალოდნელი არ არის (აღსანიშნავია, რომ საქართველოს საექსპორტო საქონლის ჩამონათვალი იდევ უფრო მეტად ხდება დამო იდებული ამ ჯგუფებზე. მაგალითად, ბოლო პერიოდში, ფეროშენადნობებზე მოთხოვნის მ ვეთრი შემცირების მიუხედავად, საქართველოს საექსპორტო პროდუქციაში პირველ ადგილზე, ვლავ ფეროშენადნობები რჩება. ოფიციალური სტატისტი ით, 2008 წელს ექსპორტის მთლიან მაჩვენებელში მის წილად 17,8%-ი მოდის და ღირებულებით 267 მლნ დოლარს აჭარბებს).

ბოლო წლებში ქართული ექსპორტის სტრუქტურაში იზრდება არა ექსპორტირებული პროდუქციის სახეობების რაოდენობა, არამედ ცალ ეული სასაქონლო ატეგორიის ხვედრითი წილი, რაც ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს მხოლოდ რამდენიმე პროდუქტზე (ფეროშენადნობები, ჯართი, სპილენძის მადნები, სასუქები, თხილი) მაღალი ხარისხით დამო იდებულს ხდის.

საექსპორტო პოტენციალის სიმწირეზე და არსებული რესურსების აუთვისებლობაზე მეტყველებს ევრო ავშირის პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემით (GSP+) სარგებლობის მაჩვენებელიც - 7 200 დასახელების პროდუქტიდან, რომელიც ევროპულ ბაზრებზე საბაჟო გადასახადის გარეშე შეიძლება შევიდეს, რეალურად ამ შეღავათით მხოლოდ 10-მდე სახეობა სარგებლობს.

როგორც საგარეო, ასევე საშინაო ონიუნქტურის შესაძლო არაპროგნოზირებადმა განვითარებამ, ან დონორთა დახმარებების ჰიპოთეტურმა დაგვიანებამ შესაძლოა უმწვავესო პრობლემები შეუქმნას საქართველოს ე ონომი ურ სისტემას, რომლის მთელი რიგი სექტორების ფუნქციონირება დიდადაა დამო იდებული იაფი ლი ვიდური სახსრების არსებობასა და მომხმარებელთა შემოსავლების პოზიტიურ დინამი აზე (ვაჭრობა, მომსახურება, მშენებლობა).

სავარაუდოდ, უ ვე ჩამოყალიბებული ტენდენცია მო ლე ვადებში ვერ შეიცვლება. ამიტომაც, მთავრობის პოლიტი ა ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული უარყოფითი შო ი მოხმარებაზე. ამავე დროს, უნდა ი ვეთებოდეს გარ ვეული ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ე ონომი ის რეორიენტაცია მოხმარებიდან და იმპორტიდან - დაზოგვისა და ექსპორტისა ენ.

# საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა მცირდება

მანანა ვარდიაშვილი

2009 წლის იანვარში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 51.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2008 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7.3 მლნ აშშ დოლარით, ანუ 12.5 პროცენტით ნაკლებია.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 88 პროცენტი იმ შვიდ უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ იანვარში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. ეს ქვეყნებია: რუსეთი, აშშ, უკრაინა, საბერძნეთი, იტალია, თურქეთი და ესპანეთი. გასული წლის იანვარში ამ ქვეყნებზე მთელი ფულადი გზავნილების 89,8 პროცენტი მოდიოდა.

ეროვნული ბანკის მონაცემებს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა არასახარბიელო პროგნოზი მოაყოლა - წელს ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა მკვეთრად შემცირდება. გზავნილების მოსალოდნელი შემცირების მიზეზად ცენტრი გლობალურ ფინანსურ კრიზისს ასახელებს. ფინანსური კრიზისის გავლენა უკვე აისახა ყველა იმ სახელმწიფოზე, საიდანაც საქართველოში ყველაზე მსხვილი ფულადი გზავნილები შემოდიოდა. ამ ქვეყნებს შორის უპირველესად რუსეთი სახელდება, რომელიც გასულ წლებში საქართველოში შემოსული ტრანსფერების უმთავრესი წყარო იყო. გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა რუსეთის ეკონომიკაზე უკვე სახეზეა - ადგილობრივი მოსახლეობის და ეკონომიკურ მიგრანტთა შემოსავლები მკვეთრად მცირდება.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მონაცემებით, არასახარბიელო მდგომარეობაა ქართველი მიგრანტების განსახლების სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ, აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოებში. ცენტრის პროგნოზით, საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების შემცირება მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ეროვნული ვალუტის კურსსა და საბანკო სექტორზე მძიმედ აისახება.




საქართველოდან საზღვარგარეთ გაგზავნილი თანხის მოცულობა კი ჯერჯერობით არ შემცირებულა. 2009 წლის იანვარში საქართველოდან უცხოეთის ქვეყნებში 5.6 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა - თითქმის იგივე მოცულობის, რაც 2008 წლის იანვარში. რუსეთსა და სომხეთში გადარიცხვები 628.1 ათასი აშშ დოლარით შემცირდა, აშშ-ში, თურქეთსა და უკრაინაში გადარიცხული თანხები კი 526.7 ათასი აშშ დოლარით გაიზარდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, გასული თვის განმავლობაში უცხოეთიდან ფულის გადმოგზავნისას სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემებს შორის ლიდერობდნენ: Western Union-ი - 26.8 პროცენტით, Unistream-ი - 12.7 პროცენტით, Contact-ი - 12.3 პროცენტით, Anelik-ი - 12.3 პროცენტით, Money Gram-ი - 7.4 პროცენტით, [illegible] - 5.6 პროცენტით, Ria - 5.3 პროცენტით, Leader-ი - 4.9 პროცენტით, Intel Express-ი - 4.2 პროცენტით.

საქართველოდან ფულადი გზავნილების განხორციელებისას პოპულარობით სარგებლობდა: Western Union-i - 50.2 პროცენტით, Money Gram-ი - 13.2 პროცენტით, Anelik-ი - 12.3 პროცენტით, [illegible] -6.7 პროცენტით, Leader-ი - 4.7 პროცენტით, Contact-ი - 3.6 პროცენტით, Unistream-ი - 3.5 პროცენტით.

# ახალი მინისტრის ახალი ინიციატივა

*სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მინისტრთა კაბინეტს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ მომზადებული წინადადებები გააცნო.*

შაშკინმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამართულ შეხვედრაზე სამომავლო ურთიერთობის გეგმებზე იმსჯელეს. შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა და ჟურნალისტებისთვის დახურული იყო.

**"შეხვედრა ძალიან ნაყოფიერი გამოდგა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების აზრი. შეხვედრაზე თანამშრომლობის კონკრეტული ფორმები დაიგეგმა. სამინისტრო გამჭვირვალედ და ამავე დროს პარტნიორულ რეჟიმში იმუშავებს სამოქალაქო სექტორთან,"** - განუცხადა ჟურნალისტებს შეხვედრიდან გამოსულმა დიმიტრი შაშკინმა.

მისივე განმარტებით, გადაწყდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფები, რომლებიც კონკრეტული მიმართულებით იმუშავებენ და მოამზადებენ წინადადებებსა და რეკომენდაციებს, რომელსაც სამინისტრო მომავალში გაითვალისწინებს.

**"კონკრეტულ წინადადებებს მთავრობის სხდომაზე გავაჟღერებ და დარწმუნებული ვარ, პრემიერ-მინისტრი კონკრეტულ გადაწყვეტილებებს მიიღებს,"** - განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

ახალი უწყების ახალი მინისტრი მთავრობის სხდომაზე ახალი ინიციატივით გამოვიდა - მან სამინისტროებში მრჩეველთა საბჭოების შექმნის წინადადება დააყენა. როგორც დიმიტრი შაშკინმა განაცხადა, საბჭოს შემადგენლობაში იქნებიან ექსპერტები, თუმცა იქნებიან თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

**"საბჭოს მიზანია ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების აზრის გათვალისწინება,"** - განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა პრობაციის, სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების მინისტრ დიმიტრი შაშკინის ინიციატივა ყველა უწყებაში მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ, მოიწონა და განაცხადა, რომ უწყებებში დარგის მიხედვით შერჩეული ექსპერტები სამინისტროს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში ჩაერთვებიან და ეს ჯგუფები სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრებს თვეში ან ორ თვეში ერთხელ გამართავენ.

**"ამ ჯგუფების საშუალებით ჩვენ გავიგებთ იმ დაკვეთას, რაც საზოგადოებას აქვს და მათგან საინტერესო ინიციატივებს ავიღებთ,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ანა პოლიტკოვსკაიას ოჯახს ნაფიცი მსაჯულების სამართლიანობის იმედი აქვს

*ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა დასკვნით ეტაპზე - მხარეებს შორის კამათზე გადავიდა. ბრალდების მხარემ უკვე საბოლოო სიტყვა თქვა და ნაფიც მსაჯულებს განსასჯელებისთვის - სერგეი ხაჯიყურბანოვისთვის, ძმებ იბრაგიმ და ჯაბრაილ მახმუდოვებისთვის და პავლე რიაგუზოვისთვის გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანა მოსთხოვა. მხარეებს შორის კამათი დახურულ სასამართლო რეჟიმში მიმდინარეობს.*



*პროცესი დასასრულს უახლოვდება.*

**საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ამიტომ, თავს ვიკავებთ საკუთარი მოსაზრებებისა და შეხედულებების გამოთქმისგან, რადგან, შესაძლოა, ისინი მცდარი აღმოჩნდეს. თქვენ გენდობით, იმედი გვაქვს, თქვენი ვერდიქტი სამართლიანი იქნება,** - განუცხადა ნაფიც მსაჯულებს დაზარალებული მხარის ინტერესების დამცველმა, მოკლული ჟურნალისტის მეგობარმა კარინა მოსკალენკომ და დაამატა, რომ ისევე, როგორც განსასჯელები, დაზარალებული მხარეც უკმაყოფილოა საქმის სასამართლო გამოძიებით.

როგორც პროკურორმა იულია საფინამ ნაფიც მსაჯულებს განუცხადა, სახელმწიფო ბრალდება დარწმუნებულია, რომ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში ბრალი სწორედ სასამართლო დარბაზის გალიაში მყოფ განსასჯელებს მიუძღვით.

პროკურორ იულია საფინას მტკიცებით, გამოძიებას დადგენილი აქვს, რომ ქილერი, რომელმაც ჟურნალისტი სიცოცხლეს გამოასალმა, ანა პოლიტკოვსკაიას სახლთან სწორედ განსასჯელების იბრაგიმ და ჯაბრაილ მახმუდოვების ავტომანქანიდან გადმოვიდა. პროკურორის მტკიცებითვე, ექსპერტ-კრიმინალისტებმა დაადგინეს, რომ მკვლელობის იარაღზე აღმოჩენილი ტყავის ბუსუსები მახმუდოვების ავტომანქანის სავარძელზე გადაკრული ტყავის იდენტური იყო.

სახელმწიფო ბრალმდებელმა, განსასჯელების ბრალეულობის დასადასტურებლად განსასჯელების მიერვე განხორციელებული სატელეფონო საუბრების დეტალიზებაც მოახდინა. ბრალდების მხარის არგუმენტებს განსასჯელების ადვოკატები კვლავ არ დაეთანხმნენ.

მხარეებს შორის გამართული კამათისას პროკურორ იულია საფინას არაფერი უთქვამს მკვლელობის დამკვეთზე, თუმცა განაცხადა, რომ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის შეკვეთა განსასჯელი ძმების მახმუდოვების ბაბუამ ლომ-ალი ჰაიტუკაევმა მიიღო. სახელმწიფო ბრალმდებლის განმარტებითვე, განსასჯელების ბაბუას ლომ-ალი ჰაიტუკაევს მკვლელობა 2006 წლის ივნისში დაუკვეთეს, მან კი ეს დავალება ყოფილ სამართალდამცველს სერგეი ხაჯიყურანოვს გადასცა, რადგან აგვისტოში თავად აღმოჩნდა ციხეში. როგორც გაირკვა, ამ დროს სასჯელს იხდიდა ხაჯიყურბანოვიც.

განსასჯელების ინტერესების დამცველების განცხადებით, სახელმწიფო ბრალდებამ ვერანაირად ვერ დაასაბუთა, როგორ და რა გზით მოხდა მკვლელობის შემკვეთის შეცვლა, მაშინ, როცა გაიტუკაევი და ხაჯიყურბანოვი სასჯელს რუსეთის სხვადასხვა ქალაქში იხდიდნენ.

გარდა ამისა, განსასჯელების ადვოკატების განმარტებით, სახელმწიფო ბრალდებამ ვერ დააკონკრეტა, როგორ დაიყოლია და ჟურნალისტის მკვლელობის საქმეში ჩართო ხაჯიყურბანოვმა ძმები მახმუდოვები.

როგორც განსასჯელების ინტერესების დამცველები განმარტავენ, ჰაიტუკაევი ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეში მხოლოდ მოწმის სტატუსით ფიგურირებს. ლომ-ალი ჰაიტუკაევმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ როგორც მისთვის გამომძიებლებისგან გახდა ცნობილი, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობისთვის 2 მილიონი დოლარი იყო გადახდილი.

როგორც ძმებ მახმუდოვების ინტერესების დამცველი აცხადებს, ადამიანები, რომლებიც შესაძლოა, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის დამკვეთები აღმოჩნდნენ და რომლებიც მკვლელობის საქმეში ფიგურირებენ, არც კი დაკითხულან.

**საქმის მასალებში მრავლად არის იმ ადამიანთა გვარები, რომლებსაც ანა პოლიტკოვსკაია მკაცრად აკრიტიკებდა საკუთარ სტატიებში. გამოძიების მასალების მიხედვით, ჟურნალისტის მკვლელობის მოტივი სწორედ მისი კრიტიკული პუბლიკაციები გახდა. თუმცა, არავინ დაინტერესებულა საგამოძიებო მოქმედებები ჩაეტარებინათ იმ ადამიანებთან, რომლებიც ანა პოლიტკოვსკაიას კრიტიკის ობიექტები იყვნენ,** - აცხადებს იბრაგიმ და ჯაბრაილ მახმუდოვების ინტერესების დამცველი.

გამოძიების ვერსიით, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის შემსრულებელი იბრაგიმ და ჯაბრაილ მახმუდოვების მესამე ძმა რუსტამ მახმუდოვია, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული.

## იურიდიული დახმარების სამსახური ახალ საკადრო პოლიტიკას შეიმუშავებს

ბაკურიანში დასრულდა სამუშაო შეხვედრა, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგისა და ანალიზის განყოფილების იურისტებისა და იურიდიული დახმარების ბიუროების უფროსების მონაწილეობით გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებმა ბიუროს უფროსის, საზოგადოებრივი ადვოკატის, კონსულტანტისა და სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების, მათი რანგირებისა და შეფასების საკითხები განიხილეს. შეხვედრას კომპანია "ინტეგრირებული მენეჯმენტის ჯგუფის" ექსპერტები უძღვებოდნენ.

იურიდიული დახმარების სამსახური, აღნიშნულ კომპანიასთან თანამშრომლობით, ბიუროს უფროსების, საზოგადოებრივი ადვოკატების, კონსულტანტებისა და სპეციალისტების თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დახვეწის პროექტზე მუშაობს. პროექტი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მიზნად ისახავს იურიდიული დახმარების სამსახურის ადამიანური რესურსების განვითარების შემდგომი პოლიტიკის შემუშავებას. იურიდიული დახმარების სამსახური სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში მოქმედებს და მოქალაქეებს უფასო სამართლებრივ დახმარებას უწევს. სამსახურის 10 იურიდიული დახმარების ბიურო და 2 საკონსულტაციო ცენტრი კახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, გურიის, აჭარის რეგიონებსა და თბილისში ფუნქციონირებს. ამ დროისთვის იურიდიული დახმარების სამსახურში 90 საზოგადოებრივი ადვოკატი და 23 კონსულტანტ-სპეციალისტია დასაქმებული. გასულ წელს მათ სამართლებრივი დახმარება 14 ათასზე მეტ მოქალაქეს გაუწიეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## 16 წლის ბიჭი მძიმედ დაჭრეს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესაში 16 წლის გიორგი მიქაბერიძე მძიმედ დაჭრეს. შემთხვევა გუშინწინ, გვიან ღამით მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, მას ჭრილობა გულმკერდისა და მუცლის არეში მეგობარმა მიაყენა. დანაშაულში ეჭვმიტანილი დაკავებულია. სამართალდამცველები ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ მიქაბერიძე მეგობართან ერთად ქეიფობდა, რასაც მათ შორის დაპირისპირება მოჰყვა. დაზარალებული ახალგაზრდა სასწრაფოდ გადაიყვანეს ლანჩხუთის სამედიცინო ცენტრში, სადაც მას ურთულესი ოპეარციები ჩაუტარდა. მისი მდგომარეობა ამჟამად მძიმეა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## პოლიციამ რუსეთის მოქალაქე დააკავა

საქართველოს შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის თანამშრომლებმა საზღვრის უკანონო გადმოკვეთისთვის რუსეთის მოქალაქე დააკავეს.

35 წლის ადიღეელი რუსტამ შეუჯენი ფსოუს არალეგალური საკონტროლო-გამშვები პუნქტით უკანონოდ შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე - ჯერ აფხაზეთში შემდეგ კი ზუგდიდში. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## ორჯერ მოგებული სასამართლო პროცესი

გასულ წელს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო 2006 წლის 28 სექტემბრის სს ინფოჯორჯია XXI"-ს აქციონერთა რიგგარეშე კრების ოქმი, - "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" საზოგადოების აქციონერობიდან გარიცხვის საკითხზე. ამ სასამართლო გადაწყვეტილებით გაერთიანებულმა ტელეკომმა" სს ინფოჯორჯია XXI" (საინფორმაციო ცენტრი 09)-ს პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესი მოუგო. თუმცა, ინფოჯორჯიამ" ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

2009 წლის 10 თებერვალს სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სს ინფოჯორჯია XXI"-ის სარჩელი, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ტელეკომის" აქციონერთა რიგებიდან გარიცხვა მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. ამ ხნის განმავლობაში გაერთიანებული ტელეკომი" ინფოჯორჯიაში" ვერ ახორციელებდა მეწარმეთა შესახებ" კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს. ამ სასამართლოს გადაწყვეტილებების შემდეგ, კომპანია უკვე მოითხოვს საკუთარი წევრის დანიშვნას და ზიანის ანაზღაურებას.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## პარლამენტი "პატიმრობის კოდექსის" პროექტის განხილვას უბრუნდება

ჯერ კიდევ წინა პარლამენტში ინიცირებულ "პატიმრობის კოდექსის" პროექტის განხილვას მოქმედი პარლამენტი ახლა უბრუნდება.

"პატიმრობის კოდექსის" პროექტს, რომელიც ბევრი ნოვაციით არის მნიშვნელოვანი, ხვალ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი არსენიშვილი და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი პავლე კუბლაშვილი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან დიმიტრი შაშკინთან და იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილესთან თინა ბურჯალიანთან ერთად განიხილავენ.

ხანგრძლივი დისკუსიის და სამუშაო განხილვების შემდეგ "პატიმრობის კოდექსის" ინიცირება წინა პარლამეტში მოხდა, თუმცა პროექტის განხილვის პროცედურა ინიცირებისთანავე შეჩერდა. ეს ფაქტი არაერთხელ გააპროტესტა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელმა ელენე თევდორაძემ, რომელიც პროექტის განხილვის შეჩერებაში გენერალურ პროკურატურას ადანაშაულებდა.

**პირველი**

## მეუღლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერტიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს 1962 წელს დაბადებული ავთანდილ ულუმბელაშვილი, რომელმაც ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ნაჯახის თავში ჩარტყმით მოკლა მეუღლე, 1969 წელს დაბადებული ნაზიბროლა ვაშაყმაძე.

სამართალდამცველების ინფორმაციით, დაკავებულმა დანაშაული აღიარა. ამოღებულია მკვლელობის იარაღი. მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით. გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## კიევის ცენტრში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

გუშინ დილით, კიევის მილიციის თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, დამნაშავეების დაკავებისას რეზინის ტყვიები გამოეყენებინათ.

როგორც კიევის შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, ინციდენტი შოთა რუსთაველის გამზირზე 14 საათზე მოხდა. დაკავებულია საქართველოს ორი მოქალაქე.

დამნაშავეებმა, რომელთაც ბრალად მსუბუქი ხულიგნობა ედებათ, ავტომობილიდან დოკუმენტებით სავსე პორტფელი მოიპარეს. დაკავებისას ბოროტმოქმედმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა. მილიცია ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ, იძულებული გახდა, ბოროტმოქმედები რეზინის ტყვიით დაეჭრა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## შიმშილობას ორი ქალი პატიმარი განაგრძობს

მეათე დღეა ორი პატიმარი ქალი შიმშილობას განაგრძობს. ისინი ლურსმნით არიან დაჭედებულები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-5 დაწესებულებაში, - აცხადებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სალომე მახარაძე.

7 თებერვალს მე-5 დაწესებულებაში პატიმარმა ნონა საბაშვილმა ხელ-ფეხი ლურსმნით დაიჭედა და შიმშილობა გამოაცხადა. მას მოგვიანებით პატიმარი ლეილა სარქისოვაც შეუერთდა. აქციას სხვა პატიმრებიც შეუერთდნენ, თუმცა მათ შიმშილობა გუშინ შეწყვიტეს.

როგორც შიმშილობის აქციის ერ-ერთი მონაწილე პატიმრის ანა მაზანაშვილის ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა შიმშილობა შეწყვიტა. მაზანაშვილს პირი ჰქონდა ამოკერილი. მას ტრეფიკინგში მონაწილეობა ბრალდება და ათწლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.

ნიკოლაიშვილის თქმით, მაზანაშვილის საქმეს მარტში სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში გაიგზავნება. ამ ეტაპზე ადვოკატი მაზანაშვილს დაპირდა, რომ მასალებს შეაგროვებს და პროკურატურას მიმართავს შუამდგომლობით.

**მედიანიუსი**

# პატარა დამნაშავეები

## უკვე გაჩნდნენ მსჯავრდებულები, რომელთა ასაკიც 12-13 წელია

თამარ კაციტაძე



*სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, ამჟამად არასრულწლოვანთა დაწესებულებაში 170 არასრულწლოვანი იხდის სასჯელს. აქედან ყველაზე პატარა 14 წლისაა. მას რამდენიმე დღეში 15 წელი უსრულდება. თუმცა, ქართულ მართლმსაჯულებას უკვე ჰყავს მსჯავრდებულები, რომელთა ასაკიც 12-13 წელია.*

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პარალელულად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ირწმუნება, რომ 2008 წლის 11 თვის განმავლობაში აღრიცხულია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი 700 დანაშაული, საიდანაც გახსნილი არ არის არც ერთი ფაქტი. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკით კი, 2008 წელს სხვადასხვა დანაშაულისთვის მსჯავრდებულია 1166 არასრულწლოვანი, რომელთა შორის 47 გოგონაა (იგულისხმება წინა წლებში ჩადენილი დანაშაულებიც, რომელთა განხილვას სასამართლოს სამივე ინსტანციაში წლები დაჭირდა).

უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის ლიდერობს ქურდობა. ამ სტატისტიკით, სასამართლოების მიერ განხილულია 619 ქურდობის ფაქტი, 108 ძარცვის, 80 ყაჩაღობის. განზრახ მკვლელობისთვის 2008 წელს გასამართლებულია 31 არასრულწლოვანი, ნარკოტიკული დანაშაულისთვის კი -38.

მართლმსაჯულების მონაცემებით, მოსამართლეებმა პატიმრობა გამოიყენეს 381 არასრულწლოვანის მიმართ. აქედან - ერთ წლამდე პატიმრობა მისჯილი აქვს 35 არასრულწლოვანს, 1-დან 2 წლამდე - 78-ს, 2-დან 3 წლამდე - 62-ს, 3-დან 5 წლამდე - 95-ს, 5-დან 10 წლამდე - 87-ს, 10-დან 15 წლამდე- 24-ს. პირობითი მსჯავრი შეეფარდა 724-ს მოზარდს, ხოლო სხვა სახის სასჯელი შეეფარდა 61 არასრულწლოვან დამნაშავეს.

წინა წლებთან შედარებით შეიცვალა მსაჯვრდებულთა ასაკიც. ძირითადად, დანაშაული ჩადენილია იმ არასრულწოვანთა მიერ, რომელთა ასაკიც 14-15 წელია - ასეთ შემთხვევაა 299, 16-17 წლის მსჯავრდებულია - 865. თუმცა, გასულ წელს საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, უკვე გაჩნდნენ მსჯავრდებულები, რომელთა ასაკიც 12-13 წელია. სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, ამ ასაკის ერთი მოზარდი სასამართლომ ყაჩაღობისთვის, ერთიც კი, განზრახ მკვლელობისთვის გაასამართლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სპიკერი-მოსამართლის მაია ჯვარშეიშვილის ინფორმაციით, გასულ წელს დედაქალაქის პირველი ინსტანციის მართლმსაჯულებამ ძარცვისთვის გაასამართლა 13 წლის მოზარდი, რომელსაც სასჯელის ზომად ჯარიმა შეეფარდა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მოზარდს სასჯელი პირობითი მსჯავრით დაუმძიმა.

როგორც ცნობილია, 2008 წლის ივლისში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ძალაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის დანაშაულზე პასუხისმგებლობის ასაკმა 14-დან 12-წლამდე დაიწია. ანუ პასუხისგებაში მიეცემა მცირეწლოვანი - 12 წლის ბავშვიც, თუ მას ამხელენ მძიმე კატეგორიის დანაშაულებში: განზრახ მკვლელობაში, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, გაუპატურებაში, ძარცვაში, ყაჩაღობასა და იარაღის - მათ შორის ცივი იარაღის შენახვაში.

თავის დროზე, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას ამ ინიციატივას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებშიც.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა - გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტმა, ჰუმან რაითს ვოთჩმა , წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაციამ , ციხის საერთაშორისო რეფორმამ და ადამიანის უფლებათა ცენტრმა თავის დროზე შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში ბავშვთა უფლებების სფეროში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

**საქართველომ უნდა გააუქმოს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას 12 წლის ასაკიდან ადგენს. გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტი დაჟინებით მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ დაუყოვნებლივ აღადგინოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წლიდან, რათა შესაბამისობაში მოვიდეს კომიტეტის ერთ-ერთ ზოგად კომენტართან (კონვენციის სახელმძღვანელო განმარტებები). კომენტარი ცალსახად მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ არ შეამცირონ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის უკვე არსებული მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 12 წლამდე და ის თანდათანობით გაზარდონ,** - ასეთია გაერო-ს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის რეკომენდაცია.

გაეროს-ს კომიტეტი აცხადებს, რომ საქართველო ჯერ კვლავ შორსაა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებისაგან, რომელიც უზრუნველყოფს 12 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანთა გასამართლებას სამართლიანი სასამართლოსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საყოველთაო პრინციპების შესაბამისად.

კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს, ჩამოაყალიბოს სასამართლოები არასრულწლოვნებისთვის და არასრულწლოვანთა საქმეებზე დანიშნოს

სპეციალიზირებული მოსამართლეები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული სხვა სპეციალისტებისთვის ჩაატაროს სათანადო ტრენინგ-სწავლება.

კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას ეფექტური მექანიზმების არარსებობის გამოც, რომელიც უზრუნველყოფდა ბავშვების მიმართ პატიმრობის ზომების მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და რაც შეიძლება მოკლე ვადით გამოყენებას.

**როდესაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის შემცირებისათვის საკანონმდებლო ცვლილებები მიიღეს, საქართველომ იკისრა ვალდებულება, რომ 12 და 13 წლის არასრულწლოვანებისათვის და აგრეთვე კანონთან კონფლიქტში მყოფი ყველა ბავშვისთვის შექმნიდა მართლმსაჯულების სათანადო სისტემას. მხოლოდ ასეთი მექანიზმების არსებობა აძლევს სახელმწიფოს შესაძლებლობას უპასუხოს გაერო-ს ბავშვთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებს,"** - აცხადებს ორგანიზაცია ციხის საერთაშორისო რეფორმის" სამხრეთ კავკასიის ოფისის დირექტორი მერი მერფი.

გარდა სანქციებისა, საკანონმდებლო ცვლილების მეორე ნაწილით, უნდა შემუშავებულიყო სპეციალური პროგრამა, რომლის საფუძველზეც, არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლეების, პროკურორებისა და გამომძიებლების მომზადება მოხდებოდა. ამის თაობაზე დავალება შესაბამისმა უწყებებმა მიიღეს კიდეც.

გარდა ამისა, კოდექსში შეტანილი ცვლილებით, უნდა შექმნილიყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალიზირებული დაწესებულება - საპატიმრო 12-დან 14 წლამდე მსჯავრდებულებისთვის.

მიუხედავად იმისა, არასრულწლოვან დამნაშავეთა ასაკი უკვე შემცირებულია, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი დათქმაა შესრულებული, რომელიც ამ კანონის ამოქმედებისთვის იყო სავალდებულო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სპიკერი-მოსამართლის მაია ჯვარშეიშვილის თქმით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ყველა მოსამართლემ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარა სამდღიანი სემინარი სპეციალიზირებული მოსამართლის სტატისის მისაღებად. სისხლის სამართალში, ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში მოსმენილი რამდენიმე ლექციის შემდეგ, ქართველმა მოსამართლეებმა 12-დან 14 წლმადე ასაკის მოზარდების საქმეების განსახილველად საჭირო სერთიფიკატები მიიღეს. რასაც ვერ ვიტყვით პროკურორებზე და გამომძიებლებზე, რომელთა სპეციალურ მომზადებასაც ასევე კანონი ითვალისწინებდა. მათ სასწავლო სემინარიც კი არ გაუვლიათ. აღარაფერს ვამბობთ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალიზირებული დაწესებულების არსებობაზე. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განგვიცხადეს, ამ ეტაპზე ასეთი დაწესებულების შექმნაზე საუბარი არ არის. მეტიც, ეს საკითხი ბიუჯეტშიც კი არ არის გათვალისწინებული.

ამ პრობლემის გამო, თავის დროზე იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა ნიკა გვარამიამ, სასამართლოებს რეკომენდაციით მიმართა და ითხოვა, 12 და 13 წლის მსჯავრდებულებისთვის მოსამართლეებს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა არ გამოეყენებიათ. თუმცა, როგორც სპიკერი-მოსამართლე განმარტავს, ეს მხოლოდ რეკომენდაციაა და მისი შესრულება სავალდებულო არ არის.

ერთი სიტყვით, მცირეწლოვან დამნაშავეებთან დაკავშირებით, კანონით დათქმული პირობა დღემდე შესრულებული არ არის. ამის გამო, ცოტა ხნის წინ საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებით კვლავ მიმართეს - რეფორმების ჩატარებისკენ და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკობრივი ზღვარის გაზარდისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდეს.

ისინი თვლიან, რომ მთავარი მიზანი უნდა იყოს, არა არასრულწლოვანის დასჯა, არამედ, მათი სოციალური რეაბილიტაცია.

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, ამ სფეროში ქვეყანამ ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა უნდა გაითვალისწინოს.

**სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის დაწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს არა სისხლის სამართლის კოდექსი, არამედ სპეციალური კანონი, რომელიც აქცენტს გააკეთებს აღმზრდელობითი და დისციპლინური სახის ღონისძიებებზე და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გაითვალისწინებს, უშუალოდ, სისხლის სამართლის სასჯელის სახეებს, მათ შორის - თავისუფლების აღკვეთას,** - აცხადებს ომბუდსმენი.

UNICEF-ის ექსპერტის ქეროლაინ ჰამილტონის აზრით კი, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება წამოჭრის საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემებს საქართველოსთვის, რადგანაც არ არის მოგვარებული არასრულწლოვანთა რეინტეგრაციის პრობლემები. ქეროლაინ ჰამილტონის აზრით, საჭიროა არსებული სისტემის მთლიანად შეცვლა.

**აქ ციხე წარმოადგენს მომავალი კრიმინალისა და რეციდივისტის ჩამოსაყალიბებელ ადგილს, რაც იზოლატორებში ვნახე, კანონით აბსოლუტურად დაუშვებელია. საქართველოში ბავშვების კრიმინალიზაცია საკმაოდ ადვილად ხდება. ფაქტია, რომ სახელმწიფოს ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის პრევენციისაკენ და არა კანონის გამკაცრებისკენ,** - ასეთია უცხოელი ექსპერტის აზრი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობისას სპეციალურად მოიწვიეს საქართველოში.

ციხის საერთაშორისო რეფორმის" სამხრეთ კავკასიის ოფისის დირექტორი მერი მერფი კი კვლავ ირწმუნება, რომ: **იმის ნაცვლად, რომ 12-13 წლის ბავშვების ციხეში მოთავსების შესახებ გეგმები შეიმუშაოს, აჯობებს, თუ საქართველოს ხელისუფლება შეისწავლის ბავშვთა დანაშაულის პრევენციის მსოფლიოში არსებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. სახელმწიფომ უნდა განავითაროს სოციალური ზრუნვისა და დახმარების, აგრეთვე, სხვა პრევენციული სამსახურები, რომლებიც საქართველოს კულტურისა და პირობების, აგრეთვე მისი ვალდებულებების შესატყვისი იქნება,"** - ასეთია მერი მერფის რეკომენდაცია.

# ზაქაევი დაბრუნებას არ აპირებს

*აჰმედ ზაკაევი ემიგრაციიდან დაბრუნებას მანამდე არ აპირებს, ვიდრე ოფიციალური მოსკოვი ჩეჩნეთის კონფლიქტის პოლიტიკური რეგულირების შესახებ მოლაპარაკებებს არ დაიწყებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი განცხადება გააკეთა ამჟამად ლონდონში მცხოვრებმა ყოფილმა საველე მეთაურმა და ასლან მასხადოვის მთავრობის ვიცე-პრემიერმა "ბი-ბი-სი"-ს რუსულ განყოფილებასთან ინტერვიუში.*



ბრიტანულმა სამაუწყებლო კორპორაციამ ჩეჩნეთის ყოფილ საველე მეთაურთან ინტერვიუს ჩაწერა ჩეჩნეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვის განცხადების შემდეგ გადაწყვიტა. კადიროვის თქმით, ზაკაევი მასთან დაბრუნების პირობებს განიხილავდა.

**"ზაკაევს დაბრუნება სურს. მე მას უკვე ვესაუბრე,"** - განაცხადა კადიროვმა "როსიისკაია გაზეტასთან" ინტერვიუში.

ამავდროულად, რუსეთის გენპროკურატურას, რომელიც ზაკაევს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით დაუსწრებლად ადანაშაულებს, თავისი პოზიციის შეცვლის შესახებ არავითარი განცხადება არ გაუკეთებია.

**ბი-ბი-სი: ბატონო აჰმედ, რამზან კადიროვი ირწმუნება, რომ მასთან საუბარში თქვენ ჩეჩნეთში დაბრუნების მზადყოფნა გამოგითქვამთ. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?**

**აჰმედ ზაკაევი:** რამზან კადიროვი პირველად არ აკეთებს ასეთი ტიპის განცხადებას. მე მასთან არასდროს განმიხილავს ჩემი დაბრუნების საკითხი და, მით უმეტეს, ჩემი მხრიდან არაფერს დავპირებივარ. მეტიც, ჩემი დასაქმება მხოლოდ რამზან კადიროვს არ აწუხებს. პუტინსაც არაერთხელ გამოუგზავნია ჩემთან თავისი წარმომადგენლები. თქვენ წარმოიდგინეთ, რამზან კადიროვის ადგილიც კი შემომთავაზა. მე მას მადლობა გადავუხადე. ცხადია, მადლობის თქმა ახლაც შემიძლია მათთვის, ვინც ჩემი მომავალით არის შეწუხებული, მაგრამ ჩემი პოზიცია პრინციპულად განსხვავდება მათგან, რომლებმაც დღეს რუსეთის ხელისუფლების ირწმუნეს და, ფაქტობრივად, საკუთარ ხალხს ატერორებენ.

რამზანს, შესაძლოა, არ ესმის, რომ რუსული ხიშტებით ხელისუფლებაში მოსვლა შეიძლება, მაგრამ ასე გაძლება პრაქტიკულად შეუძლებელია. მასზე ცოტა ხნის წინ განხორციელებული თავდასხმა სწორედ ამაზე მეტყველებს. ვფიქრობ, მისთვის უმჯობესი იქნება, პირველ რიგში საკუთარ უსაფრთხოებაზე იზრუნოს, სამუშაო ადგილს კი რამენაირად თავად ვიპოვნი.

იჩქერიის ჩეჩნური რესპუბლიკის პარლამენტმა სწორედ რამდენიმე დღის წინ ხელახლა დაამტკიცა ჩემი, როგორც იჩქერიის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის უფლებამოსილება. ჩვენი მთავრობა მუშაობს და დარწმუნებული ვარ, რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტის გადაჭრის გასაღები სამხედრო სფეროში, სამხედრო ოპერაციებსა და მოქმედებებში კი არა, არამედ პოლიტიკურ სიბრტყეზეა მოსაძებნი. ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობთ და მზად ვართ, გავაგრძელოთ დაწყებული საქმე.

ამის შესახებ მე წინა ინტერვიუშიც ვთქვი. ვაცხადებდი, რომ ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის თვით რამზან კადიროვის წარმომადგენლებთანაც კი. ასე რომ, რამე ახლის დამატება არ შემიძლია.

**ბი-ბი-სი: რა პირობებით დათანხმდებოდით ჩეჩნეთში დაბრუნებას?**

**აჰმედ ზაკაევი:** პირადად მე არავითარი პირობები არ მაქვს. უბრალოდ, ვიტყვი, რომ აუცილებელია რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტის გადაჭრა. ეს რამზან კადიროვის დროს არ დაწყებულა. 1991 წელს აღდგა ჩეჩნეთის სახელმწიფოებრიობა და სწორედ ამ დროიდან დაიწყო რუსეთისა და ჩეჩნეთის დაპირისპირება, რომელიც დღემდე არ დასრულებულა. კონფლიქტს განსხვავებული ფორმები ჰქონდა, იყო მშვიდობიანი პერიოდიც და იყო დრო, როცა სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა.

დღეს ეს საკითხი არ არის გადაჭრილი და თავისთავად ცხადია, ვიდრე არ მოიძებნება პოლიტიკური გადაჭრის ხერხი, კერძოდ - რუსეთისა და ჩეჩნეთის თანაარსებობის პოლიტიკური ფორმულა, რამე სტაბილურობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია და არავინ თქვას, რომ სტაბილურობის გარანტირება შეუძლია.

მოდით, ასე ვთქვათ, ამ ვითარებაში რამე პირობების წაყენება ან დღევანდელ ჩეჩნეთში რამე თანამდებობაზე მოლაპარაკება ძალიან დიდი უგუნურება იქნებოდა. მე ამისთვის ნამდვილად არ ვარ მზად.

ვფიქრობ, ადრე თუ გვიან თავად რუსეთში გამოჩნდებიან ისეთი ძალები, რომლებიც ამ კონფლიქტის გადაჭრით იქნებიან დაინტერესებულნი. სწორედ მაშინ გაჩნდება იმ ხალხზე მოთხოვნა, რომლებიც დღეს დაჟინებით უჭერენ მხარს რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით გადაწყვეტას.

**ბი-ბი-სი: თქვენ მშვიდობიანი გზით პოლიტიკურ რეგულირებაზე საუბრობთ, მაგრამ ცოტა ხნის წინ რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა თქვენ ჩეჩნეთში შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბებაში დაგადანაშაულათ.**

**აჰმედ ზაკაევი:** ეს "ფსბ"-ს მორიგი პროპაგანდაა. ისინი სწორედ ამ გზით კიდევ ერთხელ ცდილობენ თავიანთი დამოკიდებულების აფიშირებას ჩემ და იმის მიმართ, რისკენაც ჩვენ ვისწრაფვით. ჩვენი პოზიცია უცვლელია: რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაჭრა შეუძლებელია. ჩეჩნეთში რამე დამატებითი სამხედრო სტრუქტურების შექმნა აბსოლუტურად არ შედის თქვენს ინტერესებში. ეს აბსურდია, რადგან ჩვენ კარგად გვესმის, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა ძალისმიერი მეთოდებით არ შეიძლება, ხოლო წინააღმდეგობის გასაგრძელებლად აუცილებელი ძალები უკვე ჩამოყალიბებულია და არსებობს.

**ბი-ბი-სი: კადიროვის განცხადება, რომელიც ჩეჩნეთში თქვენი დაბრუნების სურვილს გამოხატავს, ხომ არ მოწმობს რამე განხეთქილებას კადიროვსა და კრემლს შორის?**

**აჰმედ ზაკაევი:** შესაძლოა, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით ჩეკისტების მეთოდები. ეს მეთოდები ჯერ კიდევ თეთრების ემიგრაციის პერიოდიდანაა ნაცნობი. რა პირობითაც არ უნდა დავბრუნდე შინ, შემდგომ ეს გამოცხადდება, როგორც საერთაშორისო ტერორისტის დაკავების წარმატებული ოპერაცია. მე ამას ძალიან მშვიდად ვუყურებ. არ ვიცი, რამზან კადიროვი რამდენად ენდობა მათ, მაგრამ მის ადგილზე მე ასეთ ნდობას არ გამოვიჩენდი, რადგან რამზან კადიროვმა კარგად იცის, თუ ვინ დგას მამამისის მკვლელობის უკან. ამ ვითარებაში მათი ნდობა და ჩემი უსაფრთხოების გარანტად მათი ცნობა, ვფიქრობ, ძალიან დიდი შეცდომა იქნებოდა.

# სამხედრო გარიგება მოსკოვსა და თეირანს შორის

მარიკა იაშვილი

რუსეთსა და ირანს შორის იარაღითა და თავდაცვის სისტემებით მომარაგების საკითხში თანამშრომლობა რამდენიმე წლის წინათ დაიწყო. თუმცა, ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრის შემდეგ ეს პროცესი, სავარაუდოდ, ახალ ეტაპზე გადავა.

ირანის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი მოსტაფა მოჰამედ ნაჯარი მოსკოვში ორშაბათს ჩავიდა. იგი რუს კოლეგას ორ ქვეყანას შორის სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობაზე ესაუბრა.

ვიზიტის განმავლობაში, რომელიც 18 თებერვალს დასრულდება, ნაჯარი რუსეთის თავდაცვის მინისტრ ანატოლი სერდიუკოვსა და "როსობორონექსპორტის" წარმომადგენლებს შეხვდა. ირანელმა მინისტრმა სამხედრო დანიშნულების ობიექტებიც მოინახულა. ირანის თავდაცვის მინისტრი შეხვედრების დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა მან, სავარუდოდ, კიდევ ერთხელ წამოწია მოსკოვის მიერ თეირანისთვის საზენიტო-სარაკეტო S-300 სისტემების გადაცემის საკითხი.

რუსეთი და ირანი საჰაერო უკვე რვა წელია, თავდაცვითი სისტემების მიწოდების შესახებ მუდმივ მოლაპარაკებებს აწარმოებენ.



*ირანის პრეზიდენტს რუსეთთან თანამშრომლობის იმედი აქვს.*

AFP ' 2009

ექსპერტების ვარაუდით, არ არის გამორიცხული, ამ მოლაპარაკებებს საფრთხე დაემუქროს, რადგანაც რუსეთ-აშშ-ს მოლაპარაკებები უკვე კარზეა მომდგარი და ოფიციალურ მოსკოვს აშშ-ს ახალ ადმინისტრაციასთან პრობლემების შექმნა არ სურს.

მიუხედავად ამისა, ირანული მხარე მაინც თეირანისა და მოსკოვის საერთო ინტერესებზე საუბრობს: "ირანი და რუსეთი საერთო ინტერესების მქონე ქვეყნებია. ორივე ქვეყანა პრიორიტეტულად რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებას მიიჩნევს," - განუცხადა ნაჯარმა ირანის სახელმწიფო ტელევიზიას მოსკოვში ვიზიტის წინ.

რუსეთმა ირანის საზენიტო-სარაკეტო დანადგარებით მომარაგება 2007 წელს დაიწყო. მაშინ მოსკოვმა თეირანს Top-M1 სისტემები გადასცა, რომლებიც ირანის სტრატეგიულ ობიექტებს საჰაერო თავდასხმებისგან იცავს. პირველ რიგში კი, ირანელები ისპაჰანსა და ბუშერში მდებარე ბირთვული ცენტრების დაცვაზე ზრუნავენ, სადაც, დასავლელ დამკვირვებელთა ვარაუდით, ატომურ იარაღზე მუშაობა მიმდინარეობს.

Top-M1-ის გასროლის მანძილი 12 კილომეტრია, სიმაღლე კი 6 კმ, მაშინ რომდესაც ბოლო მოდიფიკაციის S-300-ს მოწინააღმდეგის თვითმფრინავის განადგურება 150 კილომეტრის სიშორეზე და 27 კილომეტრის სიმაღლეზე შეუძლია.

ირანის პარლამენტის საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ისმაილ კუსარის ინფორმაციით, რუსეთმა ირანისთვის S-300 შესაბამისი საჰაერო თავდაცვითი სისტემების მიწოდება უკვე დაიწყო - მიუხედავად იმისა, რომ ორი დღით ადრე ისრაელი მოითხოვდა, რუსეთს თავის გეგმებზე უარი ეთქვა.

საინტერესოა, რომ რუსული მხარე თეირანის იარაღით მომარაგების დაწყებას უარყოფს.

როსობორონექსპორტის გენერალურმა დირექტორმა ანატოლი ისაიკინმა "ნეზავისიმაია გაზეტასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთს ირანი S-300 სისტემებით არ მოუმარაგებია, მაგრამ შესაძლებელია, ეს მომავალში გააკეთოს - იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ხელისუფლება შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

**"თეირანისთვის** S-300-ის **მიწოდების საკითხში არაფერი შეცვლილა და ძირეული ცვლილებები არც ირანის თავდაცვის მინისტრის ვიზიტის შემდეგ არის მოსალოდნელი,"** - აღნიშნა გამოცემა "კომერსანტის" ჟურნალისტთან საუბრისას "როსობორონექსპორტის" პრესსპიკერმა ვიაჩესლავ დავიდენკომ.

ირანული მხარე ამ საკითხზე პირდაპირი კომენტარების გაკეთებას თავს არიდებს. **"რაც შეეხება რუსეთისგან** S-300 **სისტემების ყიდვას, ჩვენ ამ საკითხზე კომენტარს მაშინ გავაკეთებთ, როცა საჭიროდ მივიჩნევთ,"** - აცხადებს ირანის თავდაცვის მინისტრი.


მოიგე ყოველთვე ბინა... და...
წლის ბოლოს 1.000.000
ანაბრების გათამაშება
გახდი მილიონერი!
27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

# რევიუ



16 თებერვალს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნინო ქათამაძემ თბილისის ეროვნული მუსიკალური ცენტრის ორკესტრთან ერთად სოლო კონცერტი გამართა. კონცერტის დირიჟორი და თანაავტორი ნიკა მემანიშვილი გახლდათ.

## ნადირობა ფაშისტებზე

### კვენტინ ტარანტინოს ახალი ფილმის სცენარი ინტერნეტში გამოჩნდა

თანამედროვე კინოს ჰყავს რეჟისორები, რომელთა ყოველი ახალი ნამუშევარი მსოფლიო ყურადღების ქვეშ ექცევა და მის გამოსვლას დაახლოებით ისევე ელიან, როგორც ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს. სწორედ ასეთთა შორისაა კვენტინ ტარანტინო, ამჯერად კი მსოფლიო მაყურებელი მის უსახელო ნაბიჭვრებს ელის. მართალია, ფილმის ოფიციალური რელიზი მხოლოდ 21 აგვისტოს გაიმართება, რამდენიმე რჩეულს მისი ნახვის საშუალება უკვე მაისში, კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე მიეცემა. მანამდე კი მხოლოდ ფილმის ოფიციალური ტრეილერით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომლითაც მხოლოდ მეტ-ნაკლებად შეიძლება იმის გაგება, რას გვიმზადებს ტარანტინო.



უსახელო ნაბიჭვრები ამავე სახელწოდების მქონე 1977 წლის იტალიური ფილმის რიმეიკია. ფილმი ომზეა, მეორე მსოფლიო ომზე, რაც უფრო აძლიერებს ინტრიგას - კვენტინ ტარანტინო ასეთ სერიოზულ თემაზე იღებს ფილმს. თუმცა ის ხომ ბოლომდე სერიოზული არასდროს არაა (ჯერ მარტო ისეთი ფიზიონომია აქვს, რომ მისი სერიოზულობა მაშინვე უნდა გამორიცხო), ფილმის სახელწოდებაც ამავეზე მიგვანიშნებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფილმის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია გასაიდუმლოებული იყო, თავად ტარანტინოს მიერ დაწერილი 167 გვერდიანი სცენარი, რეჟისორის შენიშვნებითა და თავისი გრამატიკული შეცდომებით მაინც აღმოჩნდა ინტერნეტში. სწორედ სცენარის ცალკეული სცენების მიხედვით დაადგინეს, რომ უსახელო ნაბიჭვრები ნაცისტების სისასტიკის მაჩვენებელი სცენებით იქნება სავსე, მაყურებელი ნახავს ბევრ სისხლს და ბევრ ძალადობას, რითაც ომის მთელ საშინელებას შეიგრძნობს. ინტერნეტში გამოქვეყნებული სცენარის ერთ-ერთ ეპიზოდში აღწერილია თუ როგორი სასტიკი მეთოდით კლავენ გერმანელ ოფიცერს, ხოლო საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეს ცოცხლად აძრობენ ტყავს.

ამ ფაქტს გერმანული პრესაც გამოეხმაურა, ერთ-ერთმა გაზეთმა კი აღნიშნა, რომ ტარანტინოს ახალი ფილმი ნაცისტური გერმანიისა და ჰოლოკოსტისგან ერთგვარ პოპ კულტურას შექმნის. უბრალოდ, ტარანტინოს შემთხვევაში სხვანაირად წარმოუდგენელია. იგი ომის სისასტიკეს ისე წარმოგვიდგენს, როგორც სანახაობას , - წერს ერთ-ერთი გერმანელი კინოკრიტიკოსი. იგი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ შესაძლოა, სცენარის ინტერნეტში გაჟონვა ერთგვარი კომერციული ნაბიჯია, ტარანტინო ამით ცდილობს მაყურებლის დაინტრიგებას, სინამდვილეში კი სულ სხვა სცენარის მიხედვით მუშაობს.

უსახელო ნაბიჭვრების გადაღება შარშან ოქტომბერში გერმანიაში დაიწყო. მთავარ როლს, ლეიტენანტ ალდო რეინს ბრედ პიტი თამაშობს, დანარჩენ როლებში კი შედარებით უცნობი მსახიობები არიან, თუმცა ფილმში მაინც შეხვდებით მაიკ მეიერსის პერსონაჟს, ხოლო მთხრობელის როლში სემუელ ლ. ჯექსონი გვევლინება. ადრე გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი გერმანელი ოფიცრის როლში ლეონარდო დიკაპრიო უნდა გადაეღო, თუმცა მოგვიანებით ტარანტინომ გადაწყვიტა, რომ ამ მნიშვნელოვანი როლისთვის გერმანელი მსახიობი უფრო გამოდგებოდა.

ფილმში მოქმედება ფაშისტების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში ხდება. მთავარი პერსონაჟები კი ამერიკელი ებრაელი ჯარისკაცების შენაერთის წევრები არიან, რომლის საახელწოდებაც ნაბიჭვრებია . ეს ელიტარული შენაერთია და ფაშისტების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით არიან ცნობილი.

ამ ფილმის გადაღების იდეა კვენტინ ტარანტინოს ჯერ კიდევ 1997 წელს დაებადა, თუმცა სცენარზე მუშაობა აღარ გაუგრძელებია, რადგან მოკალი ბილის გადაღება დაიწყო.

# ის, ვინც და რაც ქართველებს გამოგვრჩა

## თემურ ჩხეიძეს მედვედევი ღირსების ორდენით აჯილდოებს

სოფო კილასონია

*ამ დღეებში ხმამაღლა თუ არა, კულუარებში მაინც ალაპარაკდებიან თემაზე, უნდა მიელო თუ არა თემურ ჩხეიძეს რუსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისგან ღირსების ორდენი, ანდა, უნდა მიიღოს თუ არა ეს პრემია რუსეთისგან ქართველმა რეჟისორმა. უთუოდ ალაპარაკდებიან და ძალიან ბევრი არ დაიშურებს ვნებასა და ემოციას იმისთვის, რომ ჩხეიძე გააკრიტიკოს. ამისთვის არც ენერგია შემოაკლდება ვინმეს და არც არგუმენტები - რუსები ჩვენ მტრები არიან და ...*



თუ აგვისტოს ომამდე ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან საზოგადოებას გაორებული დამოკიდებულება ჰქონდა, თუ ორი რუსეთის შესახებ არსებული ილუზია საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს, განსაკუთრებით კი "ინტელიგენციას" აბნევდა, ხიბლში აგდებდა, რუსების მიმართ უსაფუძვლო სიყვარულს უღვივებდა, ომის შემდეგ ყველაფერი ბევრად გართულდა. ქართულმა საზოგადოებამ დაღუპულ ქართველებზე გლოვაც კი ვერ მოახერხა იმდენად დიდი იყო გაოგნება, - ეს ხომ მოძმე და ერთმორწმუნე ერმა გაგვიკეთაო, მერე კი, გაოგნებისგან ერთი მხრივ სიმღერა დავიწყეთ სახლში თუ კარში, მეორე მხრივ არარსებულ ისტორიას ვიგონებდით რუსი და ქართველი ერების საუკუნოვან მეგობრობაზე, იყო და არის მესამე მხარეც, - დევიზად დავისახეთ, ისევ ალბათ ამ რუსების ჯიბრით - არც ერთი ფესტივალისა და არც ერთი რუსული "ტუსოვკის" გამოტოვება! - ცოტა ადრე კიდევ იყო სხვებიც, მაგალითად - ახალ წელსაც ვიტინგიცებთ და ყველა პატარა მიზეზის გამოც კი ავმღერდებით! - ჰოდა აგვისტოს მერე იმდენი ვიმღერეთ, ჯერაც ვერ დავწყნარებულვართ და ახლა სიმღერ-სიმღერით დიდი რუსეთისკენ მივილტვით და ათას არგუმენტს ვიგონებთ, თუ რატომ უნდა წავიდეთ იქ. არადა, რთულია არ დაუჯერო ქართული ესტრადის ვარსკვლავებს, მაგალითად სტეფანესა და კახუჩელას, რომლებმაც ესოდენ მაღალი გემოვნების მუსიკალური პროექტი წარმოგვიდგინეს არაერთხელ და თუნდაც, კონკრეტულად საახალწლოდ, თავისუფლების მოედანზე, მთელი რიგი ბაიათების რითმებითა და კიდევ ღმერთმა იცის, რითი შეზავებული. არა, არა. ნომერ პირველი ახალი წლის ღამე იუმორისტული შოუ არ იყო. ნუ დავიმედდებით.

ორგანიზატორებმა მოგვიანებით განაცხადეს, რომ რამდენიმე სიმღერა, (მგონი ერთი მოხუცებულ ბებიებზე იყო), ჰიტები გახდებოდა საქართველოში. ასე რომ, საქმე სერიოზულ ამბავთან გვაქვს.

მოკლედ, მათი და კიდევ სხვა მათი კოლეგების აზრი საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობისთვის ავტორიტეტული გამოდგა და საქართველოს წარმოამდგენლები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უგემოვნო მუსიკალურ ფესტივალზე მონაწილეობისთვის რუსეთს გაეშურებიან. რუსეთსა და რუსებს, რომელბსაც ერთდროულად უაზრო ფამილარობით გაჟღენთილ სითბოს და განრისხებულ ზიზღიან ემოციებს ვესვრით, თავს მაინც ვერ ვანებებთ (შესაბამისად, არც ისინი დაგვანებებენ) და მიუხედავად ამისა, მედვედევი თემურ ჩხეიძეს ღირსების ორდენით აჯილდოებს რუსულ კულტურაში შეტანილი დიდი წვლილისა და ღვაწლისთვის, აი, ამაზე აშკარად დავძაბავთ სახეთა გამომეტყველებას და ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად შევეკითხებით - გაიგე?..

ამბივი კი ასეთია. რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, 16 თებერვალს მოაწერა ხელი განკარგულებას, რომლის თანახმადაც ცნობილი რეჟისორი, ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის ხელმძღვანელი, მსოფლიოს დიდი საოპერო და დრამატული თეატრების გახმაურებულ წარმოდგენათა ავტორი - თემურ ჩხეიძე რუსეთში ღირსების ორდენით დაჯილდოვდება.

წელს ტოვსტონოგოვის სახელობის თეატრის დაარსებიდან 90 წლისთავს აღნიშნავენ. თემურ ჩხეიძეს მართლაც ლეგენდარულ თეატრში არაერთი ათეული სპექტაკლი აქვს დადგმული, და საერთოდ, თეატრის წარმატებულ მოღვაწეობას ბოლო წლებში ყველა თემურ ჩხეიძეს უმადლის. ეს იყო ის წლები, როცა ჩხეიძე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში მსახიობებმა არ აირჩიეს რეჟისორად. ეს მოხდა იმ თეატრში, სადაც მსახიობები ხმამაღლა ღაღადებდნენ, რომ მიხეილ თუმანიშვილის შემდეგ ძლიერი რეჟისორი ენატრებოდათ, რატომღაც მაშინ თემურ ჩხეიძეს ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი არჩიეს. ეს იყო კიდევ ის წლები, როცა ჩხეიძე ფაქტობრივად გაუშვეს მარჯანიშვილის თეატრიდან. რა მოხდა მარჯანიშვილის თეატრში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ალბათ ჩვენს მკითხველს ბევრად უკეთ ახსოვს. თეატრში ახალი მენეჯმენტის შეტანის ინიციატივით შეიცვალა ადმინისტრაცია და მასთან ერთად მთავარი რეჟისორიც. დღეს წვრილმანებს მნიშვნელობა აღარ აქვს... მარჯანიშვილის თეატრში საერთოდ სულ სხვა თეატრი დაიწყო. სულ სხვა ესთეტიკის, ამოცანებისა და სულ სხვა ფასეულობების. ჩხეიძე საქართველოდან ბოლომდე მაინც არ წასულა. წელიწადში ერთი-ორი დადგმის განხორციელებას მაინც ცდილობდა სხვადასხვა თეატრებში. სამეფო უბნის თეატრში დადგა სპექტაკლი "ზღვა, რომელიც შორია", სპექტაკლი, რომელიც თეატრის ერთგული მაყურებლისა და კრიტიკისთვის ბოლო წლებში განხორციელებული საკუთესო თეატრალური დადგმა გახდა. ზუსტად შერჩეული პრობლემით, მისთვის ზუსტადვე მორგებული ფორმით და რაც მთავარია, სპექტაკლი აზრით, იდეითა და კათარზისით.

ამავე თეატრის ბაზაზე რეჟისორმა ჩამოაყალიბა შემოქმედებითი სახელოსნო, სადაც ახალგაზრდა რეჟისორებთან, თეატრის მხატვრებთან და მსახიობებთან ერთად მუშაობდა. სამწუხაროდ სახელოსნო მალევე დაიხურა. ახალი კანონების მიხედვით ასეთი ინსტიტუციების არსებობა შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ წლების განმავლობაში თემურ ჩხეიძის, როგორც რეჟისორის, ანდა როგორც პედაგოგის შესაძლებლობათა მნიშვნელობა ვერავინ დაინახა. მაშინაც კი ვერ ხვდებოდნენ მისი თეატრის საჭიროებას საქართველოში, როცა მორიგ საცირკო წარმოდგენას, ანდა მაყურებლის შეურაცხყოფის მცდელობებს უყურებდნენ თეატრების დიდსა და მცირე სცენებზე. მახსოვს, ერთ-ერთი კულტურის მინისტრმა, ამჟამად უკვე ყოფილმა, ერთხელ ერთი თეატრის ფოიეში როგორ უთხრა ჩხეიძეს, ბატონო თემურ, უნდა შევხვდეთ და გავისაუბროთო და რეჟისორმაც უპასუხა, აქ ვარ და გელოდებითო. თუმცა საუბარი არ შემდგარა. რეჟისორი არავის არაფერს სთხოვდა, არც არაფერს ამბობდა საჯაროდ, სხვა მისი კოლეგებისგან განსხვავებით, მისდამი გამოხატული ინდეფერენტულობისთვის არც პოლიტიკური კონტექსტი მიუნიჭებია და არც თავად გამხდარა პოლიტიკური ლოზუნგების ავტორი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ ელოდა... ანდა არ ველოდით ჩვენ, ნამდვილ თეატრზე შეყვარებული, აზრის, გონების, სათქმელის მქონე თეატრს მონატრებული მაყურებელი.

ცხადია, ელოდა და ალბათ განსაკუთრებით აგვისტოს ომის დროს და მას შემდეგ. როცა ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ თბილისში იყო და არსად წასვლას, დაბრუნებას არ აპირებდა. მაგრამ რა ამით? ნუ მიპასუხებენ, თითქოს და კულტურისთვის ვერავინ მოიცლიდა ომის დროსა და შემდგომ. ეს პასუხი პასუხებში ჩასათვლელიც არ იქნება, რადგანაც ზემოთ უკვე მოგაგონეთ და კიდეც განვმეორდები, რომ ომის დროსაც და მას შემდეგ დღემდე ათასი ვითომ კულტურული ღონისძიებისა და პროექტისთვის მოვიცალეთ. ფულიც დავხარჯეთ. ასე რომ, გარემოებებს ნუ დავაბრალებთ.

რა ელოდა ჩხეიძეს თბილისში? სავარაუდოდ, უმუშევრობა. დიდი-დიდი, მარჯანიშვილის თეატრში ამჟამად რეპერტუარში არსებული სამი ძველი დადგმის რეპეტიციებს თუ დაესწრებოდა პერიოდულად. სამეფო უბნის თეატრშიც კი ვერ დადგამდა ვერაფერს. ამ თეატრს მცირეოდენი დაფინანსებაც კი შეუწყვიტა თბილისის მერიამ... მერიამ, რომელის შეხედულება და ინიციატივა კულტურაზე ზურაბ წერეთლის ძეგლების თბილისში დამონტაჟებით იწყება და ნეკა სეფისკვერაძის მიერ ღია ცის ქვეშ ორგანიზებული კონცერტებით სრულდება. საქმე უმუშევრობაშიც არაა, საკითხს ხანდახან მაინც უნდა შევხედოთ სხვაგვარადაც. ქართული კულტურის მოღვაწეთა ის წარმომადგენლები, რომლებიც პაპსა, მასკულტურულ ხელოვნებას არ ქმნიან, ერთნაირად იმედგაცრუებულნი არიან ჩვენს ქვეყანაში. მათთვის კულტურის პოლიტიკაში დღემდე დასმული აქცენტები პირდაპირი წყარო გახლავთ უიმედობისა და საქართველოდან გაქცევის ქვეცნობიერ წყურვილის.

- ღირს კი ამ კულტურული სივრცისთვის მსხვერპლად გაიღო თავი და საკუთარი შესაძლებლობები? - ზუსტად ეს თუ არა, ამის მსგავსი კითხვა ალბათ ბევრს დაუსვამს საქართველოში. მართალია თუ არა ამ კითხვის ყოველი ავტორი, სულ სხვა თემაა და თანაც მათ სიმართლესა თუ შეცდომებს დრო წარმოაჩენს და დრო დაგვანახებს. მე მხოლოდ ფაქტებზე მივუთითებ. ბოლო წლებში ძალიან ბევრი ახალგაზრდა ხელოვანიც კი წავიდა. ეს წასვლა ბევრად მძიმედ მეჩვენება ვიდრე 90-იანი წლების ემიგრაციის ტალღა. მაშინ მიდოდნენ იმედით, დღეს მიდიან იმედგაცრუებით. და მაინც, ეს მათი არჩევანია. ამ ეტაპზე წასვლის მიზეზებს ხომ არავინ განიხილავს.

თემურ ჩხეიძემ გადაწყვეტილება მიიღო, ესეც მისი არჩევანია, - დაბრუნდა თეატრში სადაც მას ელოდა მთელი დასი. თეატრი, რომლის გარეშეც რუსეთში ზოგადად თეატრი არ წარმოუდგენიათ და რომელიც მართლაც გამოირჩევა უდიდესი პროფესიონალიზმით, საუკეთესო მსახიობებით დასში და იმ მიგნებებით, რომლითაც მაყურებელს აოცებენ როგორც რუსეთში, ისე გასტროლებზე, დასავლეთში. ოღონდაც ეს არ არის ის გასტროლები, რომლის დადებით შედეგებზეც მხოლოდ გასტროლიორები და მათი ამალა რომ მსჯელობენ ხოლმე.

ამ წერილის წერა თემურ ჩხეიძის გადაწყვეტილების შესაფასაბლად არ დამიწყია. ყველამ ისე შეაფასოს, როგორც სწორად მიაჩნია. არც მისი, როგორც უსამართლობის მსხვერპის, გმირის დასახვა მინდოდა. ეს საჭირო არაა, მაშინ როცა საქმე ნამდვილი ხელოვანის გარდა, პიროვნებას ეხება... თანაც ვინ თქვა რომ ომის შემდეგ რუსეთისადმი ჩვენი დამოკიდებულება ცალსახა და გასაგებია? ამ წერილით მხოლოდ ერთის თქმა მსურდა, - სანამ ამ და სხვა საკითხებზე გულმხურვალე მსჯელობას დავიწყებდეთ, ჩვენი და ქართული კულტურის პოლიტიკის მმართველთა როლი და მნიშვნელობა უნდა დავინახოთ ამ და სხვა მსგავს პროცესებში. პროცესში და არა მათგან განყენებით. მეტიც, როცა საუბარია ამ მასშტაბის ხელოვანებზე, მხოლოდ კულტურის სფეროს ჩარჩოებს ალბათ უნდა გასცდეს საკითხი. მაგრამ ჩვენთან თუნდაც ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური თეატრი და მისი რეჟისორი ჯერ ვერ გახდება აქტუალური, ჯერჯერობით, საქართველოში იგივე ღირსების ორდენის მისაღებად რიგში ფონოგრამებზე დამოკიდებული, ახალი ბაიათების ავტორ-შემსრულებლები დგანან.

# ჰომოსექსუალიზმი დუბაიში

ავტორი რომანისა, რომელშიც არაბი შეიხ--ჰომოსექსუალისტია ნახსენები, მონაწილეობას არ მიიღებს დუბაის პირველ საერთაშორისო წიგნის ფესტივალში. როგორც The Times -ი იუწყება, ფესტივალის დირექტორმა - ისობელ აბულჰოულმა (Isobel Abulhoul) არაბულენოვანი მკითხველის წინაშე პოტენციურად საშიში წიგნის წარდგენა ვერ გარისკა.

საქმე ეხება ბრიტანელი მწერალი ქალის, ჟურნალისტის ჯერალდინ ბედელის (Geraldine Bedell) რომანს, სახელწოდებით - ყურე ჩვენს შორის" ( The Gulf Between Us ): სათაურში გათამაშებულია როგორც რომანის მოქმედების ადგილი - სპარსეთის ყურე, ასევე დაბრკოლება, რომელიც გმირებს ერთმანეთს აშოროებს.




ბედელის წიგნში, რომელიც დიდ ბრიტანეთში გაყიდვაში 9 აპრილიდან გამოვა, საუბარია ინგლისელ ქალზე, რომელიც ომის შემდგომ პერიოდში, სამ ვაჟიშვილთან ერთად სპარსეთის ყურეში, ემირატებიდან ერთ-ერთში აღმოჩნდა. ჰომოსექსუალისტი შეიხი და მისი ინგლისელი საყვარელი - რომანის მეორეხარისხოვანი პერსონაჟები არიან.

თავად ბედელმა სპარსეთის ყურეში რამდენიმე წელი გაატარა და The Times -ის წარმომადგენელს განუცხადა, რომ მისი წიგნი ყველაზე თბილი გრძნობებითაა დაწერილი ემირატების მაცხოვრებლებისა და სხვა არაბული ქვეყნების მიმართ. თუმცა, შეიძლება დაეჭვდე, რამდენად რეალურად უნდათ ემირატებს და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებს მსოფლიოს თანამედროვე კულტურასთან შერწყმა... არ შეიძლება აკრძალო წიგნი და ელოდო, რომ ასეთი ლიტერატურული ფესტივალისადმის დამოკიდებულება სერიოზული იქნება", - თქვა ბედელმა.

ფესტივალში, რომელიც ეძღვნება წიგნების სამყაროს მის უსაზღვრო მრავალსახეობაში", მონაწილეობას მიიღებენ მოგზაური რანულფ ფაინსი, პოეტესა კეროლ დაფი, ჟურნალისტი მარკ ტული, მწერლები უილბურ სმიტი და მარგარეტ ეტვუდი.

ფაინსმა ბედელის წიგნთან დაკავშირებით მომხდარს ასეთი კომენტარი გაუკეთა: თუ ადამიანება აფუძნებენ ფესტივალს, მაშინ საკმაოდ სულელურიც კი იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის შეურაცხყოფა".

# სიახლე ელექტრომკითხველთათვის

ნინო მამარდაშვილი



21-ე საუკუნის ადამიანი განსაკუთრებული ტემპორალური რითმით ცხოვრობს. აუცილებლად შესასრულებელი ქმედებებისათვის დათმობილი დრო ისეთი ძვირფასია, რომ ამ ყველაფერს მის მაგივრად ტექნიკა ასრულებს. ტექნიკა რომ ელვის სისწრაფით ვითარდება ახალი არაა და ამაზე მსჯელობა გადამღერებული იქნება. ის რომ ტექნიკა "აზარმაცებს" ჩვენს სხეულს და გონებას ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ. მაგალითად, კომპიუტერი იმახსოვრებს ჩვენს მაგივრად იმ ბევრ აუცილებელ ფაქტს და გეგმას, რომელიც ჩვენი გონების მუშაობისთვის აუცილებელიც კია.

გერმანელი სოციოლოგი ნიკლას ლუმანი წერს: "ვინც ახლავე არ მოქმედებს, რაღაცას აცდენს. ვინც პოლიტიკურ რეფორმებს უშუალოდ არჩევნების შემდეგ არ იწყებს, ხელიდან უშვებს თავის შანსს; ვინც საბაზრო ხარვეზებს დროულად არ აღმოაჩენს, უიმეოდოდ ჩამორჩება კონკურენციას; ვინც 23 წლის ასაკში ჯერ კიდევ დაუქორწინებელია, საგონებელში ვარდება. მეცნიერი, რომელიც მოკლებულია იმ ალღოს, რომ პრობლემების დაყენებაში სხვას გადაუსწროს, მუდამ მეორე რანგში დარჩება და სხვისი ნაფიქრისა და პოსტფაქტუმ გაანალიზება მოუწევს"

მიუხედავად იმისა, რომ მომავალი თითოეულ ჩვენგანს წარსულისგან პრინციპულად განსხვავებული სახით, ახალი შესაძლებლობებით აღსავსე წარმოუდგენია. დღეს სიახლით გაკვირვებაც რთულია და ყველაფერი ახალიც კარგად დავიწყებული ძველიაო, მაგრამ სიახლის მცდელობები არის. განსაკუთრებით ტექნოლოგების მხრიდან. საკითხავია მხოლოდ, საჭიროა თუ არა ყველაფერ ძველზე უარის თქმა და ახლის მიღება? აღმოჩნდება თუ არა ძველი იმდენად ღირებული და ძლიერი, რომ თავისივე ახალ სახეს კონკურენცია ბოლომდე გაუწიოს და გადაფაროს კიდევაც. ამას მომავალი გვიჩვენებს. ახლა კი იმ ერთ-ერთ ახალ ფაქტს გავეცნოთ, რომელიც ზემოთთქმულთან უშუალო კავშირშია.

განათლებულ ადამიანთა რიცხვი ყოველთვის მცირე იყო და ეს ასეც დარჩება. ის, რომ "კომპიუტერი წიგნის მტერია" და "ახალგაზრდობა არაფერს კითხულობს" "მამათა" თაობის ბრალდებებია და როგორც "შვილთა" თაობის წარმომადგენელი ვაღიარებ, რომ არც სიმართლესაა მოკლებული. ჭკვიანური იქნებოდა ვინმეს ამ "გაზარმაცებული" თაობისთვის რაიმე ახალი ოპტიმალური, კომფორტული გზა შეეთავაზებინა. არ ვიცი ამაზე იზრუნა თუ არა იმ მოწყობილობის გამომგონებელმა თავდაპირველად, რომლის პრეზენტაციაც გამართა ამ დღეებში ელექტრონული წიგნების ყველაზე მსხვილმა ბიბლიოთეკამ Amazon.com- მა, მაგრამ სიახლე აშკარად კონკურენციას უწევს ჩვენს ტრადიციულ, საყვარელ "არსებებს" - წიგნებს.

ქაღალდის ფურცლების შლით მიღებული სიამოვნებისა და ტოლსტოის ტომის ქალის ხელჩანთით ტარებით გამოწვეული ბედნიერება იქეთ იყოს და ერთი შეხედვით გაუგებარია, რა საჭირო იყო ელექტრონული წიგნების საკითხავი ახალი მოწყობილობის გამოგონება, როდესაც ეს პრობლემა უკვე დიდი ხანია გადაჭრა კომპიუტერებმა და მობილურებმაც კი. მაგრამ თანამედროვე Kindle აგებულია სრულიად ახალი ტექნოლოგიებით, რომელიც ელექტრონულ ფურცელზე ირეკლავს ინფორმაციას. ეკრანს არ სჭირდება განათება, რაც ნიშნავს რომ ელემენტი უფრო დიდხანს ძლებს. ამასთანავე, იგი მოიცავს გაფართოვებულ ფუნქციათა ნაკრებს: აქვს დღიურის, ჩამწერის ფუნქცია, კითხულობს აუდიო ფორმატს, მომავალში წაიკითხავს ვიდეოსაც.

წესით, გამომქვეყნებელისათვის სახარბიელო არ უნდა იყოს ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა თუ წიგნის გადმოწერა და სხვებისთვის გადაგზავნა თავისუფალი იქნება, მაგრამ ტექნოლოგიები აქაც გვეხმარებიან. Amazon. com - დან ჩატვირთულ (რა თქმა უნდა გადახდის შედეგადად) წიგნს Kindle კოპირებისგან დაცულ ფორმატში ინახავს.

რამოდენიმე დღის წინ Amazon. com - მა წარადგინა Bookreader-ის ახალი თაობა Kindle 2. ცოცხალი რეკლამის სახით კი სტივენ კინგი მიიზიდა, რომელმაც Bookreader-ზე დაწერა რომანი "Ur". თავდაპირველად, წიგნი ხელმისაწვდომი მხოლოდ ელექტრონული ვერსიით იქნება.

რომანის გმირი - ინგლისურის მასწავლებელია, რომელმაც ახლახანს განიცადა შეყვარებულთან განშორება და ვერაფრით ივიწყებს მეგობარი გოგოს დაცინვას, იმის გამო, რომ ის არ კითხულობდა წიგნებს კომპიუტერში. ამიტომ მასწავლებელი სასწრაფოდ ყიდულობს Kindle-ს, რომელსაც საეჭვოდ მოკლე ხანში მიუტანენ და ის ინაცვლებს ახალ საიდუმლოებით მოცულ, იმედი მაქვს როგორც კინგს სჩვევია მისტიურ და საშიშ სამყაროში.

თვითონ კინგს არ სჯერა, რომ ელექტრონული წიგნები ნამდვილ წიგნებს ჩაძირავს. პრეზენტაციაზე მან განაცხადა:

"Mp3 და iTunes- მა დაანგრია CD - ინდუსტრია, რადგან არავინ იყიდის ალბომს მთლიანობაში, თუ შესაძლებელია მხოლოდ ნაწილების შეძენა. მაგრამ ეს არ ეხება წიგნებს. ისინი ჩვენ გვჭირდება მთლიანად."

უნდა ითქვას, რომ ეს სტივენ კინგის კარიერაში პირველი ექსპერიმენტია ახალი ფორმატით. ჯერ კიდევ 2000 წელს კინგმა დადო ინტერნეტში თავისი მოთხრობა, რომლის გადმოწერა მხოლოდ 2,5$-ად შეიძლებოდა. ეს იყო პირველი შემთხვევა ლიტერატურულ პრაქტიკაში როდესაც პოპულარული მწერლის წიგნი არსებობდა მხოლოდ ელექტრონულ ვარიანტში. რამოდენიმე დღის განმავლობაში ინტერესი იყო კოლოსალური, მსურველებმა თითქმის "დაანგრიეს" სერვერი და მწერალს 450 ათასი მოუტანეს. შემდეგ ინტერესი მინელდა, მაგრამ კინგი არ გაჩერებულა.

მალე მან გამოაქვეყნა ქსელში რომანი "მცენარე"- თუმცა დებდა მას თავების მიხედვით. კეთილისმსურველ მკითხველს კი ახალი თავის მიღების სანაცვლოდ სთავაზობდა რამდენიმე დოლარი ემსხვერპლა. ის ახალი თავის მიღების შესაძლებლობას მსურველს მას შედეგ ჰპირდებოდა რაც მინიმუმ 3-4 ადამიანი გადაიხდა მომდევნო თავების თანხას წინასწარ.

საბოლოო ჯამში დაახლოებით იგივე გამოვიდა: თავდაპირველად ყველა იხდიდა, შემდეგ მიატოვეს, მაგრამ ამან სტივენ კინგს 500 ათასი დოლარი მოუტანა.

როგორც ხედავთ, მსურველები ელექტრონულ წიგნებს საკმაო ჰყავს. განელდება თუ არა ინტერესი ამას მომავალში ერთად ვნახავთ.

# არქეოლოგიური ბუები" ტოროლების" წინააღმდეგ

## ბრიტანელებმა გადაწყვიტეს შავ" არქეოლოგებს ლაგამი ამოსდონ

დაახლოებით სამი წლის წინათ, ინგლისელმა მუზეუმის თანამშრომლებმა და პროფესიონალმა არქეოლოგებმა მოყვარულებთან სამუშაო კომპრომისულ სქემას მიაგნეს, რომელსაც უპირველესად იმათთან დაკავშირებით იყენებდნენ, რომლებიც მოცალეობის ჟამს თავიანთ ბაღჩას ან მამულს ლითონისმაძიებლით ხელში დაივლიდა ხოლმე. მაშინ ვარაუდობდნენ, რომ ურთიერთმოქმედების ასეთი პროგრამა ჩიხში მოაქცევდა შემთხვევითი მონაპოვარის დიდ რაოდენობას და უკანონო გათხრების რიცხვს შეამცირებდა. მაგრამ ამ დროის გასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ინგლისელი შავი არქეოლოგები" სინდისს არ შეუწუხებია.

მცირე ისტორიულ მონაპოვართან მუშაობის პრინციპების კრებული - Portable Antiquities Scheme (PAS), გულისხმობს, რომ ლითონისმაძიებელის მფლობელები ა) იკვლევენ მხოლოდ ნიადაგის ზედა ფენას; ბ) აქვთ ძიების ნებართვა მიწის მფლობელებისგან; გ) მონაპოვარის შესახებ აცნობებენ სახელისუფლებო ორგანოებს. ექსპერტები მუზეუმებიდან ან სხვა ორგანიზაციებიდან აფასებენ ნივთის საბაზრო ღირებულებას და აცნობებენ მას იმას, ვინც აღმოჩენა გააკეთა და მიწის მეპატრონეს, თუ ისინი სხვადასხვა პიროვნებები არიან. შემდეგ იღბლიან მოყვარულს შეუძლია არტეფაქტი ან გაყიდოს, ან თავისთვის დაიტოვოს. მის შესახებ მონაცემები სპეციალურ ბაზაში ინახება, რომლითაც ყველა მსურველს შეუძლია ისარგებლოს.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ პროგრამა PAS საკმაოდ ეფექტურად მუშაობს: ბრიტანელები ერთი წლის განმავლობაში, ნებაყოფლობით, რეგისტრაციაში, დაახლოებით, 50-60 ათას მონაპოვარს ატარებენ. მათ შორის არაერთი უნიკალური ნივთი გვხვდება, მაგალითად: ოქროს თასი რინგლიმირიდან, რომელიც ბრიტანულმა მუზეუმმა მიწის კერძო მესაკუთრისგან და ლითონმაძიებლისგან 2001 წელს 270 ათას ფუნტ სტერლინგად (დაახლოებით ნახევარმილიონ დოლარად) შეიძინა. PAS რეგისტრაციაში, ძირითადად, ატარებს: მონეტებს, წვრილმან სამკაულს, ცივ იარაღს... მათი უბრალოება და განსაკუთრებული სიიაფე ანტიკვარიატის ბაზარზე მაინც არ ამცირებს მათ ისტორიულ და კულტურულ ღირებულებას.



აღვნიშნავთ, რომ ოქროს თასის მსგავსი ნივთები, ვერცხლისა და ოქროს მონეტები, საიუველირო სამკაული, რომლებიც ათ პროცენტზე მეტ ძვირფას ლითონს შეიცავენ, განძის შესახებ კანონის (Treasure Act) თანახმად აუცილებლად რეგისტრირებული უნდა იყოს. მაგალითად, ბრიტანელები ვალდებულნი არ არიან ასეთი მონაპოვარი სახელმწიფოს ჩააბარონ, მაგრამ ამის შესახებ მათ აუცილებლად უნდა განაცხადონ.

ორგანიზაციები, რომლებიც PAS-ს მეურვეობენ, ცხადია, ნებაყოფლობით დამხმარეებს ბოლომდე ვერ დაეყრდნობიან და ცდილობენ წვრილმანი არტეფაქტები აუქციონებზეც დაიჭირონ, განსაკუთრებით ისეთებზე, როგორიცაა sBay. თუ მათი გამყიდველები ვერ წარმოადგენენ მათი წარმომავლობის ამხსნელ დოკუმენტებს, მაშინ აუქციონიდან ლოტები უნდა მოიხსნას.

აუქციონებზე მოხვედრილი სიძველეები, რომელთა წარმომავლობაც უცნობია, მუზეუმის თანამშრომლებისათვის და პროფესიონალი არქეოლოგებისათვის ნამდვილი თავის ტკივილია. ცხადია, ლომის წილი მონაპოვარისა, რომელიც ანტიკვარიატის შავ ბაზარზე ხვდება, თეთრი ბაზარის ექსპერტების მხედველობის არეში არ ექცევა. ასეთი მონაპოვარი უკანონი გათხრების შედეგად არის აღმოჩენილი.

შავი არქეოლოგიის" ინგლისური მრავალსახეობა, არალეგალური სიძველეების მომპოვებლები, ღამის მონადირეებად" იწოდებიან: ისინი გათხრებს დღის ბნელ მონაკვეთში ხშირად აწარმოებენ. ისინი, როგორც წესი, კარგად იცნობენ ადგილს, ნათელი წარმოდგენა აქვთ ნაკვეთის პოტენციაზე, შეუძლიათ სწრაფად თხრა და სწრაფად სირბილი. იმისათვის, რომ მხარე კარგად გაიცნო, განსაკუთრებული ჭკუა საჭირო არ არის: ისინი უბრალოდ თვალყურს ადევნებენ იმას, თუ სად ხორციელდება პროფესიული სამუშაოები. თუ არქეოლოგები თხრიან რომაულ ვილას, მაშინ ცხადია, რომ ლითონის საგნები იქ ხშირად აღმოჩნდება. ღამის მონადირეს" შეუძლია ლითონმაძიებელით, ფანარითა და ნიჩაბით გაიაროს როგორც გათხრების ადგილას, ისე მის შემოგარენში. ორივე შემთხვევაში მეცნიერებისათვის შედეგი ერთნაირი იქნება: ისტორიული კონტექსტი დაირღვა, დაიკარგა მუშაობის კვირეები და თვეები. შემთხვევების აბსოლიტურ უმრავლესობაში, კონტექსტი მონაპოვარზე მნიშვნელოვანია ხოლმე.

PAS-ის პროგრამის ფართოდ გავრცელებას რამდენადმე უნდა შეეჩერებინა ღამის მონადირეების" შემოტევა, ან მათ რიცხვში რამდენიმე კეთილსინდისიერი ადამიანი მაინც უნდა აღმოეჩინა, რომ ისინი ამ თამაშიდან გამოეყვანა. თუმცა, ასე არ მოხდა, და ახლა ბრიტანული მუზეუმი სხვა ინსტიტუტებთან ერთად, რომლებიც PAS-ს მეურვეობენ, შეიმუშავებენ უსასტიკეს კანონს მონაპოვართან დაკავშირებით.

მიუხედავად ყველაფრისა, შეუძლებელია არ აღფრთოვანდე ლითონმაძიებლით შეიარაღებულებთან თანამშრომლობის ბრუტანული პრაქტიკით. მართალია, ის სუსტია, მაგრამ 50-60 ათასი დარეგისტრირებული მონაპოვარი წელიწადში - უზარმაზარი ციფრია. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ შავ არქეოლოგებს" შორისაც არსებობს განსხვავება. მაგალითად, სხვა ქვეყნებში, ბრიტანელი ღამის მონადირეებისაგან" განსხვავებით, ბევრი პირდაპირ დღის შუქზე, ყველას დასანახად მუშაობს და არაფრის და არავის ერიდება, თვით მიწის კერძო მესაკუთრესაც კი. სხვა ქვეყნებში, პროფესიონალი არქეოლოგების მოყვარულებთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობის პრაქტიკა, სამწუხაროდ, შორეული მომავლის საქმეა.

დანართი 1.

# შპს „საქართველოს ფოსტა“ აცხადებს ღ ი ა ა უ ქ ც ი ო ნ ს

საფოსტო განყოფილებებში თავისუფალი ფართების იჯარით გაცემის მიზნით

| № | გასაიჯარებელი ფართები | კვ.მ. | საწყისი საიჯარო ფასი 1 კვ.მ-ზე (ლარი ) | ბიჯი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფილიალ „საერთაშორისო ფოსტამტის“ ტერიტორია | 30 | 12 | 1 |
| 2 | ფილიალ „სენაკის ფოსტის“ ადმინისტრაციული შენობა | 93 | 5 | 0.5 |
| 3 | ფილიალ „ლაგოდეხის ფოსტის“ ვარდისუბნის ს/გ | 39.7 | 2 | 0.5 |
| 4 | ფილიალ „ქუთაისის ფოსტის“ ადმინ. შენობის ეზოში ჯიხური | 4 | 24 | 1 |

1.

**შპს „საქართველოს ფოსტა“ განმეორებით აცხადებს ღია აუქციონს**

საფოსტო განყოფილებებში თავისუფალი ფართების იჯარით გაცემის მიზნით

**2.**

| № | გასაიჯარებელი ფართები | კვ.მ | ფასში 1 კვ.მ-ზე (ლარი) | ბიჯი 1 კვ.მ-ზე (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფილიალ თბილისის ფოსტამტის №86 ს/გ მის: ვ/ფშაველას გამზ.№67 | 15 | 20 | 1 |
| 2 | ფილიალ თბილისის ფოსტამტის №14ს/გ მის: გორგასლის ქ. №4 | 12 | 20 | 1 |
| 3 | ფილიალ რუსთავის ფოსტის ადმ. შენობა მის: მეგობრობის გამზ. №9 | 80 | 14 | 1 |

**3. პირობიან აუქციონზე გასაიჯარებელი ფართი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფილიალ თბილისის ფოსტამტის №65 ს/გ მის: რუსთავის გზატ.№19 | 48,5 | 12 | 1 | აუქციონის პირობა: ს/განყოფილების დარჩენილ ფართში სხვეული წერტილების მოწყობა |

**4.**

| № | გასაიჯარებელი ფართები | კვ.მ | ფასში 1 კვ.მ-ზე (ლარი დღგ-ს გარეშე) | ბიჯი 1 კვ.მ-ზე (ლარი დღგს-გარეშე) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ოზურგეთის ფოსტის ადმინისტრაციული შენობა | 25 | 8 | 0.5 |
| 2 | ოზურგეთის ფოსტის ადმინისტრაციული შენობა | 17.8 | 8 | 0.5 |
| 3 | „აჭარის ფოსტა“ ბათუმი, პუშკინის ქ. 136 | 30.2 | 22,5 | 1 |
| 4 | თერჯოლის ფოსტის ადმინისტრაციული შენობა | 61 | 4 | 0.5 |
| 5 | თერჯოლის ფოსტა (ადმ. შენობაში I სართ. ) | 125,7 | 4 | 0.5 |
| 6 | საჩხერის ფოსტის №1 ს/გ მის: რაჭის ქ. | 6 | 7 | 0.5 |
| 7 | ზუგდიდი ფოსტა II სართ. (ადმინ. შენობა) | 33,6 | 6 | 0.5 |
| 8 | ქუთაისი ფოსტა სატრანსპორტო განყ. მიწის ნაკვეთი (მის: ლომონოსოვის ქ №5) | 30 | 17 | 1 |
| 9 | კასპის ფოსტა ადმინისტრაციული შენობაში | 12 | 6 | 0.5 |
| 10 | ახალციხის ფოსტა (ყოფილი საფოსტო ბანკი) | 77.5 | 4 | 0.5 |
| 11 | კასპის ფოსტის ადმინისტრაციული შენობა | 12 | 7 | 0.5 |
| 12 | ზუგდიდი ფოსტა II სართ. (ადმინ. შენობა) | 45,2 | 6 | 0.5 |
| 13 | ქუთაისი ფოსტა №7 ს/გ (მის: ჯავახიშვილის ქ №2) | 80 | 20 | 1 |
| 14 | თბილისის ფოსტამტის ადმ. შენობის II სართ. მის: აღმაშენებლის №44 | 92 | 10 | 1 |
| 15 | გორის ფოსტის ადმინისტრაციული შენობა | 4.5 | 25 | 1 |
| 16 | კასპის ფოსტა ადმინისტრაციული შენობა | 36.44 | 6,5 | 0.5 |
| 17 | კასპის ფოსტა ადმინისტრაციული შენობის სარდაფი (სარემონტო) | 79.5 | 3 | 0.5 |
| 18 | აჭარის ფოსტა შუახევის ს/გ | 40.34 | 7 | 0.5 |
| 19 | ბორჯომის ფოსტის ბაკურიანის ს/გ | 73.8 | 15 | 1 |

ღია აუქციონში მონაწილე პირთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა:

- განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარით გასაცემი ქონების დასახელება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, ინდ.მეწარმე დამატებით წარმოადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
- საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი წარმოადგენს: ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან, ან შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან, წესდების ასლს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლს.
- ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირის მიერ.
- მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით
- გადახდის ქვითარი (გამოცხადებული ყოველთვიური იჯარის თანხის 10%-ს პრეტენდენტი იხდის ბე-ს სახით ბილეთის საფასურთან ერთად ფოსტის სალაროში, ან საბანკო დაწესებულებაში, მითითებულ ანგარიშზე).

დამატებითი პირობები:

- აუქციონი ტარდება ღია წესით და გამარჯვებული გამოვლინდება იმავე დღეს.
- სავალდებულოა პრეტენდენტის ან მისი წარმომადგენლის დასწრება აუქციონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეს და ბილეთის თანხა უკან არ დაბრუნდება.
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური იჯარის თანხა ფასის განცხადება;
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება.
- ხელშეკრულების ფორმდება 3 (სამი) წლამდე ვადით;
- ყოველთვიური საიჯარო თანხას გამარჯვებული პრეტედენტი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შპს „საქართველოს ფოსტის“ მითითებულ ანგარიშზე.
- მოიჯარე ვალდებულია საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციის (რეალიზაციის) შემთხვევაში შეწყვიტოს საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციამდე (რეალიზაციამდე) საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გადახდის გარეშე, რაც ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობებშია.

განაცხადების მიღების ადგილი: თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია.

განაცხადების მიღების ვადაა 2009 წლის 18 თებერვლიდან 2009წლის 5 მარტის ჩათვლით 10.00 სთ.-დან 16.00 სთ.-მდე (შაბათ-კვირის გარდა).

ღია აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი: 2009 წლის 5 მარტი 17:00 სთ. თბილისი, ვაგზლის მოედანი№2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია.

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი 123286800. ბანკის კოდი 220101502. ს.კ 203836233

საკონტაქტო ტელეფონი: 340735.

# სპორტი

## კასაბიევმა საქართველოდან შტანგა გადააგორა




ბიბა ბურასაშვილის ფოტო

ბიბა ბურასაშვილი

*პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე აკრედიტებულ ქართველ ჟურნალისტთა ჯგუფი 17 აგვისტოს ძალოსანთა დარბაზისკენ გავემართეთ. ფიცარნაგზე მედლის მოპოვების კანდიდატი არსენ კასაბიევი უნდა გამოსულიყო. 21 წლის ცხინვალელი ბიჭის მედლის კანდიდატად მოხსენიება გადაჭარბებული რომ არ იყო, ასპარეზობის მსვლელობისასაც დავრწმუნდით, მაგრამ ვიდრე 17 აგვისტოს განვითარებულ მოვლენებზე ვიტყოდეთ, უსიამოვნო სიახლეს გაცნობებთ: არსენ კასაბიევმა საქართველოს ოლიმპიური ნაკრები დატოვა.*

არსენ კასაბიევმა ატაცში 176 კგ. დაძლია და თავის ქვეჯგუფში მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა, აკვრაში კი 223 კილოგრამით მესამე იყო.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეუძლებელი გახდა. უჩვეულო კი ის იყო, რომ ან მეოთხე ადგილი უნდა დაეკავებინა, ან ვერცხლის მედლისთვის ებრძოლა, ვა-ბანკზე წასვლის შემთხვევაში - ოქროსთვისაც.

ძალოსნობაში მოვლენათა ასეთი განვითარება უცხო არ არის. ყველაფერ ამის განმარტებას დიდი დრო დასჭირდება. ასე რომ, მწვრთნელს უნდა ვენდოთ. გრიქუროვმა კი გადაწყვიტა: ან ყველაფერი, ან არაფერი.

შთაბეჭდილების უკეთ შესაქმნელად ათენის ოლიმპიური თამაშები გავიხსენოთ, როდესაც გიორგი ასანიძის ჩინელმა მეტოქემ გარისკა და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა, ქართველმა კი ოქროს მედალი დაისაკუთრა.

არსენის შემთხვევაში ჩემპიონობისთვის საჭირო იყო აკვრაში 230 კილოგრამზე მეტის დაძლევა. მწვრთნელისა და შეგირდის ტანდემი ასეც მოიქცა: საჩემპიონო წონა - 231 კგ. შეუკვეთეს, მაგრამ ეს სიმძიმე კასაბიევისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა, ორჭიდის ჯამში დაგროვილი 399 კილოგრამით მეოთხე ადგილი დაიკავა, ჩემპიონი კი ყაზახი ძალოსანი გახდა.

ასპარეზობის დასრულების შემდეგ კასაბიევის მომავლით დავინტერსდით. უფრო სწორად, 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე არსენის მონაწილეობის შესაძლებლობაზე. ჩვენი ცნობისმოყვარეობა იმხანად სამაჩაბლოში განვითარებულმა მოვლენებმაც განაპირობა. პასუხი ასეთი იყო: არსენი ლონდონშიც იასპარეზებს, რაც, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ ჟღერდა. და აი, ჩვენი ეჭვი გამართლდა. კასაბიევი ოლიმპიური ნაკრებიდან წავიდა. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი გუშინ ქართული სპორტის ხელმძღვანელებს შეხვდა და შექმნილი მდგომარეობა გააცნო.

რა ხდება?

არსენ კასაბიევი ცხინვალიდანაა, ოჯახიც იქ ჰყავს და, როგორც გავიგეთ, მისი ოჯახის წევრები ზეწოლის ქვეშ არიან. ვფიქრობთ, მიზეზი ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. ეს ყველაფერი კი არც გუშინ დაწყებულა და არც დღეს. მოვლენათა ასეთ განვითარებას პეკინიდან დაბრუნებისთანავე ველოდით. ალბათ ამიტომაც იყო, რომ, დაძაბულობის თავიდან აცილების მიზნით, ვანო გრიქუროვმა არსენი ოლიმპიური თამაშების შემდეგ ნაკრების სხვა წევრებთან ერთად პოლონეთში იახლა (საქართველოს ძალოსანთა ნაკრებისთვის პოლონეთი ერთგვარი სავარჯიშო ბაზაა), სადაც დღემდე რჩება. ძალოსნის სანაკრებო პერსპექტივაზე საჯაროდ საუბარს ყველა თავს არიდებდა.

ჩვენი ეჭვი გააძლიერა იმ ფაქტმაც, რომ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე წამსვლელ კანდიდატთა შორის (რომლებსაც სტიპენდიები დაენიშნათ) არ იყო არსენ კასაბიევი. შესაძლო კანდიდატთა ნუსხა 94 კაცისგან შედგება.

არსენ კასაბიევმა სპორტული კარიერა დაასრულა. მისი გადაწყვეტილება მტკიცეა. მრავალი მცდელობის მიუხედავად, აზრი ვერ შევაცვლევინეთ. ამიტომ იძულებული გავხდი შევხვედროდი ქართული სპორტის ხელმძღვანელობას, რომელიც ოფიციალურად ჩავაყენე საქმის კურსში, - ამბობს ვანო გრიქუროვი.

ნაკრების თავკაცმა მიზეზად კასაბიევის უმძიმესი ტრავმები დაასახელა, თუმცა იქვე მიგვანიშნა, რომ მარტო ეს არ არის მისი ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი.

კასაბიევის თემას შეეხო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილიც, რომელიც ასევე ძალოსნის ტრავმაზე ამახვილებს ყურადღებას: კასაბიევს ტრავმა აქვს და აქტიურ სპორტს ერთი წლით ჩამოსცილდება. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე დაფინანსება შევაჩეროთ. იმედია, ყველაფერი გამოსწორდება. სამწუხაროა, რომ მასთან პირადად გასაუბრებას ვერ ვახერხებ. თავად კი არა აქვს კონტაქტზე გამოსვლის სურვილი .

ეს ის საკითხია, რომელიც სპორტის ხელმძღვანელობაში ცხოველ ინტერესს იწვევს.

გუშინვე ძალოსანთა ნაკრების მთავარ მწვრთნელი ვანო გრიქუროვი შეხვდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით ნამგალაურს, რომლის კომენტარი მოგვიანებით დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა:

ჩვენი ინფორმაციით, რომელიც გადამოწმებულია საქართველოს ძალოსნობის ფედერაციაში, ნაკრების წევრი არსენ კასაბიევი სპორტულ სარბიელს ერთი წლით ჩამოშორდება. ამის მიზეზი მხრის მძიმე ტრავმაა. ამის გამო კასაბიევი უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო ტურნირებში. აქედან გამომდინარე, კასაბიევს შეუჩერდება ის დაფინანსება, რასაც სახელმწიფოსგან იღებდა. ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ კი არსებული სიტუაციის მიხედვით ვიმოქმედებთ."

### ევროპის ზამთრის თასს გამოეთიშნენ

14-წლამდე ჩოგბურთელ გოგონათა ევროპის 2009 წლის ზამთრის თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე, საქართველოს ნაკრებმა სამი შეხვედრიდან ერთი მოიგო, ორი წააგო და ტურნირს გამოეთიშა.

აღნიშნული შეჯიბრების თითოეულ ჯგუფში რვა-რვა ნაკრები გამოდიოდა, რომელთაგან ფინალურ ეტაპზე პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ხვდებოდნენ.

საქართველოს ნაკრები რუსეთის, ბელორუსის, სლოვაკეთის საბერძნეთის, დანიის, პოლონეთისა და ლიტვის ნაკრებებთან ერთად ბელორუსის დედაქალაქ მინსკში თამაშობდა. მის ღირსებას ანი გოგვაძე, ბარბარე ერისთავი და თამარ ჭალაგანიძე იცავდნენ, ხოლო მთავარი მწვრთნელი გაგა დოლიძე იყო.

საქართველოს ნაკრებმა მეოთხედფინალში ბერძნები 2:1 დაამარცხა და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც რუსეთის გუნდს დაუპირისპირდა და 0:3 წააგო. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში, ქართველებმა მატჩი სლოვაკებთან დათმეს 1:2 და საბოლოო ჯამში მეოთხე ადგილი დაიკავეს. მინსკის ტურნირზე პირველი-მეორე ადგილები ბელორუსმა და რუსეთმა მოიპოვეს, რომელთაც შესაბამისად ფინალურ სტადიაზე თამაშის უფლება მიიღეს. 14 წლამდე ჩოგბურთელ გოგონათა ევროპის 2009 წლის ზამთრის თასის გათამაშების ფინალი 20-22 თებერვალს ჰოლანდიაში ჩატარდება.

### 16-წლამდელებმა ანკარის ტურნირი წაგებებით დაიწყეს

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები თურქეთში, ანკარის საერთაშორისო ტურნირზე რომ მიდიოდა, მისი მწვრთნელი გია კაზანჯიანი ამბობდა, შედეგს ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას, ჩვენთვის მთავარი გამოცდილების შეძენააო. ჩვენმა კადეტებმა თურქეთში უკვე სამი მატჩი მოილიეს და სამივე წააგეს, რომელთაგან ყველაზე დაძაბული უკრაინელ თანატოლებთან შეხვედრა გამოდგა.

კაზანჯიანის გუნდი სლავებს ბოლომდე ებრძოლა და საბოლოოდ 9 ქულით - 72:81 დამარცხდა. ეს გუშინ მოხდა, ხოლო დღეს ქართველებმა სლოვენიელებთან მოიხარეს ქედი: 56:87 დამარცხდნენ.

ყველაზე მწარე მარცხი ქართველმა 16-წლამდელებმა პოლონელებისგან იწვნიეს ტურნირის პირველ მატჩში: 46:104.

### კალაძე ანჩელოტის დარჩენას სთხოვს

კახა კალაძე "მილანის" მთავარ მწვრთნელს კარლო ანჩელოტის გუნდში დარჩენას სთხოვს. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა შესაბამისი განცხადება მას შემდეგ გაავრცელა, რაც ცნობილი გახდა, რომ მომავალი სეზონიდან 48 წლის სპეციალისტმა შესაძლოა "როსონერები" დატოვოს და ლონდონის "ჩელსი" ჩაიბაროს. "ანჩელოტი დიდი მწვრთნელია, მისი ხელმძღვანელობით ჩვენ უამრავი ტურნირი მოვიგეთ და ძალიან სამწუხარო იქნება, თუ სეზონის ბოლოს იგი დატოვებს "მილანს" - თქვა კახამ.

### გურულმა გრიგალავას აჯობა

გია გრიგალავას კლუბმა მოსკვამ თურქული შეკრების ბოლო მატჩი სანდრო გურულის კარპატთან გამართა და 2:3 დამარცხდა.

მიოდრაგ ბოჟოვიჩის შეგირდები ლვოველებს 2:0-ს უგებდნენ, თუმცა, უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. გრიგალავამ მოსკვას სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, გურული კი 58-ე წუთზე შეცვალეს.

### "იუვენტუსი" კასანოს იწვევს

ტურინის იუვენტუსის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ გენუის სამპდორიას ფორვარდ ანტონიო კასანოს მიმართ დიდი ინტერესი გააჩნია.

შესაბამისი განცხადება ტურინელთა პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ გააკეთა.

ანტონიო ბავშვია, რომელიც ზრდასრულ მოთამაშედ საოცრად მოკლე პერიოდში იქცა. იგი ჩინებული ფეხბურთელია. ჩვენი სპორტული დირექტორი ალესიო სეკი ყველაფერს აკეთებს, რათა კასანო მომავალ სეზონს ტურინში შეხვდეს .

იტალიური პრესის ცნობით, იუვენტუსს 26 წლის კასანო ალესანდრო დელ პიეროს შემცვლელად ესაჭიროება.

## "მილანი" აგერს ყიდულობს

იტალიის "მილანი" მზადაა კონკრეტული წინადადება შესთავაზოს ინგლისის "ლივერპულს" ცენტრალური მცველის დანიელ აგერის ტრანსფერთან დაკავშირებით და მზადაა ეს გარიგება უახლოესი სატრანსფერო ფანჯრისას განახორციელოს. "მერსისაიდელების" შემადგენლობაში მიმდინარე სეზონში 24 წლის დანიელმა 22 მატჩი ჩაატარა და ორი გოლი და სამი შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

## სალგადოს გარეშე

მადრიდის "რეალის" 33 წლის მცველმა მიჩელ სალგადომ შესაძლოა ვერ ითამაშოს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველი მატჩი "ლივერპულთან". მან ძირითადი და სათადარიგო მოთამაშეთა სპარინგისას ტრავმა მიიღო. ტრავმის მოშუშებისთვის ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელს ორიდან სამ კვირადმე დასჭირდება. მიმდინარე სეზონში სალგადომ "გალაქტიკოსების" შემადგენლობაში პრიმერადივიზიონის მატჩებში შვიდჯერ ითამაშა, ჩემპიონთა ლიგაზე კი ერთხელ გამოვიდა.

## ფრედის არჩევანი

ბრაზილიური ფლუმინენსეს სპორტულმა დირექტორმა ალეშანდრუ ფარიამ განაცხადა, რომ მისმა კლუბმა ფრანგული ლიონიდან ფორვარდ ფრედის ტრანსფერის საკითხი მოაგვარა.

ფრედის მიმართ დაინტერესებას არაერთი ევროპული კლუბი გამოთქვამდა, თუმცა, მან ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვა. მასთან ხუთწლიან კონტრაქტს გავაფორმებთ. ფრედის მიზანი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშია და იმედი აქვს, რომ სამშობლოში თამაშით ნაკრების მწვრთნელებს თავს შეახსენებს , - აღნიშნა ფარიამ Eurosport-თან საუბარში.

## რივალდო მწვრთნელობას იწყებს

უზბეკეთის საფეხბურთო ჩემპიონატში მოასპარეზე ბუნედკორის ბრაზილიელი ლეგიონერი რივალდო, მომავალი სეზონიდან, გარდა თამაშისა, გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტი გახდება.

რივალდო გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელ ამეტ მემეტს დაეხმარება, რომელიც კლუბში მუშაობას, უზბეკეთის ეროვნულ გუნდში მოღვაწეობას შეუთავსებს.

რამდენიმე დღის წინ, ბუნედკორთან სამწლიანი კონტრაქტი ორმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა - ნახევარმცველმა ჟოაო ვიქტორ ალბუკერკე ბრუნომ და მცველმა ედსონ რამოს და სილვამ გააფორმეს. ორივე მათგანი სამშობლოში სან-პაულუს შტატის ჩემპიონატის მეორე ლიგაში მოასპარეზე მოჟიმირში გამოდიოდნენ.

## რიკენმა კარიერა დაასრულა

დორტმუნდის ბორუსიის 32 წლის ნახევარმცველმა ლარს რიკენმა თავისი 15-წლიანი პროფესიული კარიერა დაასრულა. ამის შესახებ კლუბმა ორშაბათს განაცხადა.

რიკენი საყოველთაო ყურადღების ცენტრში 1996-97 წლების სეზონში მოექცა, როცა რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლით ოტმარ ჰიცფელდის დორტმუნდის მიერ ჩემპიონთა ლიგის მოგებაში თავისი ანგარიშგასაწევი წვლილი შეიტანა. ფინალში ტურინის იუვენტუსის კარში 2:1-ზე გატანილი მისი დამაგვირგვინებელი ბურთი გერმანიაში წლის გოლად დასახელდა. 1997-ში ის გერმანიის ნაკრებშიც მიიწვიეს, თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელის ვარსკვლავი კარგად არც იყო გაბრწყინებული, რომ ისე ჩაესვენა.

ტრავმიანობის ბრალი იყო თუ ფსიქოლოგიური წნეხის ვერატანისა ფაქტია, რომ რიკენმა თავისი ტალანტის გამოვლენა ველარ შეძლო და ნელ-ნელა დიდი ფეხბურთის უკანა პლანზე გადაინაცვლა. 2002 წლიდან მას უკვე დორტმუნდის მეორე გუნდშიც უწევდა თამაში, და სულ უფრო და უფრო იშვიათად - პირველში.

2008 წლის ზაფხულიდან ის კლუბში მოზარდი თაობების საქმეთა კოორდინატორად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე მუშაობას გააგრძელებს კიდეც.

ჰიტცფელდმა მას პირველ გუნდში 17 წლისას უხმო. მას შემდეგ, ანუ 1993 წლიდან, მან დორტმუნდის ღირსება 301 ბუნდესლიგურ მატჩში დაიცვა და მას 49 გოლით შეეწია. 1995, 1996 და 2002 წლებში ის კლუბთან ერთად გერმანიის ჩემპიონი გახდა. დორტმუნდის შემადგენლობაში ევროთასებზე ჩატარებულ 74 შეხვედრაში მან 14 ბურთი შეაგდო. გერმანიის ნაკრებში თამაშის საშუალება მას 1997-2002 წლებში 16-ჯერ მიეცა.

# კაიზერს ბაიერნის ფავორიტობაში ეჭვი შეეპარა

გერმანული ფეხბურთის გრანდმა მიუნხენის ბაიერნმა სეზონის მეორე ნახევარი სუსტად დაიწყო. ზედიზედ ორი მარცხი, რომელიც ბაიერნმა განიცადა, საჩემპიონო ამბიციების გუნდს არ შეეფერება. მიუნხენელები ჯერ ჰამბურგთან დამარცხდნენ, შემდეგ კი ბერლინის ჰერტასთანაც წააგეს. უკანასკნელი ტურის შემდეგ ბუნდესლიგაში სწორედ დედაქალაქური კლუბი გახდა ლიდერი.

მეორე წრის პირველ სამ ტურში განცდილმა ორმა მარცხმა ბაიერნის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერიც დააეჭვა თავისი გუნდის სიძლიერეში. კაიზერი ამბობს, რომ ამიერიდან ბაიერნი ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად ვერ ჩაითვლება.

ვინ გახდება ჩემპიონი? სამწუხაროდ, ამაზე პასუხი არ მაქვს, - ამბობს კაიზერი გერმანულ გამოცემა Bild-ისთვის დაწერილ სვეტში, - მეორე წრის დაწყებამდე ვთვლიდი, რომ ბაიერნს ვერაფერი გააჩერებდა. მაგრამ ჰამბურგთან 0:1 და ჰერტასთან 1:2 წაგებული შეხვედრების შემდეგ ბაიერნი ჩემთვის ფავორიტი აღარ არის. ფავორიტი საერთოდაც აღარავინაა. საჩემპიონო ხონჩის მოხვეჭა ხუთ ან ექვს გუნდს შეუძლია.



ბეკენბაუერს ფავორიტი არ ჰყავს

ფრანც ბეკენბაუერს მიაჩნია, რომ მისმა გუნდმა ამ ორ შეხვედრაში ძალიან სუსტად ითამაშა და ცოტა საგოლე მომენტი შექმნა.

ასეთი თამაშით ვერც ბუნდესლიგაში გავალთ ფონს და ვერც ჩემპიონთა ლიგაში ლისაბონის სპორტინგთან , - ამბობს ბეკენბაუერი.

ბაიერნს ლუკა ტონი დააუშავდა. მის ნაცვლად მინდორზე გასული ამერიკელი დონოვანი კი ვერ ასრულებს იტალიელის შემცვლელის როლს. ამ ვითარებაში კაიზერს სათადარიგო სკამს მიჯაჭვული ლუკაშ პოდოლსკი გაახსენდა..

საუკეთესო ფორმაში პოდოლსკის მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია , - თქვა ფრანც ბეკენბაუერმა და შემდეგ სხვა გუნდების საჩემპიონო შანსებზე გააგრძელა მსჯელობა, - ჰერტა ? ჩვენთან მოგება მწვრთნელ ლუსიენ ფავრის ტაქტიკური შედევრი იყო. მაგრამ ეს არ არის მომავლის სტრატეგია. ასე ფრთხილად მოთამაშე გუნდის ჩემპიონობა არავის უნდა. ჰოფენჰაიმთან დაკავშირებით საინტერესოა, შეინარჩუნებს თუ არა ის პირველი წრის აღმაფრენას და შეძლებს თუ არა მთავარმეგოლე იბიშევიჩის არყოფნის კომპენსირებას. რაც შეეხება ლევერკუზენსა და ჰამბურგს , ისინი არათანაბრად თამაშობენ. მაშ, ვინ გახდება ჩემპიონი? კლუბი, რომელიც პირველი ათამაშდება სტაბილურად და გამარჯვებათა გრძელი სერიის წყალობით წინ გაიჭრება.

ბაიერნის მწვრთნელ იურგენ კლინსმანს კი განსხვავებული პოზიცია აქვს. მას მიაჩნია, რომ, ამ ორი მარცხის მიუხედავად, ბაიერნი იოლად გახდება ჩემპიონი.

არა მგონია, ჩვენი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესებულიყოს. ორჯერ დავმარცხდით, მაგრამ ჩვენზე საგრძნობლად წინ ჯერ არავინ წასულა. ამიტომ მშვიდად ვარ.

ადრე თუ გვიან, პირველ ადგილზე მაინც ბაიერნი იქნება , - ამბობს კლინსმანი.

# პარასკევს მილანი ბექჰემს გააფორმებს

იტალიური მედიის ინფორმაციით, დევიდ ბექჰემის წარმომადგენლები უკვე შეუთანხმდნენ ამერიკულ კლუბ ლოს ანჯელეს გალაქსის და პარასკევს ბრიტანელი ფეხბურთელი მილანთან სრულფასოვან კონტრაქტს გააფორმებს.

გამოცემა Sportmediaset.it-ის ინფორმაციით, ბექსის ადვოკატებმა გალაქსის წარმომადგენლებთან შეათანხმეს ყველა ის პირობა, რომელზეც გაწყდება კონტრაქტი ამერიკულ კლუბსა და ინგლისელ ფეხბურთელს შორის.

ამავე გამოცემის ცნობით, მილანს ლოსანჯელესური კლუბისთვის დიდი თანხის გადახდა მოუწევს, თუმცა თავად თანხის ოდენობა არ სახელდება. ჯერჯერობით არც ისაა ცნობილი, თუ რამდენს გადაუხდიან ბექჰემს მილანში , თუმცა ეჭვი არ არის, რომ თანხა გაცილებით ნაკლები იქნება იმაზე, რასაც დევიდი ამერიკაში იღებდა.




ბექჰემი სრულფასოვანი მილანელი იქნება

გასულ კვირას ამერიკელებმა განაცხადეს, რომ მილანთან ყოველგვარი მოლაპარაკება გაწყვიტეს და ბექჰემი გალაქსიში 9 მარტს უნდა დაბრუნდესო, თუმცა უფრო სარწმუნოა იტალიური მედიის ინფორმაცია, რადგან თავად ბექჰემმა აღნიშნა, რომ ამერიკულ კლუბში დაბრუნებას არ აპირებს. თანაც მილანმა ინგლისელი უეფას თასის გათამაშების განაცხადში შეიყვანა, ერთი მატჩისთვის კი ამის გაკეთება უბრალოდ უაზრობა იქნებოდა.

შეგახსენებთ, რომ იანვრის დასაწყისში მილანმა ბექჰემი იჯარის წესით გადაიყვანა ამერიკული კლუბიდან. თავდაპირველი შეთანხმებით, დევიდი იტალიურ გრანდში სამი თვე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ბექსმა იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვა მილანის მესვეურებზე, რომ ბერლუსკონიმ ფეხბურთელის ტრანსფერის გამოსყიდვა გადაწყვიტა.

ამას დაემატა ბექჰემის სურვილიც, რომელსაც მილანში თამაშმა ინგლისის ნაკრებში დაბრუნების საშუალება მისცა.

# ენინს ამერიკელთა მენტალიტეტი მოსწონს

კარიერაში WTA-ს 41 ტიტულის მომგები ჟუსტინ ენინის ჩოგბურთიდან წასვლა იმდენად მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო, რომ ზოგიერთ კითხვას დღემდე არ გასცემია პასუხი. Sunday Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ჟუსტინმა ზოგიერთ რამეს მაინც მოჰფინა ნათელი.

**- დარწმუნებული ხართ, რომ ჩოგბურთიდან დროულად წახვედით?**

- აბსოლუტურად. და ამას წამითაც არ ვნანობ. მეტიც, მეამაყება, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგნის რანგში დავასრულე კარიერა. თანდათან მივედი დასკვნამდე, რომ კორტს მიღმა გრანდიოზული ცხოვრება არსებობს. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ შეიძლებოდა ჩოგბურთს მიღმა გაცილებით დიდი ბედნიერება მეპოვა.

**- რატომ არის, რომ თქვენს შემდეგ პირველჩოგნობას დიდი ხნით ვერავინ ინარჩუნებს?**

- იმისთვის, რომ პირველი ჩოგანი გახდე და მერე ეს ტიტული შეინარჩუნო, სტაბილურობაა საჭირო. უმეტესობა იზიარებს აზრს, რომ სერენა უილიამსი საუკეთესოა, როდესაც მისი აზრები მთლიანად სპორტზეა კონცენტრირებული, ელენა იანკოვიჩს თამაშის დახვეწა სჭირდება, მარია შარაპოვა კი ტრავმების გამო სათამაშოდ უბრალოდ მზად არ არის.

**- როდესაც კარიერა დაასრულეთ, რატომ მოითხოვეთ, რომ რეიტინგიდან თქვენი გვარი მაშინვე ამოეღოთ?**

- უბრალოდ აღარ მინდოდა საკუთარი გვარი რეიტინგში მეხილა.

**- ახლა რას აკეთებთ?**

- ჩემს მწვრთნელ კარლოს როდრიგესთან ერთად ფლორიდის შტატის პატარა ქალაქში ჩამოვაყალიბე საჩოგბურთო აკადემია.

**- რითი განსხვავდება თქვენი აკადემია სხვა დანარჩენებისგან?**



*ჟუსტინ ენინი და ამელი მორესმო.*

- ჩემი აზრით, მთავარია, რომ ახალგაზრდა ჩოგბურთელებში პირველ რიგში პიროვნებას ვხედავდეთ და არა რიგით ნომერს რეიტინგში. მინდა ახალგაზრდებში ის უნარ-ჩვევები ჩამოვაყალიბო, რაც მე ჩამომიყალიბდა ჩოგბურთის თამაშისას.

**- აკადემია შეერთებულ შტატებშია და არა თქვენს სამშობლოში. რატომ?**

- ბელგიაში ჩოგბურთთან დაკავშირებით დიდი პრობლემებია. ბავშვებს ამბიციებიც არა აქვთ. ნორმალური ცხოვრების პირობებში საერთოდ სხვა არაფერი აინტერესებთ. შტატებში კი სხვა მენტალიტეტის ხალხია. ბავშვმა თუ იცის, რომ მას პოტენციალი აქვს, ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ პოტენციალის რეალიზება მოახდინოს.

**- არ ნანობთ, რომ უიმბლდონი ვერ მოიგეთ?**

- არა მგონია, უიმბლდონის მოგებით უფრო ბედნიერი ვყოფილიყავი. რა თქმა უნდა, რომ მომეგო, ეს უდიდესი მიღწევა იქნებოდა, მაგრამ არა მგონია, ამას ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეეცვალა. ახლა მინდა საკუთარ თავზე ვიმუშაო, მინდა იმ ქალს მოვემსახურო, რომელიც ჩემში გაიზარდა.

**- ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ?**

- 2003 წლის აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალი. ჯენიფერ კაპრიატის ორი მატჩბოლი ჰქონდა, თუმცა მესამე სეტში მაინც დავამარცხე ტაიბრეიკზე. ანგარიში 3:5 იყო ჯენიფერის სასარგებლოდ და მატჩბოლს აწვდიდა. გავიფიქრე, რა უნდა ვქნა, რა მოვუხერხო, როცა ასე ბრწყინვალედ თამაშობს-მეთქი. თითქოს დავნებდი კიდეც. სწორედ ამ დროს შევასრულე ფანტასტიკური დარტყმა, რომელმაც, ჩემი აზრით, თამაშში გარდატეხა შეიტანა.

**- რომელი თამაშის დავიწყება გინდათ?**

- ყველას ჰგონია, რომ ეს 2007 წლის უიბლდონის ნახევარფინალია. რეალურად კი ყველაზე მეტად მინდა დავივიწყო უიმბლდონის ფინალი ამელი მორესმოსთან. მაშინ აბსოლუტურად უგულოდ ვითამაშე.

## "ჰერტა" ვორონინის შენარჩუნებას ეცდება

ბერლინის ჰერტას ლივერპულიდან ერთი სეზონით, მიმდინარე წლის ზაფხულამდე, ნაქირავები უკრაინელი თავდამსხმელის ანდრეი ვორონინის აღნიშნულ ვადაზე უფრო მეტი ხნით დატოვება სურს.

ვორონინმა ამ სეზონში ჰერტას შემადგენლობაში 15 ბუნდესლიგური მატჩი ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა, აქედან 2 - გასულ შაბათს მიუნხენის ბაიერნთან შინ 2:1 მოგებულ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში.

29 წლის უკრაინელი მეგოლე ბოლო დროს ამბობდა, რომ თავისი მომავლის, ანუ იმის გარკვევა სურს, ამ სეზონის შემდეგ ისევ ენფილდ როუდზე უნდა დაბრუნდეს, თუ ოლიმპიაშტადიონზე დარჩეს. აქამდე ბერლინური კლუბი ამ საკითხის თაობაზე თავისი ცალსახა პოზიციის ჩამოყალიბებას არ ჩქარობდა, მაგრამ ბაიერნის წინააღმდეგ ვორონინის გარჯამ ჰერტა აიძულა, მასთან მოლაპარაკებების მაგიდას მიჯდომოდა.

ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ - თქვა ამ მოლაპარაკებათა შემდეგ ფეხბურთელის მრჩეველმა ანდრეი გოლოვაშმა.

ხოლო ჰერტას მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა დასძინა, რომ კლუბს ვორონინის უფრო დიდი ხნით დატოვება სურს, თუმცა საამისო შესაძლებლობა არ გააჩნია. შეგახსენებთ, ლივერპული უკრაინელის სანაცვლოდ, რომელსაც მასთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს, 5 მილიონ ევროს ითხოვს.

ჰიონესის თქმით, მხარეები გონივრულ გამოსავალს ეძებენ. ასეთად კი მასაც და, ალბათ, ყველას ჰერტას მიერ ვორონინის კიდევ ერთი წლით დაქირავება მიაჩნია.

## MVP ამიერიდან ბილ რასელის სახელს ატარებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) სეზონის უძვირფასესი მოთამაშის (MVP) ჯილდო ამიერიდან ლეგენდარული ბილ რასელის სახელს ატარებს. აღნიშნულის შესახებ განცხადება ნბა-ს კომოსიონერმა დევიდ შტერნმა გააკეთა. რასელს, რომელიც ბოსტონ სელტიქსის ღირსებას იცავდა, კლუბთან ერთად 13 სეზონში 11 საჩემპიონო ტიტული აქვს მოგებული.


## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 18 თებერვლიდან აცხადებს ტენდერს რადიოსადგურების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **რადიოსადგურების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

**სატენდერო დოკუმენტაცია** და **ტექნიკური დავალება** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **18 თებერვლიდან** 2009 წლის **10 მარტის** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთ. | რაოდ |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| 1 | ხელის გადასატანი რადიოსადგური | ხელის გადასატანი რადიოსადგურის კომპლექტი *(ხელის რადიოსადგური - 1ცალი; აკუმულატორი 1ცალი; დასამუხტი მოწყობილობა - 1ცალი; გამოსატანი მიკროფონი - 1 ცალი)* | კომპლ | 154 |
| | საბაზო რადიოსადგური | საბაზო რადიოსადგურის კომპლექტი *(საბაზო რადიოსადგური - 1ცალი; ხელის გამოსატანი მიკროფონი 1 ცალი; საბაზო ანტენა - 1 ცალი; კაბელი 30 მ; კვების წყარო - 1 ცალი; კაბელის შესაბამისი მისაერთებლები - 2 ცალი)* | კომპლ | 9 |

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი

**4. მოწოდების ვადა:** 2009 წლის II კვარტალი;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქულ კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 10 მარტის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო გარანტიის** წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**ფიზიკური პირებისათვის :**

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი საბანკო გარანტიის** წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

7. **ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი ბეჭდით დამოწმებული, სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ-ს გარეშე**: უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ქუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

**სატენდერო კომისია**

The New York Times offers a "window" to the world




- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.

- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

# "სამეფო რბოლას" ქალიც დაამშვენებს

ფორმულა 1-ში უდიდესი სიახლეა მოსალოდნელი. ეს სენსაციური ცვლილება ამერიკელებს უკავშირდება. 2010 წლიდან "სამეფო რბოლებში" წმინდა ამერიკული გუნდი USF1 მიიღებს მონაწილეობას.

ამ გუნდის პრეზენტაცია 24 თებერვლისთვის არის დაგეგმილი. სავარაუდოდ, USF1 2010 წელს აიღებს სტარტს ფორმულა 1-ში. უცხოური მედიის ინფორმაციით, გუნდში 100 ადამიანზე ნაკლები არ იქნება. ამერიკული საჯინიბოს ბიუჯეტი 50 მილიონ დოლარს მიაღწევს. USF1-ის ტექნიკური დირექტორის პოსტზე კენ ანდერსონი დაინიშნა, გუნდის შტაბბინა კი აშშ-ში იქნება, თუმცა უკვე მიმდინარეობს სამუშაოები იმისთვის, რომ USF1-ს ერთი ბაზა ევროპაშიც ჰქონდეს. სავარაუდოდ, ეს ბაზა ესპანურ გუნდ EPSILON EUSKADI-ის ქარხანაში დაიდებს ბინას.

ახლა კი იმ მთავარ მოულოდნელობაზე, რომელსაც ამერიკელები "სამეფო რბოლებს" შესთავაზებენ.

კენ ანდერსონის განცხადებით, მის გუნდში ერთ-ერთი პილოტი ქალი იქნება. ამერიკული გუნდი აპირებს მიიწვიოს ცნობილი ამერიკელი პილოტი, 26 წლის დანიკა პატრიკი, რომელიც ახლა INDYCAR-ში ასპარეზობს.

"პატრიკი შეუდარებელია. ის პრესის უდიდეს ყურადღებას იპყრობს. ინდიანაპოლისის ავტოდრომის ბოსი ტონი ჯორდანი გადაირევა, როცა გაიგებს, რომ დანიკა ფორმულაში გადამყავს, მაგრამ ეს მისი პრობლემაა. მართალია, არ ვიცი ისურვებს თუ არა დანიკა "სამეფო რბოლაში" გადასვლას, მაგრამ ჩვენ აუცილებლად მივმართავთ წინადადებით", - აცხადებს კენ ანდერსონი.

დანიკა არა მარტო კარგი მრბოლელია, არამედ მეტისმეტად სექსუალურიც. მისი ფოტოები ხშირად ჩნდება მამაკაცებისთვის განკუთვნილ ჟურნალებში. აშკარაა, რომ ამერიკელები დანიკას სარეკლამოდ გამოიყენებენ.



*დანიკა პატრიკსს "სამეფო რბოლებში" გადაბარგება სურს.*

ცხადია, დანიკას გარდა USF1-ში სხვა პილოტებიც იქნებიან. ცნობილია მათი ვინაობაც. ანდერსონი ამერიკელებზე აკეთებს აქცენტს. მომავალი პილოტების სია კი ასე გამოიყურება: სკოტ როსი, რომელსაც "ტორო როსოს" შემადგენლობაში 28 გრან-პრი აქვს გამართული, ამჟამად კი NASCAR-ში ასპარეზობს; წარსულში ფორმულა 1-ის პილოტის დერეკ დეილის ვაჟი კონორი და ჯოზეფ ნიუგარდნერი, რომელიც ევროპაში, იუნიორთა შეჯიბრებებში ცდის ძალებს.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით

SLT - ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად
დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ.N109. საიდენტიფიკაციო კოდი 231946623; საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. სახალხო ბანკის თერჯოლის ფილიალი, ბანკის კოდი 220101461; ანგ. N33030426) აცხადებს ტენდერს სამშენებლო და კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე.

**2. შესყიდვის ობიექტია:**

**I ლოტი: ქ. თერჯოლის ცენტრის მიმდინარე კეთილმოწყობა**

**II ლოტი: საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა**

სამუშაოების სრული ჩამონათვალი მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. სამუშაოს მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან (დაკვეთიდან) 2 თვე.

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დედნისა და დამოწმებული ასლის სახით, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 11 მარტის 15 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატი. დალუქული პაკეტები პრეტენდენტთა თანდასწრებით გაიხსნება **2009 წლის 11 მარტს, 15 საათზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

გ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ)

**5.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან)

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

დ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი.

**5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) მონაცემები ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ. (წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ცნობა ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. (წარმოდგენილი უნდა იყოს აუდიტის დასკვნა)

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბ-კონტრაქტორისათვის.

6. თითოეული ლოტისათვის სატენდერო მოსაკრებლის - 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (**სატენდერო მოსაკრებლის ანგარიშია: მიმღები - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი-220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-300203174. მოსაკრებლის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერზე სამუშაოს შესასყიდად**) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა **2009 წლის 11 მარტამდე** მისამართზე: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ.N109, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატი. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის ადგილზე გაცნობა.

7. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადაში სრულყოფილად არ წარმოადგენს მოთხოვნილ ყველა ცნობასა და დოკუმენტაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

10. სატენდერო წინადადების მომზადებისას ტენდერში მონაწილე პირის მიერ დათვალიერებული და დეტალურად შესწავლილი უნდა იქნას ჩასატარებელი სამუშაოების ადგილი.

11. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა მექანიკური შეცდომებისა და იმ შემთხვევისა, როდესაც საჭირო ხდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიაში შემდეგი პირებისაგან: ზურაბ ჩაფიჩაძე - T 895 90 10 90, რომან სულამანიძე - T 899 11 82 67 მისამართზე: ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

**სატენდერო კომისია**

## ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება N 13
11.02.2009წ.
010.260.040.38.101.012.770 იანვარი 2009წ.

ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის
დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის
მერის 2007 წლის 8 იანვრის N3 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2007 წლის 8 იანვრის N3 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. გამგეობის წარმომადგენელი - გამგეობის რწმუნებული (შემდგომში რწმუნებული) არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი".

2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი უგულავა

## ქალაქ თბილისის მერი

**09.02.2009** წ.
**010.260.030.38.101.012.759. ბრძანება 14**
2 თებერვალი 2009წ.

„ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და
კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების
შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის
N13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1.შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N13 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული სამსახურის დებულებიდან ამოღებულ იქნეს მე-6 მუხლის მეორე პუნქტის ო" ქვეპუნქტი;

2. ბრძანება ამოქმედდეს 2009 წლის 1 თებერვლიდან.

გიორგი უგულავა

## მუნიციპალური განვითარების ფონდი

**ცვლილება 2009 წლის 13 თებერვლის გაზეთ „24 საათი"-ს ნომერში გამოქვეყნებულ მოწვევა ფასთა კოტირების წარდგენაზე**
**(საიდენტიფიკაციო ნომერი MDF/NS/004/09)**

**პუნქტი 1 შეიცვალოს შემდეგნაირად:**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს ფასთა კოტირების წარდგენაზე დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ კოტირებები:

ლოტი N1 - მუნიციპალური განვითარების ფონდის კუთვნილი საოფისე ორგტექნიკის სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა;

ლოტი N2 - მუნიციპალური განვითარების ფონდის კუთვნილი საოფისე ორგტექნიკის პროფილაქტიკური მომსახურეობა;

**პუნქტი 2 შეიცვალოს შემდეგნაირად:**

2. ფასთა კოტირების შეფასება მოხდება თითოეულ ლოტზე ფასის შედარების საფუძველზე. კონტრაქტი მიენიჭება ფირმას, რომელიც თითოეულ ლოტზე წარმოადგენს უდაბლეს ფასს.

**პუნქტი 3 შეიცვალოს შემდეგნაირად:**

3. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ლოტი N1:

ა) სახარჯი მასალები უნდა იყოს სერთიფიცირებული ბრენდის და შეესაბამებოდეს საერთაშორისო ნორმებით დადგენილ სტანდარტებს;

ბ) მსგავსი მომსახურების განხორციელების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.

ლოტი N2:

ა) სერვის ცენტრის არსებობა;

ბ) მსგავსი მომსახურების განხორციელების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ვის: ბ-ნი ვეფხვია რაზმაძე**
**უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი**
**დ ალმაშენებლის გამზ. N150, 0112 თბილისი, ოთახი N413;**
**ტელ: 48-45-09, 48-45-10, 48-45-11;**
**ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge**
**ინტერნეტ-გვერდის მისამართი: mdf.org.ge**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 03 თებერვალს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „დეასთვის" ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 03 თებერვალს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „დეასთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 30 იანვარს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ილია"-ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".

## ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. 2009 წლის 17 თებერვლიდან, გამოცხადდეს კონკურსი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოლეკულური გენეტიკის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე.

2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ანკეტა ( შევსებული);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ)ოთხი ფოტოსურათი 3X4;

დ)შესაბამისი სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი;

ე)ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;

ვ)ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა ( სილაბუსი);

ზ) სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა, გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დისციპლინის სწავლების კონცეფცია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე;

თ) კანდიდატს შეუძლია აგრეთვე წარმოადგინოს სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებს მის შესაბამისობას ამ ბრძანების მე-5 მუხლში ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან;

4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:

ა) სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, ამასთან სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

5. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება მოხდება შესაბამისი ფაკულტეტის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

ა) კანდიდატის უნარი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში;

ბ) პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება;

გ) სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში);

დ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება;

6. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ კანდიდატს გაუფორმდება შრომითი ხელშეკრულება 2 წლის ვადით;

7. საბუთების მიღება იწარმოებს ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 2 მარტიდან. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 23 მარტი.

8. კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2009 წლის 27 მარტისა.

9. საბუთები აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით ( სამეცნიერო ნაშრომის ელექტრონული ფორმით წარმოდგენა არ არის აუცილებელი). საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული ან დისკით, ან გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: uni@iliauni.edu.ge

**რექტორი გიგი თევზაძე**

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

2009 წლის 3 თებერვლის გაზეთ 24 საათში" გამოქვეყნებულ N3 (წყალტუბოს რ-ნში, სოფ. სარბევის ტერიტორიაზე, მდ. რიონის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება) ობიექტზე ა/წ 17 თებერვალს გაიმართა აუქციონი, შესაბამისადAაღნიშნულ ობიექტზე განცხადებების მიღება შეწყდა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს მიმდინარე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს **განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო** სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი ცხრა აპრილის ქ. N4 მე-2 სართული, ოთახი 202, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**1. შესყიდვის ობიექტის - მიმდინარე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების -შესრულების ადგილი და ვადები.**

**ლოტი 1** - ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას N72 - ყაზარმისა და სამუშაო ოთახის მიმდინარე რემონტი. (1.04.09- 1.05.09).

**ლოტი 2** - ქ.თბილისი ჟორესის N10 - ბოილერების, სამუშაო ოთახების, სამორიგეოს და საკონტროლო გამშვები პუნქტების მიმდინარე რემონტი. (1.04.09-1.06.09).

**ლოტი 3** - ქ.ქუთაისი ორეხელაშვილის N8 - ადმინისტარაციული შენობის პირველ სართულზე განლაგებული სამუშაო ოთახების მიმდინარე რემონტი. (1.07.09-1.08.09).

**ლოტი 4** - ქ. თბილისი ჯიქიას N11 - საქვაბისა და სასადილოს მიმდინარე რემონტი. (1.04.09-45დღეში.).

**ლოტი 5** - ქ.ზუგდიდი გორის ქუჩა N2 - სპეცტექნიკის სადგომში ელ.მომარაგების და განათების მიმდინარე რემონტი. (1.07.09-1.08.09).

**ლოტი 6** - ქ.ბათუმი ტბელ აბუსერიძის N11 - ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე რემონტი. (1.07.09-45დღე).

**ლოტი 7** - ქ.თბილისი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე - სამაშველო განყოფილების ვოილერის შემოღებვის მიმდინარე რემონტი. (1.04.09-1.05.09).

2. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებელის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 18 თებერვლიდან იმავე წლის **10 მარტის 11.00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. N4, მე-2 სართული, ოთახი 202. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებელის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **10 მარტის 11.00 საათიდან 13.30 საათამდე**, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, 9 აპრილის ქ. N4, მე-2 სართული, ოთახი 202.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 **იურიდული პირებისათვის**:

a) ცნობა - საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

b) ცნობა - ცნობა - საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

g) ცნობა - სასამართლოდან, რომ იურიდული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.

4.2 **ფიზიკური პირებისათვის**:

ა) ცნობა - საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

ბ) ცნობა - საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარილის შემდგომ პერიოდში.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

11. ინფორმაცია სამუშაოს შესრულებაში მონაწილე მუშა-მოსამსახურების შესახებ - არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

12. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. **ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.**

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ინდირა გოგილავა ტელ. 41-21-48, 899- 21-49-59. მიშა ბენაშვილი 877-53-81-82.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს 2 ლოტად, თელავის მინიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

**ლოტი 1.** თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემის ქსელების

რეაბილიტაცია.

**ლოტი 2.** თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემის სათავე-

ნაგებობების და წყალშემკრები რეზერვუარების რეაბილიტაცია.

სამუშაოების შესრულების ვადა ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან, სასურველი - 5 თვე, სავალდებულო - 7 თვე.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის, თითო ლოტზე 200 ლარის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სათანადო მომართვის წარმოდგენის შემდეგ მოთხოვნისთანავე, 2009 წლის 18 თებერვლიდან 9 მარტის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თელავი (2200), ერეკლე II გამზ N16, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, II სართული, ტელ: 8 250 7 31 05.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 10 მარტს 10 საათიდან 14 საათამდე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში;

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის იურიდიული სტატუსი და რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (გვარ-სახელი, მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.
- ცნობა სასამართლოდან, გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოების შესახებ.
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.
- ინფორმაცია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.
- ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ნუსხა, შესრულების ვადების და დამკვეთის მითითებით.
- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

განცხადებაში მითითებული საკავალიფიკაციო მონაცემები და მოთხოვნები, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიული პირებისათვის შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება და აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ეხება ასევე შესყიდვაში მონაწილე პირების ქვეკონტრაქტორებსაც.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელდება გამარჯვებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს საუკეთესო პირობებს, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

ტენდერში გამარჯვებულად დასახელდება ერთი ან ორი პრეტენდენტი.

შესყიდვაში მონაწილე პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ სატენდერო წინადადების ალტერნატიული ვარიანტი.

დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია: ხაზინის ერთიანი ანგარიში **N200122900**, საქართველოს ეროვნული ხაზინა **220101222**, სახაზინო კოდი **300513174**. აუცილებლად უნდა მიეთითოს თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

**დამატებითი ინორმაციისათვის მიმართეთ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N16, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ლევან ბასილაური, ტელ: 8 250 7 31 05, 855 227 229.**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება საქართველოს კანონით @"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ".

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 6 (ექვსი) ლოტად დაყოფილ ტენდერს დეპარტამენტის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების (სერვისის) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითონ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო მოსაკრებელი, კონკრეტული შესყიდვის დასახელებით და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., ოთახი 311 (შესყიდვების ორგანიზების ქ/განყოფილება), რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 10:00 – 18:00 საათამდე ყოველ დღე 2009 წლის 09 მარტის ჩათვლით, უქმი დღეების გარდა.
2. გასაწევი მომსახურეობის ჩამონათვალი:

| ლოტი № | სატრანსპორტო საშუალებების დასახელება მოდელების მიხედვით | მომსახურების დასახელება |
|---|---|---|
| 1 | ა) ფოლკსვაგენი"პასატი" – 30.<br>ბ) ფოლკსვაგენი"ჯეტა" – 38.<br>გ) შკოდა"ოქტავია" – 247.<br>დ) აუდი A4 – 1.<br>ე) აუდი A6 – 1.<br>ვ) ფოლკსვაგენი „ბორა" – 1.<br>ზ) ფოლკსვაგენი „ვენტო" – 1.<br>თ) ფოლკსვაგენი „გოლფი" – 1.<br>ი) პორშე კაიენი s – 1. | ტექნიკური მომსახურება (სერვისი) |
| 2 | ა) ტოიოტა"კამრი" (2.4 ; 2.2 ) – 3.<br>ბ) ტოიოტა კოროლა – 2.<br>გ) ტოიოტა ჰაილუქსი – 2.<br>დ) ლექსუსი ჯიპი RX 330 – 1.<br>ე) ტოიოტა პრადო – 1.<br>ვ) ტოიოტა ჰაიესი – 2.<br>ზ) ნისან ნავარა – 23. | |
| 3 | ა) "ბე-ემ-ვე" X5 ჯიპი – 1.<br>ბ) „მერსედესი CLK 320" – 1.<br>გ) "მერსედესი- E320" - 1.<br>დ) მერსედესი- 124 - 2.<br>ე) ოპელ"ვექტრა" (A; B; C) – 4.<br>ვ) "ბე-ემ-ვე 530" – 1.<br>ზ) "ოპელ ომეგა" – 1<br>თ) "ოპელ ასტრა" – 1<br>ი) მერსედესი ML 270 – 1.<br>კ) ვოლვო V-70 – 1. | |
| 4 | ა) მიკროავტობუსი "მერსედესი – 208 D" - 1.<br>ბ) მიკროავტობუსი "ფორდ ტრანზიტი" – 8.<br>გ) ავტობუსი"ივეკო"-ს მარკის – 2.<br>დ) მიკროავტობუსი „მერსედეს ვიტო" – 1 | |
| 5 | ა) ვაზ-2121"ნივა" – 28.<br>ბ) ვაზ-2106 – 1.<br>გ) ვაზ-2107 – 2.<br>დ) უაზ-31514 – 1. | |
| 6 | ხმელეთის სკუტერი<br>YAMAHA RACING SPORTS – 16<br>ხმელეთის სკუტერი MONDIAL – 1<br>მოტოციკლი YAMAHA – 5 | |

3. – გასაწევი მომსახურების სავარაუდო ვადები: შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის ბოლომდე.
4. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოს ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 10 მარტს 15:00 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. სატენდერო წინადადებებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების კონვერტების გახსნა განხორციელდება 2009 წლის 10 მარტს 15:00 საათზე.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ; (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (მოქმედების ვადა არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა)
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ. (მოქმედების ვადა არა უმეტეს 10 სამუშაო დღისა)
დ) ცნობა სასამართლოდან, მასზედ რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება. (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა)
ე) ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტზე შესაბამისობის სერთიფიკატის დამოწმებული ასლი (საქართველოს სერთიფიკაციის შესაბამის ორგანოდან);
ვ) სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
ზ) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
**შენიშვნა:** არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.
8. სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.
9. პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
10. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.
11. პრეტენდენტებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდეც, ზემოთ მითითებულ მისამართზე.
12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი ლომთაძე, ტელ: 41 30 17, 877 77 25 35;

სატენდერო კომისია

## საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური** აცხადებს ტენდერს საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

**2.** შესყიდვის ობიექტია: საავტომობილო საწვავი (ბენზინი - „სუპერი" 10000 ლიტრი, ბენზინი - „პრემიუმი" 120000 ლიტრი და დიზელი - 10000 ლიტრი) რაოდენობით 140000 ლიტრი (სატალონო მომსახურება ბენზოგასამართი სადგურებიდან).

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 10 მარტს 15.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ.N4. ოთახი 104.

**4**. მიწოდების ადგილი: სატალონო მომსახურება ქვეყნის მასშტაბით არსებული ბენზოგასანართი სადგურებიდან.

**5**. მიწოდების ვადები: მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

**6.** ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის და მე-2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ სადამფუძნებლო დოკუმენტები (შესაბამისი სამსახურიდან);

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

დ) ცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);

ე) ცნობას, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შს სამინისტროდან);

ვ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტისა და კრედიტორების წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ზ) საწვავის ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი;

თ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარატია მთლიანი წარმოდგენილი თანხის 1%.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-7 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2009 წლის 10 მარტს 15.00 საათზე. წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

**10.** ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 2009 წლის 18 თებერვლიდან 2009 წლის 10 მარტის 15.00 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (*სახელმწიფო ხაზინა 220101222, ანგარიში N200122900. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის სახაზინო კოდი: 1712, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი* 302005800*) სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კეკელიძის ქ N.4. ოთახი N104.*

**11.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე 2009 წლის 18 თებერვლიდან 2009 წლის 10 მარტის 15.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კეკელიძის ქ. N4, ოთახი N 104.

**12.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება 2009 წლის 18 თებერვლიდან 2009 წლის 10 მარტის 15.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე ქ.თბილისი, კეკელიძის ქ. N4, ოთახი N104.

**13.** ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**14.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან **იოსებ ოქრომელიძე, მობ: 877119988. სამსახური 284139.**

**საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის სატენდერო კომისია**

---

**2009 წლის 5 თებერვლის N24 გაზეთში „24 საათი" სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში „გლობალური ფონდის" პროგრამის „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში" (პროგრამა: N-GEO202-G01-H-00), ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვის ტენდერის ჩატარების შესახებ, შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება და დამატება:**

განცხადების პირველ მუხლში უნდა იყოს:

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ: (995 32) 388210, (995 32) 388220; ტელ./ფაქს.: (995 32) 388210 (Ext.: 119), E-mail: globalfund@caucasus.net) ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს შვიდ ლოტად „გლობალური ფონდის" პროგრამის **„აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში"** ფარგლებში („საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის თანახმად, „გლობალური ფონდის" ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან) გათვალისწინებულ მომსახურებაზე შემსრულებლების გამოსავლენად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

სატენდერო კომისია

---

## 17 თებერვალი 2009 წელი ქ. თბილისი
## N 09/1-42

**დადგენილება**
**შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედი კერძო**
**არბიტრაჟის სახელით**
**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე**

შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟში იხილება პრეტენდენტების **ნანული ჭაბაშვილის** და **ფლორა ბაღათურიას** საარბიტრაჟო პრეტენზია მოპასუხე **თამაზ გობეჯიშვილის** მიმართ დავალიანების გადახდის თაობაზე.

**2008 წლის 04 სექტემბრის სესხის და იპოთეკის** ხელშეკრულების საფუძველზე პრეტენდენტები **ნანული ჭაბაშვილი** და **ფლორა ბაღათურია** ითხოვენ მოპასუხისგან: 1) **ნანული ჭაბაშვილი** ითხოვს: ა) სესხის ძირითად თანხას **10 000** (ათი ათასი) **აშშ დოლარს,** ბ) **ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებელს, სესხის ძირითადი თანხის 5%-ს, რაც შეადგენს 500 (ხუთასი) აშშ დოლარს 2008 წლის 04 ოქტომბრიდან 2008 წლის 04 დეკემბრამდე** და გ) **ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს, სესხის ძირითადი თანხის 0,3%-ს ყოველდღიურად, რაც შეადგენს 30 (ოცდაათი) აშშ დრლარს 2008 წლის 04 დეკემბრიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.** 2) **ფლორა ბაღათურია** ითხოვს: ა) სესხის ძირითად თანხას **25 000** (ოცდახუთი ათასი) **აშშ დოლარს,** ბ) **ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებელს, სესხის ძირითადი თანხის 5%-ს, რაც შეადგენს 1 250 (ათას ორას ორმოცდაათი) აშშ დოლარს 2008 წლის 04 ოქტომბრიდან 2008 წლის 04 დეკემბრამდე** და გ) **ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს, სესხის ძირითადი თანხის 0,3%-ს ყოველდღიურად, რაც შეადგენს 75 (სამოცდათხუთმეტი) აშშ დრლარს 2008 წლის 04 დეკემბრიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.** პრეტენდენტები **ასევე ითხოვენ მათ მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის და საარბიტრაჟო განხილვის სხვა ხარჯების მოპასუხეზე დაკისრებას.** საარბიტრაჟო სხდომა ვერ ჩატარდა და რამდენჯერმე გადაიდო იმის გამო, რომ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის საქმის მასალების და საარბიტრაჟო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ მოხერხდა. აღნიშნულიდან გამომდინარე არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქარველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **მე-12** და **78-ე** მუხლებით, შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის დებულების **6.16-ე** მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. **მოპასუხე თამაზ გობეჯიშვილს, მცხოვრებს: ქ. თბილისი, ვარკეთილის IV მ/რ, III კვ. კორპ. 12, ბინა 55-ში,** გაეგზავნოს საჯარო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ პრეტენდენტების **ნანული ჭაბაშვილის** და **ფლორა ბაღათურიას** საარბიტრაჟო პრეტენზიის განხილვა ჩატარდება **2009 წლის 04 მარტს, 16.00 სთ-ზე შპს ჯგუფი მილენიუმის მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. 50.**

აღნიშნული დადგენილების გაზეთში გამობქვეყნებიდან **მე-7** დღეს საარბიტრაჟო უწყება მოპასუხისთვის ჩაბარებულად ითვლება.

**არბიტრი: /მზია სალუქაშვილი/**

---

**დავით ტატიშვილის**
**სამედიცინო ცენტრის**
**პედიატრიული სამსახური მედიცინის**
**მეცნიერებათა დოქტორის,**
**პროფესორ ქეთევან**
**ბარაბაძის ხელმძღვანელობით**
**გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

20.02.2009 წ

# განცხადება ტენდერში მონაწილეობაზე

1. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის სამსახური აცხადებს ტენდერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის ქუჩების დაგვა-დასუფთავების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და გაუვნებელყოფის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

2. ჩასატარებელი მომსახურების ადგილმდებარეობა – თვითმმართველი ქალაქ ფოთი.
მომსახურების შესრულების სავალდებულო ვადაა ტენდერში გამარჯვებულთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებიდან **2009 წლის 16 მარტიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

ჩასატარებელი მომსახურების (დასაგველი ქუჩების) საერთო ფართი შეადგენს **357719 (სამას ორმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ცხრამეტი) მ².**

**ძირითადი მომსახურეობის ჩამონათვალი:**

- ქუჩების დაგვა-დასუფთავება დღის განმავლობაში (ქუჩების ჩამონათვალი ფართის მიხედვით, ნაგავშემკრები კონტეინერის რაოდენობა, განთავსების ადგილი და მომსახურების გაწევის დრო მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში);
- მონახვეტი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ინერტული მასალების, დაღუპული ცხოველებისა და სხვა ნაგავის გატანა და გაუვნებელყოფა.
- მომსახურება „მიმწოდებელმა“ უნდა განახორციელოს საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით, ნაგავშემკრები კონტეინერებით და ხარჯით.

მომსახურების გაწევისას „მიმწოდებელი“ პასუხისმგებელია დაიცვას შრომის უსაფრთხოების პირობები, უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ტერიტორიაზე უარყოფითი ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

3. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები:
(ქართველმა „მიმწოდებელმა“ - ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა“- მისთვის
სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული
ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: თვითმმართველი
ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის სამსახური, ქ. ფოთი, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №3, ადმინისტრაციული შენობის II-სართული, სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 8 (293) 2-10-56, 8(293) 2- 10-17.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**4.1. იურიდიული პირისათვის, ინდ. მეწარმეებისათვის (ფიზიკური პირებისათვის):**
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
გ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი პირი, ინდ. მეწარმე (ფიზიკური) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ საგადასახადო დავალიანების არ არსებობის შესახებ.
ე) მონაწილის იურიდიული სტატუსი, დაურთეთ ახალი რეგისტრაციის და მოღვაწეობის ძირითადი ადგილი, სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი;
ვ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ზ) ინფორმაცია მომსახურების შესრულებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების, მოწყობილობა-დანადგარების, ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;

| № | მოწყობილობა მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებით (ვისგან). |
|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>3. | | | | | |

თ) უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური მომსახურეობის ჩამონათვალი.

| № | მომსახურეობის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| 3. | | | | |

ი) სატენდერო კომისიის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც მითითებულია მე-4 პუნქტში ასევე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

**5.** ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4. პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ (საბანკო რეკვიზიტები – ხაზინის ერთიანი ანგარიში №-200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222, სატენდერო შემოსავლის კოდი 300423174) განხორციელდება **2009 წლის 20 თებერვლიდან 2009 წლის 12 მარტის 12⁰⁰ საათამდე,** შემდეგ მისამართზე: თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის სამსახური, ქ. ფოთი, გიორგი ჭანტურიას ქ. №3.

**7.** „მიმწოდებელი“ ვალდებულია მომსახურების პროცესში საინჟინრო ტექნიკური პერსონალის მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით.

**8.** სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის ბოლო ვადაა: **2009 წლის 12 მარტის 12⁰⁰ საათამდე,** განცხადების მე-3 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**9.** იურიდიული და ფიზიკური (ინდ. მეწარმეები) პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო
შერჩევას, თუ არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას,
ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება. ამასთანავე, წარმოდგენილი საკვალიფიკაციო
მონაცემების განხილვისას წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები დაზუსტებას
არ ექვემდებარება.

**10.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% -ის ოდენობით. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს არა აქვთ უფლება წარმოადგინონ ალტერნატიული წინადადება.

12. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების მთლიანი ფასის 2%-ის ოდენობით.

13. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების
მართვის სამსახურში (ქ. ფოთი, გიორგი ჭანტურიას ქ. №3) ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

**14.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: მაია სულავა, მისამართზე: თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის სამსახური. ქ. ფოთი, გიორგი
ჭანტურიას ქ. №3, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 2-10-56.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის
ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის
სამსახურის სატენდერო კომისია

## სასჯელაღსრულების დეპარტამენტის განცხადება

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი იწყებს სამეწარმეო სუბიექტების შერჩევას სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებულ პატიმართათვის საფოსტო-საკურიერო და პრესისა და ბეჭდვითი გამოცემების მიწოდების მომსახურებასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, მსურველებმა 2009 წლის 25 თებერვლამდე შესაბამისი წინადადებები წარმოადგინოთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის N83ა. ტელ: 75-23-83; 877 28-46-56; **mail. tato@dop.gov.ge**

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს ქ. ახმეტისა და სოფლების წყალსადენების სათავეებისა და შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და მასში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტები დაყოფილია სამ ლოტად:

ლოტი №1 - ქ. ახმეტისა და სოფელ შახვეტილის წყალსადენის შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობებია:

ა) მიწის სამუშაოები 10086 კუბ.მ.

ბ) d=25მმ-d=200მ - პოლიეთილენის მილი 8628 გრძ.მ

გ) d=50მმ-d=200მმ - თუჯის ურდული 45 ცალი

დ) რკინა-ბეტონის რეზერვუარი 1000 ტონაზე 1 ცალი

ლოტი №2 - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების (მაღრაანის, ბაბანეურის, ქვემო ალვანის, ზემო ალვანის, ქისტაურის, ახშნის, საჩალის, ოჟიოს, ზემო ხოდაშნისა და აწყურის) წყალსადენების სათავისა და შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობებია:

ა) მიწის სამუშაოები - 11836 კუბ.მ.

ბ) d=25მმ-d=200მმ - პოლიეთილენის მილი 15844 გრძ.მ

გ) d=100მმ-d=300მმ - ლითონის მილი 400 გრძ.მ

დ) ყორე ქვის წყობა 750 კუბ.მ.

ე) მავთულ-ბადე 1820 კვ.მ.

ვ) d=250მმ-d=300მმ თუჯის ურდული 2 ცალი

ლოტი №3 - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების (მატნის, საკობიანოს, ბირკიანის, ომალოს და ზემო ხალაწნის) წყალსადენების სათავისა და შიდა ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობებია:

ა) მიწის სამუშაოები - 1115 კუბ.მ.

ბ) d=25-d=300მმ - პოლიეთილენის მილი 12155 გრძ.მ

გ) d=100მმ-d=300მმ - თუჯის ურდული 12 ცალი

დ) ლითონის ცისტერნა 5 ტონიანი 1 ცალი

ე) ბეტონის სამუშაოები 55,3 კუბ.მ.

2. შესყიდვის ობიექტების მიწოდების ბოლო ვადაა 2009 წლის 1 სექტემბერი.

3. შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი არასაგადასახადო ანგარიში, ანგარიშის №200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300543174 (სატენდერო მოსაკრებელი) 2009 წლის 11 მარტს, 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა №49, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა, II სართული.

5. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს დალუქულ კონვერტში განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 12 მარტის 12 საათამდე (ყოველდღე 10 სთ-დან 17 სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა), შემდეგ მისამართზე: ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა №49, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა, II სართული.

6. სატენდერო წინადადებები გაიხსნება სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულების დღეს, 2009 წლის 12 მარტს, 16 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

7. ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება 1 გამარჯვებული.

8. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

8.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი).

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ვ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის ყადაღა.

8.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

8.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ინფორმაცია ბოლო პერიოდში განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

9. საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლების სახით.

10. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება ეძლევათ შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო აპარატში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

11. ტენდერში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (საბანკო გარანტია ან სხვა გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტი ხელშეკრულების ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით).

12. ზემოთ მითითებულ მისამართზე სატენდერო დოკუმენტაციის გაცემას აწარმოებს სატენდერო კომისიის აპარატი.

13. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ: ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის №49, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისია. ტელ.: 8 249 2 15 45; 8 99 738 771; 895 903 933.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისია

# განცხადება

2008 წლის 28 ნოემბრის №266 გაზეთში "24 საათი" სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სატელევიზიო მექანიკის თარგმნა-გახმოვანების მომსახურების ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებულები და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები: №8-1 შპს „ქართული გახმოვანება" -სთან და №8-2 სს „ქართული ფილმ"-თან.

2008 წლის 25 დეკემბრის №289 გაზეთში "24 საათი" სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სასტუმრო და დამხმარე ფართის და მისი მიმდებარე ეზოს მოვლა-დასუფთავების მომსახურების ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება: №10-4 შპს „სუფთა სამყარო" -სთან.

2008 წლის 12 დეკემბრის №279 გაზეთში "24 საათი" სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება: №6-2 შპს „სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფ"-თან

| სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მიერ 50 000 ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებები | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ირლანდია-საქართველოს (2009 წლის 11 თებერვალი) და კვიპროსი-საქართველოს (2009 წლის 28 მარტი) ეროვნული ნაკრებების საფეხბურთო მატჩების ტრანსლაციის ხვენების უფლების შესყიდვა | შპს „საერთაშორისო სპორტის მედია ჯგუფთან" | 137 900 ლარი. |
| 2 | სატელევიზიო გადაცემის - „პოლიტიკური კვირა" ექსკლუზიური უფლების შესყიდვა. | შპს „პოლიტიკური კვირა" | 179221.44 ლარი |
| 3 | სატელევიზიო გადაცემათა ციკლის - „მონატრებული ლაზები (ნაწილი I II III)"; „მელინო"; „ერთი ჭორიხის შვილები (ნაწილი I II)"; „აღმოსავლეთის მზე"; „ბალკანეთის ვარდები (ნაწილი I)"; „ბალკანეთის გმირები (უგვირგვინო უფლისწული)"; „შენი გულისჭირიმე (ნაწილი I II III IV) (ფიქრის ფიქრები); „საქართველოს მნათობი (ნაწილი I II III IV)"; „ქვათა ღაღადი (ნაწილი I II III)"; „ფერიანი სიზმრები (ნაწილი I II III IV)"; „საქართველოს ხული ვარ (ნაწილი I II III IV)"; „დაზისტანის ბულბული (ნაწილი I II)" ექსკლუზიური უფლების სახელმწიფო შესყიდვის | შპს „ნვენებურები" | 140000 ლარი |
| 4 | სატელევიზიო გადაცემის - „ცხოვრება მშვენიერია ნინო ქაჯაიასთან ერთად" ექსკლუზიური უფლების შესყიდვა | შპს „თბს-ტვ" | 175000 ლარი |
| 5 | სატელევიზიო გადაცემის - „მოწყვიტე წამი" ექსკლუზიური უფლების შესყიდვა | შპს „ტ-ეს-ბი ინტერნეიშენალ | 126000 ლარი |
| 6 | აუდიოვიზუალური ნაწარმოების – სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფერადი ფილმის „გასეირნება ყარაბაღში 2" გამოყენების განსაკუთრებული უფლების შესყიდვა | შპს „სინეგრუპ" | 196824 ლარი |
| 7 | სატელევიზიო გადაცემის „ქართული ხმები" | შპს „ანსამბლი ქართული ხმები" | 213103 ლარი |

# საიათნოვას მემორიალური კომპოზიციის პროექტის ღია კონკურსის

### პროგრამა და პირობები

ძველი ქალაქის რეაბილიტაციის და განვითარების ფონდის გამგეობის N16 სხდომის ოქმის თანახმად, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი და არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირი - UIA ნაციონალური სექცია - საქართველოს არქიტექტორთა კავშირი აცხადებს ღია კონკურს, თბილისელი მელექსის, მუსიკოსისა და აშუღის საიათნოვასადმი მიძღვნილი მემორიალური კომპოზიციის შესაქმნელად.

I

კონკურსის მიზანი

1.1 - კონკურსის მიზანია საიათნოვას მრავალფეროვანი მოღვაწეობის იდეის მატარებელი მემორიალის საუკეთესო ნამუშევრის გამოვლენა.

1.2 - მემორიალი უნდა აიგოს ქალაქ თბილისში „გორგასლის მოედანზე“ (მეიდანი) განთავსებულ სკვერში.

II

კონკურსის ზოგადი პირობები

2.2 - მემორიალური კომპოზიციის შინაარსი, მისი განხორციელებისათვის გამოყენებული მხატვრული ხერხები და მასალის ტექტონიკა უნდა იძლეოდეს საშუალებას, საიათნოვას პერსონის მრავალმხრივ შემოქმედებაზე მინიშნებას.

2.3 - მემორიალი, სივრცითი კომპოზიციის, მისი მასშტაბის, თვალსაზრისით უნდა იყოს კამერული ხასიათის, მოედნიდან აღქმადი და ამავე დროს არსებულ განაშენიანებასთან შესაბამისობაში

- კომპოზიციის შერჩევისას ანგარიში უნდა გაეწიოს მის ფონზე განთავსებულ, როგორც არსებულ, ასევე სარეკონსტრუქციო სამუშაოებით გათვალისწინებულ მოცულობებს (იხილეთ შესაბამისი პროექტი საკონკურსო მასალებში).
- საკონკურსო პროექტის ესკიზები გადაწყვეტილი უნდა იყოს თავისუფალი დიზაინის, სკულპტურულ-არქიტექტურული სინთეზის საშუალებით.

2.4 - კონკურსის მონაწილე ავტორები თავისუფალნი არიან მემორიალური კომპოზიციის განსახორციელებლად გამოსაყენებელი მასალების შერჩევაში, მაგრამ მემორიალის საერთო სახართაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 50 000 (ორმოცდაათიათასი) ლარს.

2.5 - კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მხატვრებს; მოქანდაკეებს; არქიტექტორებს (ჯგუფური პროექტების წარმოდგენისას დასაშვებია საავტორო ჯგუფში რამოდენიმე არადიპლომირებული სპეციალისტის ჩართვა).

2.6 - კონკურსში გამარჯვებული პროექტი უნდა იძლეოდეს არაუმეტეს ორმოცდაათ დღეში განხორციელების საშუალებას, რის შესახებ განმარტებით ბარათში ავტორის (ავტორების) მიერ უნდა არსებობდეს სათანადო დასაბუთება.

2.7 - კონკურსი, დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე, ტარდება ერთ ტურად

2.8 - კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ სამი პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში.

- სხვა შემთხვევაში კონკურსის ორგანიზატორი იღებს დამატებით გადაწყვეტილებას, რომელსაც აქვეყნებს საკონკურსო მასალების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე დღეს.

III

კონკურსის ჩატარების კალენდარული გრაფიკი

3.1 - კონკურსის გამოცხადების თარიღი: 2009 წლის 18 თებერვალი

3.2 - კონკურსის მასალების გაცემის თარიღი: 2009 წლის 18 თებერვლიდან

3.3 - საკონკურსო პროექტების მიიღების ბოლო თარიღი - 2009 წლის 5 მარტის 18:00 სთ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული - საქართველოს არქიტექტორთა კავშირი.

3.4 - საკონკურსო პროექტების გამოფენის თარიღი 2009 წლის 7 მარტი. აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული - საქართველოს არქიტექტორთა კავშირის საგამოფენო დარბაზი - „ხუროთმოძღვარი“.

3.5 - კონკურსის შედეგების გამოცხადება,
გამარჯვებული ავტორის (ავტორების)
დაჯილდოვება 2009 წლის 7 მარტი

IV

კონკურსის მონაწილეობაზე გასაცემი მასალები

4.1 - კონკურსის მონაწილეობაზე გაიცემა შემდეგი მასალები:
ა. კონკურსის პროგრამა და პირობები
ბ. ტერიტორიის სიტუაციური გეგმა 1:500
გ. აეროფოტო
დ. განაშენიანების ფოტომასალა
ე. სახელოვანებათმცოდნეო კვლება

4.2 - საკონკურსო მასალები, გარდა პროგრამა და პირობებისა, გაიცემა ციფრული ვერსიით.

4.3 - სამართლებრივი თვასაზრისით კონკურსის პროგრამა და პირობები წარმოადგენს კონკურსის ორგანიზატორებსა და მონაწილეს შორის დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) შინაარს, რისთვისაც საჭიროა კონკურსის მონაწილის მიერ სათანადო რეგისტრაცია.

V

კონკურსზე განსახილველად წარსადგენი მასალები

5.1 - განმარტებითი ბარათი A4 ფორმატზე (არაუმეტეს სამი გვერდისა)
5.2 - სიტუაციური გეგმა 1:500
5.3 - მემორიალის გეგმა (გეგმაბი) 1:10
5.4 - განშლა მოედნიდან 1:100
5.5 - მემორიალის ერთი ან ორი ხედი 1:10
5.6 - მემორიალის მაკეტი 1:10
5.7 - გრაფიკული მასალების შესრულების მანერა თავისუფალია
5.8 - მასალები წარმოდგენილი უნდა იყოს მსუბუქ პლანშეტებზე (3-6 მმ.) ზომით 80x100 (სათანადო საკიდებით)

5.9 - თითოეული პლანშეტის ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა დაიწეროს არათანმიმდევრული ციფრებისაგან შემდგარი შვიდნიშნა რიცხვი (დევიზი). პლანშეტის ქვედა მარჯვენა კუთხეში კი პლანშეტის ნომერაცია.

5.10 - ავტორმა (ავტორებმა) უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტი დევიზის აღნიშვნით, რომელშიც ნაჩვენები იქნება პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხა, ავტორის (ავტორების) ვინაობა, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი და საპრემიო თანხის პროპორციული განაწილება, დადასტურებული ავტორთა ხელმოწერით

VI

კონკურსის ჟიური და მისი მუშაობის რეგლამენტი

6.1 - ჟიურის წევრების შემადგენლობა:
- მამუკა ახვლედიანი - კომისიის თავმჯდომარე;
- ხრაჩ სილვანიანი;
- დავით აბულაძე;
- სერგო ქავთარაძე;
- მანუჩარ მახათაძე;
- გია ბუღაძე;
- ნოდარ თოფურია;

6.2 - ჟიურის წევრებს არ აქვთ კონკურსში, ნებისმიერი სახით, მონაწილეობის უფლება.

6.3 - ჟიური ადგენს საკონკურსო მასალების შესაბამისობას კონკურსის პროგრამა-პირობებთან, საჭიროების შემთხვევაში იწვევს ექსპერტებს.

6.4 - ჟიურის თითოეული წევრი წერილობით გამოხატავს თავის პოზიციას, რომლის დროსაც დაუშვებელია რეკომენდაციების იმდაგვარი გამოხატვა გამარჯვებული პროექტის მიმართ, რომელიც არღვევს კონკურსში რომელიმე მონაწილის საავტორო უფლებებს.

6.5 - ჟიური საუკეთესო ნამუშევრის შერჩევის შემდეგ გასცემს მასზე კონკურსის პირობებით განსაზღვრულ პრემიას, აყალიბებს რეკომენდაციებს გამარჯვებული პროექტის მიმართ და აქვეყნებს თავის დასკვნებს ოქმის სახით.

6.6 - ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

VII

კონკურსის პრემია

7.1 - კონკურსში გამარჯვებული პროექტისათვის დაწესებულია ერთი პირველი პრემია ოთხი ათასი ლარის ოდენობით.

7.2 - პრემია გაიცემა კონკურსში გამარჯვებულთა გამოცხადებისთანავე 2009 წლის 7 მარტის 18:00 საათზე.

7.3 - პრემიის დაბეგვრის თანხებს დამატებით, მოქმედი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს კონკურსის მომწყობი.

7.4 - კონკურსის მონაწილეებზე შესაძლებელია დაწესდეს სპეციალური ჯილდოები: ფულადი პრემიის; პრიზის; დიპლომის სახით.

- სპეციალური ჯილდოების დაწესება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.
- ასეთი წინადადების არსებობის შემთხვევაში 2009 წლის 6 მარტამდე წინასწარ აცნობებს კონკურსის ორგანიზატორს და თანხმდებიან ჯილდოს გადაცემის რეგლამენტზე.

VIII

კონკურსში მონაწილეთა საავტორო უფლებები

8.1 - კონკურსის ორგანიზატორები და ჟიურის წევრები, პროფესიული საკითხების განხილვისას, ვალდებულნი არიან კონკურსის მიმდინარეობისას იმოქმედონ საავტორო უფლებების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

8.2 - გამარჯვებული პროექტი გადადის კონკურსის ორგანიზატორის საკუთრებაში, ხოლო არაპრემირებული მასალები ავტორებს უბრუნდებათ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან მომდევნო 5 დღის განმავლობაში.

8.3 - ამავე დროს გამარჯვებული ავტორი (ავტორები) წინამდებარე დებულების 2.4 მუხლის თანახმად ვალდებულნი არიან უხელმძღვანელონ პირობების განხორციელებას-მათ მიერ ამ მუხლის მოთხოვნების დაცვის მიზნით.

8.4 - კონკურსის მონაწილეები ვალდებულნი არიან მასალების ტირაჟირების მიზნით მათი ნამუშევრების ციფრული ვერსია გადასცენ კონკურსის ორგანიზატორებს.

IX

კონკურსის შედეგების გამოქვეყნება

9.1 - კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება პრესის საშუალებით

კონკურსის პროგრამა და პირობები დამუშავებულია
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ
საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის
სამინისტროს კოლეგიის 1999 წლის 20 მაისის
N 71 გადაწყვეტილებისა და საქართველოს
არქიტექტორთა კავშირის გამგეობის ოქმი N2 18.01.1999წ
კონკურსების მოწმობის სანიმუშო დებულების საფუძველზე

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის**
**პედიატრიული სამსახური**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის,**
**პროფესორ ქეთევან ბარაბაძის**
**ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 18 თებერვლიდან აცხადებს საერთაშორისო ტენდერს რკინიგზის ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **რკინიგზის ობიექტების დაცვის მომსახურების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და შებამისი **ტექნიკური დავალება** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **18 თებერვლიდან** 2009 წლის **10 მარტის** ჩათვლით **სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | მომსახურების დასახელება | განზომი-ლება | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | რკინიგზის ობიექტების დაცვა (ზოგიერთ ობიექტზე სიგნალიზაციის სისტემის დაყენებით) | ობიექტი | შემსყიდველის საჭიროებისამებრ *(ტექნიკური დავალების შესაბამისად)* |

**3.** მიწოდების ადგილი: **მხარეთა შეთანხმებით;**

**4.** მიწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის განმავლობაში;**

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ (დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე) ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 10 მარტის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

იურიდიული პირებისათვის :

**1.** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

**2.** ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

**3.** ცეცხლსასროლი იარაღის ფლობისა და გამოყენების ნებართვა;

**4.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**5.** ინფორმაცია განხორციელებული მსგავსი მომსახურების შესახებ;

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში

**7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

**7.1** ხელმოწერილი (ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. (**არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი**);

**7.2** სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან სხვა ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წონადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

**7.3 გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

## О.О.О. «Грузинская железная дорога» с 18 февраля 2009 года объявляет международный тендер на охрану объектов ж/д.

***О.О.О. «Грузинская железная дорога»***, г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, объявляет международный тендер **на закупку на охрану объектов ж/д.** и приглашает принять участие всех заинтересованных юридических лиц.

**1.** Заинтересованные лица могут уплатить тендерную пошлину в размере **500 (пятьсот)** лари на реквизиты: А/О банк «Республика» центральный филиал: код – 220101757, Р/С – 10494921495.

Тендерная документация и **техническое задание** (на грузинском языке) выдается от **18 февраля** 2009 года **по 10 марта** 2009 года на основании **квитанций вместе с письменной заявкой на выдачу тендерной документации** по адресу: - г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

**2. Объекты закупки**

| Лот № | Наименование услуг | ед. | количество |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | охрана объектов ж/д. (на нескольких объектах с установлением сигнализаций) | объект | по запросу покупателя *(по техническому заданию)* |

**3. Условие поставки_** по соглашению сторон.

**4. Время поставки** _ 12 календарных месяцев со дня заключения договора.

**5.** Тендерные предложения и квалификационные данные претенденты должны предъявить в запечатанных конвертах, в двух экземплярах (Оригинал и его копия), заполненные на грузинском (допускается на русском и на английских языках) и/или с грузинским переводом заверенный нотариусом.

- Сроки предъявления документации: **с 9-00 до 18-00 часов 10 марта 2009 года;**
- Документация должна быть представлена по следующему адресу: г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

**6. Квалификационные данные должны содержать следующую информацию:**

**Для юридических лиц:**

1) Выписку из предпринимательского реестра.

2) Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется делопроизводство о неплатежеспособности.

3) Разрешение на хранение и пользование огнестрельного оружия;

4) В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере **5% от общей стоимости предложенных услуг**, **срок действия которой должен на один месяц превышать срок действия тендерного предложения.**

5) Информация об аналогичных работах;

6) Квалификационные данные также касаются суб-контрактором если они будут участвовать в договоре о закупке услуг.

**7. Всем претендентам необходимо представить:**

**7.1** Подписанное и заверенное печатью тендерное предложение, срок действия которой должен быть не менее 30 дней (образец представлен в тендерной документации), в котором также необходимо указать стоимость лота, срок действия тендерного предложения. **(не допускается аванс и акредитив)**

**7.2** Стоимость тендерного предложения должна быть представлена в национальной валюте **(без НДС)**. В случае предъявления в другой валюте, оценка тендерного предложения будет произведена согласно курсу Национального банка Грузии в день открытия пакетов.

**7.3 В случае выявления победителя претендент до оформления контракта должен предъявить гарантию (только с банка) по выполнению условий контракта в размере 5% стоимости контракта**, срок действия которого должен на 50 календарных дней превышать срок окончательной поставки услуг.

Претенденты не будут допущений к оценке, если в отношении претендента ведется делопроизводство о неплатежеспособности и представленные ими тендерные предложения и квалификационные данные не будут соответствовать вышеуказанным требованиям.

Дополнительную информацию заинтересованные лица могут получить в Агентстве закупок ***О.О.О. «Грузинская железная дорога»***, тел: **56-33-71 Мака Жужунашвили.** (Аппарат тендерной комиссии: Н. Конджариа. 56-38-60. Т. Хокерашвили 56-39-30, И. Лобжанидзе 56-46-96.)

*Тендерная комиссия*

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ტენდერს ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი–** ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება

**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**

| ლოტი № | გასაწევი მომსახურეობის დასახელება | რაოდენობა | მომსახურეობის გაწევის ადგილი |
|---|---|---|---|
| ლოტი №1 | ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება | 9953,19 კუბ.მ | აღმოსავლეთ საქართველო |
| ლოტი №2 | ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება | 8846 კბ.მ | დასავლეთ საქართველო |

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული მომსახურება უნდა განხორციელდეს 2009 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. მომსახურების ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯი, საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ნაწილის ტერიტორიებზე სანაგვე ურნების დადგმა, ასევე კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2009 წლის 18 თებერვლიდან 10 მარტის 12.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო სახელმწიფო ხაზინა
ანგ. № 200122900
ბანკის კოდი: 220101222
სახაზინო კოდი: 302006500

გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი.

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთ დალუქულ კონვერტში 2009 წლის 10 მარტის 12 საათიდან 12 მარტის 12:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა №20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით, ზემოაღნიშნულ მისამართზე, 2009 წლის 12 მარტის 12:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
4. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
5. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
2. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან (წერილობითი დადასტურება), რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ბოლო ორი წლის განმავლობაში არ არის არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში.

3 ინფორმაცია საწარმოო სიმძლავრეების შესახებ

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების (ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები) შესაბამისად.

განცხადებაში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს, შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

**სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, იურიდიულ და საფოსტო მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს, საიდენტიფიკაციო კოდი.**

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა **15 დღით უნდა აჭარბებდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.**

**სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე** პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: გაიოზ მენთეშაშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი №322.

სატენდერო კომისია

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური**
**მედიცინის**
**მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით**
**გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

**ბორჯომის მინერალური წყლის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო |
| საბადოს ადგილმდებარეობა | ბორჯომი,<br>სოფ. ვაშლოვანი,<br>სოფ. ყვიბისი, სოფ, ლიკანი |
| საბადოს საერთო მარაგები და მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა | ბორჯომის მინერალური წყლების საბადოს საექსპლუატაციო მარაგები A+B+$C_1$ კატეგორიით შეადგენს 561 $მ^3$ /დღ.დ.<br><br>აქედან 503 $მ^3$ /დღ.დ - (A+B) კატ., 58 $მ^3$ /დღ.დ - $C_1$ კატ.:<br>მ.შ. საბადოს ცენტრალურ უბანზე - 185 $მ^3$ /დღ.დ - B კატ., ლიკანის უბანზე - 73 $მ^3$ /დღ.დ - A კატ., ვაშლოვანის უბანზე - 245 $მ^3$ /დღ.დ B კატ. და 58 $მ^3$ /დღ.დ - $C_1$ კატ.<br><br>**მოსაპოვებელი წყლის მოცულობა - 503 $მ^3$ /დღ.დ** |
| მოთხოვნები წიაღით სარგებლობისათვის | **ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:**<br>1. უცვლელად იქნეს შენარჩუნებული საექსპლუატაციო ჭაბურღილების (№№1, 21, 21-ე, 25-ე, 37, 38-ე, 54, 59, 41-პ, 101-ე) არსებული სქემა.<br>2. ცენტრალურ უბანზე შენარჩუნებულ იქნეს თვითდენი №1 ჭაბურღილში (პარკი) არანაკლებ 12 $მ^3$/დღ.დ, ხოლო №41p ჭაბურღილის თვითდენით ექსპლუატაცია მიმდინარეობდეს არაუმეტეს 130 $მ^3$ -ს გამოშვებისა დღე-ღამეში.<br>3. პერიოდულად, 5 წელიწადში ერთხელ, ჩაატაროს საბადოს ყველა საექსპლუატაციო და დასაკვირვებელი ჭაბურღილის ტექნიკური მდგომარეობის საკონტროლო შემოწმება (აუდიტი).<br>4. საჭიროების შემთხვევაში, ვაშლოვანი–ყვიბისის უბნის ყვიბისის ქვეუბანზე, $C_1$ კატეგორიის მაღალ (სამრეწველო) კატეგორიაში და არსებული მინერალური წყლის პოტენციური რესურსების საექსპლუატაციო მარაგებში გადაყვანის მიზნით, ჩაატაროს სათანადო საცდელ-ფილტრაციული სამუშაოები.<br>5. ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს სამივე საექსპლუატაციო უბნის ჭაბურღილებზე გააგრძელოს ჰიდროგეოლოგიური დაკვირვებები და ჩაატაროს წყლისა და გაზის ქიმიური ანალიზები.<br>6. 2009-2011 წლებში უზრუნველყოს ბორჯომის საბადოს მინერალური წყლის სანიტარიული დაცვის ზონების პროექტის და საბადოს რაციონალური ექსპლუატაციის ტექნოლოგიური სქემის გადამუშავება და დამტკიცება.<br>7. შეინარჩუნოს და უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის გარშემო ტერიტორიის შემოკავება და დაცვა.<br>8. შენარჩუნებული იქნეს ჭაბურღილების თავმორთულობის ჰერმეტიზაცია ზედაპირული წყლების ჩაჟონვისა და დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით.<br>9. საბადოს ექსპლუატაციის პერიოდში არ მოხდეს წყლის დაღვრა და აქედან გამომდინარე, მიმდებარე ტერიტორიის გეოეკოლოგიური პირობების გართულება.<br>10. უზრუნველყოს 2031 წლის პირველ ნახევარში ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს მარაგების გადათვლა და გადამტკიცება.<br>11. მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ განახორციელოს მთლიანი საექსპლუატაციო მარაგების ათვისება.<br>დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები. |
| აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ.№12ტელ. 98 20 13, 98 23 62<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 18 თებერვლიდან 19 მარტის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 20 მარტს 12 საათიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობაში. |
| აუქციონის საწყისი ფასი | **8 000 000 (რვა მილიონი)**<br>**ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარში** |
| „ბე“ განისაზღვრება<br>1 000 000 (ერთი მილიონი)<br>ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარებში | |

| | |
|---|---|
| ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი **200 ლარის** ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. | **სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს გადახდის ქვითარი | **„ბე“-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302005000 |
| გამარჯვებული პირი ვალდებულია ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადოს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაწეული მომსახურების საფასური **1156,40 ლარი** | **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“:** ს/ს „პროკრედიტ ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, საინ. კოდი: 204559691 |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა გადაიხადოს 2009 წლის 25 დეკემბრამდე, ყოველკვარტალურად, გადასახდელი თანხის პროპორციულად, გადახდის მომენტისათვის არსებული სავალუტო კურსის შესაბამისად.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების **ლიცენზიის** მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | **განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.**<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>ბ) ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| აუქციონზე „ბიჯი“ განისაზღვრება<br>200 000 (ორასი ათასი) ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარებში | |
